საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი



# მუსიკა

**4**(18) 2013

**MUSIKA**

Journal of Creative Union of Composers of Georgia



ლექსი მაჭავარიანი (1913-1995).


# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

4 (18)•2013



კონკურსი
მანანა კორძაია.
**პიანისტთა მეხუთე კონკურსი** .......... 2
ნესტან მესხი.
**კონკურსის არაფასადური მხარე** .......... 7
ფესტივალის ფურცელი
თამარ თავშავაძე.
**ბერლიოზის საღამო** .......... 10
პორტრეტი
ნუცა კასრაძე. **უნიკალური პიროვნება** .......... 13
საკონცერტო ცხოვრება
გულბათ ტორაძე.
**რევაზ თავაძე ქართული პიანიზმის რეკორდსმენი** .......... 18
მუსიკა და რელიგია
მაია იასეშვილი.
**„გამოიღვიძე ჩანგო და ქნარო“** .......... 22
იუბილე
**არჩილ კერესელიძე - 100** .......... 25
ფოლკლორი
მამუკა ნაცვალაძე.
**მეგრული სიმღერის ხობის მეექვსე ფესტივალზე** .......... 27
პრობლემა
ალექსანდრე მწარიაშვილი. **კომპოზიცია - ჰობი** .......... 31
ქრონიკა
ციური ჩომახიძე. **დიდი მუსიკოსის გახსენება** .......... 34
ახალი გამოცემები
**ეროვნული ნიადაგის გასამყარებლად** .......... 36
სტუდენტური გვერდი
მარიამ მეფარიშვილი.
**აქტუალური მუსიკის ფესტივალი** .......... 40
გახსენება
**მუსიკისა და მედიცინის მსახური** .......... 44
მსოფლიო კლასიკოსები
თამარ წულუკიძე.
**მონათესავე სულები** .......... 49
პერსპექტივა
ეკა საათაშვილი.
**ნორჩი შემსრულებლების სასიკეთოდ** .......... 53
ქართული მუსიკა საზღვარგარეთ
თამარ გარსიაშვილი.
**„ნოქტიურნი“ ჩელოს ფესტივალზე** .......... 55
Jazz Break
მანანა ხვედელიძე. **„თეთრი ფავორიტი “- „ბიქს- ბაი“** .......... 56
ფოლკლორი
გომარ სიხარულიძე. **ღვაწლმოსილი** .......... 60
იუბილე
ვახტანგ მაჭავარიანი. **ალექსი მაჭავარიანი 100** .......... 62
მეცნიერება
ლალი კაკულია.
**მაჭავარიანის „დედა- ენა“ იმაგინატიური აზროვნების ჭრილში** .......... 65
რადიოარქივიდან
**ლილე კილაძე** .......... 74
WWW .......... 80
summary .......... 82



რედაქტორი: მიხეილ ოძელი თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე (მორიგე რედაქტორი)
დიზაინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეფხოძე
ინგლისური თარგმანი: ქეთევან თუხარელი



მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ.: (+995 32) 95 41 64, (+995 32) 96 75 05; ფაქსი.: (+995 32) 96 86 78



ჟურნალი გამოიცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773



კონკურსის გამარჯვებულები: ილია კონდრატიევი (გრან- პრი), ჟულიო ბიდაუ, (IV პრემია), ანა გოგავა (V პრემია) ცოტნე ცოცხალაშვილი (II პრემია), რიდ ტეცლოვი და ილია ზუიკო (III პრემია)

# პიანისტთა მეხუთე კონკურსი

მანანა კორძაია

შემოდგომის მუსიკალური სეზონი თბილისში ყოველთვის აქტიურია, მაგრამ წლევანდელი შემოდგომა მაინც გამორჩეული მგონია არა მარტო მოვლენათა რაოდენობით, არამედ შინაარსითაც. იმდენი მნიშვნელოვანი მოვლენა დაემთხვა დროში ერთმანეთს, რომ ყველაფრის თვალის დევნებაც კი შეუძლებელი იყო ადამიანისათვის. თავი რომ დავანებოთ შესანიშნავი სპექტაკლებით მდიდარ თეატრალურ ფესტივალებს, ამის დასტურად მუსიკალური ღონისძიებების სიმრავლეც სრულიად საკმარისი იქნება. ღირსეულად აღინიშნა ჯუზეპე ვერდის, რიხარდ ვაგნერის, ალექსი მაჭავარიანისა და ნოდარ გაბუნიას საიუბილეო თარიღები; საუკეთესო მუსიკოსები სტუმრობდნენ ჯანსულ კახიძის მიერ დაფუძნებულ ფესტივალს „შემოდგომის თბილისი“ (ვახტანგ კახიძის თაოსნობით); დიდი ინტერესი გამოიწვია თამარ კორძაიას მიერ მრავალი წლის წინ დაარსე-

ბულმა შვეიცარულ-ქართული „აქტუალური მუსიკის“ მორიგმა ფესტივალმა, რომლის ცენტრში აღმოჩნდა მიხეილ შუღლიაშვილის „დიდი ქრომატიული ფანტაზიის“ პრემიერა სამი ფორტეპიანოსათვის; ელიტარული მუსიკალური ზეიმის მწვერვალი იყო ელისო ვირსალაძის საერთაშორისო მუსიკის ფესტივალი თელავში და მრავალი სხვ.

ამგვარ კალეიდოსკოპურ სიმრავლეთა ფონზე მიმდინარეობდა თბილისის პიანისტთა მეხუთე საერთაშორისო კონკურსი, დაფუძნებული 1997 წელს მანანა დოიჯაშვილის მიერ. კონკურსი 4 წელიწადში ერთხელ იქცევა ხოლმე ჩვენი ქალაქის უმნიშვნელოვანეს მოვლენად. იგი ახალგაზრდა თაობის პიანიზმში მიღწევების გამოვლენას, ახალი სახელების აღმოჩენასა და მათ პოპულარიზაციას ემსახურება. ამასთან, იმ რეალურ საშუალებად იქცევა ხოლმე, ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსებს საშუალებას რომ აძლევს სრულად აღიქვან მსოფლიო საფორტეპიანო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები და სიახლეები.

ეს არ არის რიტორიკა, ეს რეალობაა! ამ კონკურსზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (აშშ, ჩინეთი, ესპანეთი, იტალია, იაპონია, სამხრეთ კორეა, გერმანია, რუსეთი, უკრაინა, კვიპროსი, ლატვია) 29 ახალგაზრდამ მოიყარა თავი. თითოეული მათგანი თავისი სკოლის გამოცდილების დემონსტრირებას ახდენდა, ინტერნაციონალური ჟიურის წევრები კი — რუდოლფ-დიტერ არენსი (გერმანია), ტერეზ დიუსო (საფრანგეთი), მანანა დოიჯაშვილი (საქართველო), ოქსანა იაბლონსკაია (აშშ), რამზი იასა (ეგვიპტე, გერმანია), ჩუნგ მო კანგი (სამხ.კორეა), ალბერტო ნოზე (იტალია), მარტა სოშინსკა (პოლონეთი, გერმანია), ნორმა ფიშერი (დიდი ბრიტანეთი), გოგი ჭიჭინაძე (საქართველო), ჯოელ ჰარისონი (აშშ) და ჟიურის მდივანი მაია ადამია-ბრიფინი (საქართველო, დიდი ბრიტანეთი), თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ ჩვენს სტუდენტებს მასტერკლასებზე. ამიტომაც იყო მსმენელის მხრიდან დიდი ინტერესი ამ საკმაოდ ძვირადღირებული და ურთულესი, 4 ტურისაგან შემდგარი კონკურსის ყველა ეტაპზე. ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ კონკურსანტებს შორის 7 ქართველი პიანისტი იყო.

როგორც წესი, პირველი ტური მონაწილის უნარ-ჩვევებს უფრო ავლენს, ვიდრე ესთეტიკურ მხარეს. იგი ერთგვარად საგამოცდო პროგრამას წააგავს ხოლმე, საიდანაც ნათელი ხდება შემსრულებლის ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი სტილის აღქმა, ტექნიკური თუ ტექნოლოგიური ასპექტები. მიუხედავად ამგვარი „სქოლასტიკური შემოწმებისა“, ამ ტურშივე ერთგვარად მაინც ვლინდება შემსრულებლის ინდივიდუალიზმი, რაც მის მეორე ტურში მოხვედრაზე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს.

კონკურსის სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კონკურსანტთა დიდი უმრავლესობა, 21 მონაწილე მოხვდა მეორე ტურში.

დღეს განსაკუთრებით აშკარაა საფორტეპიანო ხელოვნებაში ტექნიკური პროგრესი. ნათელია, რომ ახალგაზრდა მუსიკოსებსაც კი ნებისმიერი ტექნიკური სირთულის დაძლევა ძალუძთ. ამან განაპირობა, რომ საგრძნობლად აჩქარდა საშემსრულებლო ტემპები. შოპენის, ლისტის, სკრიაბინის ურთულესი ეტიუდები საოცარი „სისწრაფით“ სრულდება. ამის დემონსტრირება იყო იაპონელი, ჩინელი და კორეელი პიანისტების გამოსვლები, რომელთაგან მაინც გამოირჩეოდა ნანაკო კურიტა, რომელმაც პოლონეთის საელჩოს პრემია (1000$) დაიმსახურა შოპენის ეტიუდის საუკეთესო შესრულებისათვის.

მეორე ტური უფრო რთულია, რადგან ამჯერად მონაწილე აჩვენებს უნარს, გაამთლიანოს ზემოხსენებული თვისებები ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ პრობლემებთან. ეს ტური მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ ყველა მონაწილე ასრულებს ქართულ ნაწარმოებს. წლევანდელ კონკურსში ეს აუცილებელი თხზულება ალექსი მაჭავარიანის „ხორუმი“ გახლდათ. ეს ტური უკვე ერთგვარი ტესტია ფინალური სავარაუდო ექვსეულის შესადგენად. აქედან იწყება, ასე ვთქვათ, „საკონკურსო თამაში“ მსმენელსა და ჟიურის შორის. „მოთამაშეების“ უმეტესობა ადგენს ფინალისტთა თავის სავარაუდო ექვსეულს და ელის ჟიურის ვერდიქტს. მე გამიმართლა. ჩემი „ექვსეულიდან“ ყველა აღმოჩნდა მესამე ტურში გადასულ 12 მონაწილეს შორის. მაგრამ წინ ურთულესი მესამე ტური იყო, რასაც შეიძლება ყველაფერი შეეცვალა. ასეც მოხდა. მესამე ტურის შემდეგ ჩემს „ექვსეულსა“ და ჟიურის გადაწყვეტილებას შორის ერთგვარი „ბზარი“ გაჩნდა. ჩემი ექვსეულიდან

ფინალისტებს შორის 2 მაინც არ აღმოჩნდა – ალექსანდრე ვასაძე და ესპანელი დე სოლაუნი ჟოსუ.

ძალზედ მნიშვნელოვანია თბილისის კონკურსის ტრადიცია, რომლის მიხედვით მესამე ტურის, ანუ ნახევარფინალის ყველა მონაწილეს მათი პროგრამის აუდიო ჩანაწერს გადასცემენ ხოლმე. მუსიკოსისათვის ეს დიდი საჩუქარია, რომელიც ამჯერადაც ნახევარფინალის ყველა მონაწილემ დაიმსახურა.

ინტელექტუალური პიანიზმით გამოირჩეოდა ალექსანდრე ვასაძის მეორე და მესამე ტურები. ჩემდა სამწუხაროდ, ის ვერ მოხვდა ფინალში, მაგრამ ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტის თემურ ახობაძის პირადი ჯილდო მოიპოვა. საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ესპანელ დე სოლაუნ ჟოსუს პროგრამები. ეს 33 წლის კონკურსანტი უკვე ჩამოყალიბებული პიანისტია თავისი ხელწერით, რომლისთვისაც ბგერა ფერწერული ტილოს შექმნის საშუალებაა და არა მხოლოდ მჟღერი სხეული. ეს ტენდენცია ყველა პროგრამაში აშკარად ჩანდა. გასაოცარი იყო მისეული „ხორუმის“ ინტერპრეტაცია. მასში თითქოს ძლიერად ჩანდა ესპანური ცეკვებისათვის დამახასიათებელი შინაგანი „თავშეკავებული“ ტემპერამენტი, მაგრამ იმავ დროს საოცრად ქართული იყო. ამიტომ არ გამკვირვებია, რომ სწორედ მან დაისაკუთრა „ხორუმის“ საუკეთესო შემსრულებლის ტიტული, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრიზი (1000$) და ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებების კომპაქტდისკები, რომლებიც კომპოზიტორის ვაჟმა დირიჟორმა ვახტანგ მაჭავარიანმა გადასცა. მანვე დაიკავა ფინალს გარე დარჩენილი საუკეთესო ნახევარფინალისტის პრიზიც უკრაინელ ალექსი კოვალენკოსთან ერთად (მაია ადამია-გრიფინის პრიზი 500$). ჩემი აზრით, მესამე ტურის პროგრამით ფინალში მოხვედრას ნაკლებად იმსახურებდა იტალიელი ბიდაუ ჟულიო. მეოთხე ტურში მის მიერ შესრულებულმა ბრამსის კონცერტმა საბოლოოდ გაამყარა ჩემი აზრი... მაგრამ მეოთხე ტური სურათს ვეღარ ცვლის. აქ მხოლოდ ადგილები ნაწილდება. ბიდაუ ჟულიოს მეოთხე ადგილი ერგო.

მეოთხე ტურში, როგორც წესი, ყველა ფინალისტი საფორტეპიანო კონცერტს ასრულებს ორკესტრის თანხლებით. საკონკურსო პროგრამების შემსრულებლად მოწვეულ იყო თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით. კონკურსზე ორკესტრისა და დირიჟორის ფუნქცია განსაკუთრებით რთულია. არავინ იცის, ვის შეხვდება ფინალური ტურის პატივი. ამიტომ საჭიროა ორკესტრმა გაიმეოროს, საჭიროების შემთხვევაში კი ისწავლოს ყველა კონცერტი. ამ შემთხვევაში ეს რიცხვი 29 კონცერტით განისაზღვრა. კონცერტის შესრულებისას ორკესტრი მთლიანად სოლისტის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული, რაც კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას. ამ ახალგაზრდებს ხომ არ აქვთ ორკესტრთან დაკვრის დიდი გამოცდილება! ვახტანგ კახიძემ ითავა და სერიოზულ დონეზე შეასრულა თავისი მისია. გარკვეული ხარვეზები კი ზემოხსენებულმა სირთულეებმა განაპირობეს. მიუხედავად ამისა, მეოთხე ტურმა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა და საბოლოოდ გადაწყვიტა შემსრულებელთა ბედი.

მეხუთე ადგილზე ქართველი ანა გოგავა გავიდა (3000$). პრემია დაწესებულია ნანა და ავთანდილ წერეთლების მიერ), რომელსაც ასევე გადეცა ალფრედ კორტოს სახელობის პრემია (1500$) რომანტიკული მუსიკის საუკეთესო შესრულებისათვის ილია კონდრატიევთან ერთად.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მეოთხე პრემია (4000$) იტალიელმა ბიდაუ ჟულიომ დაიმსახურა.

თავიდანვე მიიპყრო მსმენელის ყურადღება საკმაოდ ახალგაზრდა ილია ზუიკომ უკრაინიდან, თავის სრულყოფილი ტექნიკური შესაძლებლობებით, მესამე ტურში მოცარტ-ლისტის „დონ ჟუანის“ შესრულებისას კი იგი მოაზროვნე მუსიკოსად წარმოჩინდა. მან მესამე პრემია (10000$) გაიყო ამერიკელ რიდ ტეცლოვთან.

რიდ ტეცლოვი ერთ-ერთი გამორჩეული იყო კონკურსანტებს შორის თავისი საშემსრულებლო მანერით. მას უკვე აქვს საკუთარი ხელწერა. იგი როგორღაც თავისუფალია მუსიკალური კლიშეებისაგან, გასაოცრად ლაღია ინსტრუმენტთან და შინაგანი (და არა ზედაპირული) არტისტიზმით არის აღსავსე. მისი პროგრამები ავლენდა კონკურსანტის ინტერესების სიფართოვეს, ერთი მხრივ სკრიაბინი, ბარტოკი, კაპუსტინი, მეორე მხრივ, ბახი, ჰაიდნი, შოპენი, ლისტი... და ყველა შემთხვევაში იგი პოულობდა იმ სტილურ საყრდენებს, ეპოქალურ ნიშნებს, რომლებითაც ეს თხზულებები გა-




მოირჩეოდა. აქ მართლაც ერთიან სივრცეში ექცეოდა ტექნიკური შესაძლებლობები და მხატვრული ღირებულებები. ამან განაპირობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება, თავის პრიზი — მოოქრული ბრინჯაოს ქანდაკება „მუზა“ ტეცლოვისათვის გადაეცა ნახევარფინალში სოლო პროგრამის საუკეთესო შესრულებისათვის.

მეორე ადგილი ქართველ ცოტნე ცოცხალაშვილს ხვდა (7000$). იგი ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული კონკურსანტი იყო, რომლის პროგრამები სტაბილური მაღალი ხარისხითა და აკადემიურობით გამოირჩეოდა. მანვე მიიღო ელისაბედ ლეონსკაიას მიერ დაფუძნებული საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა დახმარების ფონდის SOLO – ს პრემია (1000$).

დაბოლოს, გრან-პრი (15000$), რომელიც მიენიჭა ილია კონდრატიევს რუსეთიდან. კონდრატიევი რომ მკვეთრად გამორჩეული კონკურსანტი იყო იმანაც გვამცნო, რომ ჟიურიმ გრან-პრი–სთან ახლოს მყოფი პირველი პრემია საერთოდ არ გასცა (პირველი პრემია — 10000$, რომელიც დააწესა კონკურსის მეგობარმა ბობ მაიერმა, გადანაწილდა მესამე პრემიის ორ მონაწილეზე).

ილია კონდრატიევის წარმატება პირველივე ტურიდან იყო მოსალოდნელი. როდესაც, მის მიერ შესრულებულ სკარლატის სონატებს ვისმენდი, ვხედავდი ფორტეპიანოს და მესმოდა კლავესინი. ეს ბგერის ფლობის ოსტატობის შთამბეჭდავი ნიმუში იყო. მერე, როდესაც მის პროგრამებს გადავხედე, აღმოჩნდა, რომ მათში სკარლატის სრულიად საწინააღმდეგო ჟღერადობის, ინტენსივობისა და მასშტაბის თხზულებები სჭარბობდა — მათ შორის ლისტი და პროკოფიევი. ძნელად წარმოსადგენი იყო ეს ფაქიზი, რაფინირებული ბაროკოსებრი ბგერა როგორ უნდა გადაზრდილიყო ლისტისა და პროკოფიევის ინტენსიურ, ენერგეტიკულად დამუხტულ ჟღერადობაში. მართალია, პირველივე ტურში შესრულებული შოპენისა და ლისტის ეტიუდები ავლენდა ამ გარდასახვის წინაპირობას, მაგრამ სკარლატისგან მიღებული შთაბეჭდილება მაინც აშკარად სძლევდა. უკვე მეორე ტურში, ჰაიდნისა და

შუმანის სონატების მოსმენისას ნათელი გახდა, რომ სტილური პრობლემები მისთვის სრულყოფილადაა დაძლეული. მაგრამ პროკოფიევის სიუიტა „რომეო და ჯულიეტას" ინტერპრეტაციამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ნათელი იყო, რომ ის ერთპიროვნული ლიდერია, რაც კიდევ უფრო განამტკიცა მის მიერ მეოთხე ტურში შესრულებულმა პროკოფიევის საფორტეპიანო კონცერტმა №2, სოლ მინორი. ეს უკვე ნამდვილად უმაღლესი ფინალური წერტილი იყო კონკურსისათვის.

ილია კონდრატიევის აღიარება მხოლოდ გრან-პრით არ აისახა. მან დაიმსახურა თბილისის მერიის ჯილდო — ბრინჯაოს ქანდაკება „ჯადოსნური ბგერა", იტალიის საელჩოს პრემია სკარლატის სონატის საუკეთესო შესრულებისათვის (1000$), თურქეთის საელჩოს პრემია საფორტეპიანო კონცერტისათვის (1000$), საქართველოს მუსიკალური ფონდის პრემია კლასიკური სონატის შესრულებისათვის (1000$), ალფრედ კორტოს სახელობის პრემია (1500$). ეს ყველაფერი ახალგაზრდა მუსიკოსის ილია კონდრატიევის მართლაც სრულიად დამსახურებული აღიარებაა.

კონკურსის მესვეურებმა გულწრფელი მადლობა უძღვნეს ყველა პედაგოგს, სამუსიკო უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებმაც უდიდესი ღვაწლი დასდეს კონკურსანტების აღზრდას, საქართველოს კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს, თბილისის მერიას, სპონსორებს, თიბისი ბანკს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარების პროცესში, ჟიურის, რომელმაც თავდაუზოგავად და დაძაბულად იმუშავა ორი კვირის მანძილზე და მსმენელს, რომელმაც თავისი ერთგულებით დიდად შეუწყო ხელი კონკურსანტების გამოსვლებს.

სულ მცირე დრო გავიდა ამ შემოქმედებითი დღესასწაულის დამთავრებიდან და კონსერვატორიამ უკვე მიიღო „მონატრების" წერილები ჟიურის წევრთაგან. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

### ალბერტო ნოზე (იტალია)

მინდა მადლობა გადავუხადო პროფესორ მანანა დოიჯაშვილს თბილისის მე–5 საერთაშორისო კონკურსზე დაპატიჟებისათვის. ეს იყო საინტერესო და დაუვიწყარი გამოცდილება მომესმინა სხვადასხვა კულტურული და მუსიკალური ტრადიციების მქონე ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსებისათვის.

კონკურსანტების დონე იყო ძალიან მაღალი და საინტერესო მხატვრული თვალსაზრისით. კონკურსი იყო ორგანიზებული მაღალ დონეზე, დაწყებული იმ ღონისძიებებით, რომელიც იყო დაგეგმილი და დამთავრებული თბილი ატმოსფეროთი, რომელიც სუფევდა ჟიურის წევრებს და ორგანიზატორებს შორის.

მე დიდი სიამოვნებით გავუწევ რეკომენდაციას ამ კონკურსზე მუსიკის მოყვარულებს და პროფესიონალებს მთელი მსოფლიოდან, ვისაც სურს ორი კვირა გაატაროს მშვენიერ და მეგობრულ ქართველ მსმენელთან.

### ჩუნგ–მო კანგი ( სამხრეთ კორეა)

კიდევ ერთხელ მინდა გადაგიხადოთ მადლობა თბილისის კონკურსზე დაპატიჟებისათვის და თქვენი ფანტასტიკური სტუმართმოყვარეობისათვის. როგორც გითხარით, არასდროს დამავიწყდება შესანიშნავი მოგონებები თბილისზე და ყოველთვის დიდი სიყვარულით გავიხსენებ იმ დროს, რომელიც გავატარე თქვენთან და ჟიურის წევრებთან ერთად.

თბილისის მე–5 საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი ჩემთვის იყო დაუვიწყარი მოვლენა ბევრი მიზეზის გამო, მათ შორის:

1. ეს იყო არაჩვეულებრივად ორგანიზებული კონკურსი. კონკურსის გრაფიკი ყოველთვის ზუსტად სრულდებოდა;

2. ძალიან შთამბეჭდავი იყო კონკურსის დონე. აქამდე ბევრ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა და ყოველთვის ვრჩებოდი იმედგაცრუებული ზოგიერთი კონკურსანტის გამოსვლით. ამ კონკურსზე ასეთი რამ არ მიგრძვნია — არ ყოფილა არცერთი ჩავარდნა. ეს იმიტომ, რომ წინასწარ ძალიან კარგად იყო შერჩეული კონკურსანტების დონე;

3. და რაც ყველაზე მთავარია, თბილისის მე–5 კონკურსი იყო არა მხოლოდ იმ ექვსი ლაურეატისთვის, არამედ ყველა კონკურსანტისთვის! მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა კონკურსანტი (მიუხედავად იმისა, ლაურეატი გახდა თუ არა) იყო გამხნევებული. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ყვე-

ლა სხვა კონკურსმა უნდა ისწავლოს თბილისის კონკურსისაგან ნებისმიერ ასპექტთან მიმართებაში.

ნორმა ფიშერი (დიდი ბრიტანეთი)

მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ არაჩვეულებრივი სითბოსთვის და სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მე ვიგრძენი თბილისში ჩამოსვლის პირველი დღიდან კონკურსის ბოლომდე.

გილოცავთ კონკურსის დიდ წარმატებას!

წარმოუდგენელია უფრო უკეთესად ორგანიზებული კონკურსი. გილოცავთ აგრეთვე ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტების შერჩევასა და შეკრებას.

ოქსანა იაბლონსკაია (აშშ)

ძალიან მიხარია, რომ ეს ორი საკონკურსო კვირა გავატარე თქვენთან და ვგრძნობდი ჩემ თავს სასურველ სტუმრად. ყველაფერი არაჩვეულებრივად იყო ორგანიზებული, არ იყო დავიწყებული არცერთი წვრილმანი. ყველას ვუხდი მადლობას და ვულოცავ კონკურსის წარმატებულ ჩატარებას. კულტურული პროგრამა იყო შესანიშნავად ორგანიზებული – ამას არცერთ კონკურსზე არავინ არ აკეთებს.

რამზი იასა (ეგვიპტე/საფრანგეთი)

აღფრთოვანებული ვარ იმ შესანიშნავი საქმით, რომელსაც მანანა დოიჯაშვილი აკეთებს საქართველოს ხელოვნებისათვის. ყველაფერი ბრწყინვალედ იყო გათვალისწინებული, ბოლო წვრილმანამდე, კონკურსამდე დიდი ხნით ადრე. არაფერი იყო დარჩენილი ყურადღების მიღმა.

მე ვყოფილვარ ჟიურის წევრი ბევრ საერთაშორისო კონკურსზე და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თბილისის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი არის ერთ–ერთი უმაღლესი რანგის კონკურსი.

ტერეზ დიუსო (საფრანგეთი)

პირველ რიგში მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ პატივისთვის, რაც თქვენ დამდეთ კონკურსის ჟიურის წევრად დაპატიჟებისათვის. ამით თქვენ მომეცით



კონკურსის ჟიური: ჩუნგ - მო კანგი, გოგი ჭიჭინაძე, რამზი იასა, რუდოლფ - დიტერ არენსი, ჟოელ ჰარისონი; სხედან: ნორმა ფიშერი, მარტა სოშინსკა, მანანა დოიჯაშვილი, ტერეზ დიუსო და ოქსანა იაბლონსკაია

საშუალება გამეცნო თქვენი ქვეყანა და ქალაქი, ადამიანური სითბო და ქართველი ხალხის მაღალი არტისტული თვისებები და, რა თქმა უნდა, თბილისის კონსერვატორიის მაღალი დონე!

დიდი მადლობა იმ შესანიშნავი იდეისთვის, რომელმაც მისცა საშუალება ყველა ჟიურის წევრს ჩაეტარებინა მასტერკლასი კონსერვატორიის სტუდენტებისათვის. საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი არ შეიძლებოდა ჩატარებულიყო უფრო უკეთეს ადგილას და უფრო უკეთეს პირობებში. ალბათ ეს იყო ის მთავარი მიზეზი კონკურსანტების ესოდენ მაღალი დონისა, ყოველი დღე ჰგავდა დღესასწაულს, მაგრამ რაც შეეხება ბოლო საღამოს – ეს იყო როგორც სიზმარი – ხალხური სიმღერის ანსამბლი, კონკურსანტები, მუსიკოსები – ყველა, როგორც ერთი, დიდი მეგობრული ოჯახი; კიდევ ერთი საშუალება შევიგრძნო არტისტული სამყაროს სილამაზე და სიდიადე, სიკეთე და სტუმართმოყვარეობა ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქრთველოა და ისეთი პიროვნებებისაგან, როგორებიც თქვენ ხართ, მსოფლიოს იმ ნაწილში, რომელიც მე ვერ წარმომედგინა ასე ახლოს თუ იქნებოდა ჩემს გულთან.

# კონკურსის არაფასადური მხარე

## მასტერკლასები

ნესტან მესხი

პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების შეფასების გადაჭარბება უბრალოდ შეუძლებელია. ამ დროს სწორება ხდება დიდ სიმაღლეებზე. აქ ხდება სხვადასხვა საფორტეპიანო სკოლების, რეპერტუარის მრავალფეროვნების ჩვენება, ახალი ინდივიდუალობების აღმოჩენა, შეჯიბრი, თუ ვის გაეხსნება არტისტული კარიერა, ჩვეულებრივი ღელვაა, რაც ყოველთვის ახლავს კონკურსებს და ეს მისი წინა პლანია.

მაგრამ შევხედოთ კონკურსის არაფასადურ მხარეს – მასტერკლასებს, სადაც სხვადასხვა სკოლების გამოცდილებები შეედინება ჩვენს ხელოვნებაში უკვე პრაქტიკულად, როცა ჩვენ სტუდენტებთან მუშაობენ საერთაშორისო მასშტაბის ცნობილი მუსიკოსები — ჟიურის წევრები. აქ ერთმანეთის მიმართ სუფევს დიდი ინტერესი, ნდობა, გაზიარების და მიღების სრული მზადყოფნა. პრობლემას რამდენადმე უნდა ქმნიდეს ენობრივი ბარიერი, მაგრამ არის კვალიფიციური თარჯიმანი; და უფრო მთავარი — ყველასათვის გასაგები მუსიკის ენა.

მასტერკლასებს კონსერვატორიის მცირე დარბაზში უამრავი მსმენელი ესწრება. „საცდელი ობიექტები" – ახალგაზრდა პიანისტები ღელავენ. ერთია, უკვე მზა ნაწარმოების გატანა კონცერტზე, მსმენელის სამსჯავროზე, მაგრამ სულ სხვაა ხალხის წინაშე როგორ აღიქვამ „ახლა და აქ" შემოთავაზებულ ვარიანტებს, როგორ ალღოს, ფსიქოლოგიურ გამძლეობას, ახლის ათვისების ნიჭს გამოავლენ. ამ სიტუაციაში განშრევებულად ჩანს სად არის პედაგოგის ნამუშევარი და რა პოტენციას ავლენს თვით სტუდენტი.

სტუმარ-პროფესორთა მანერა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ალფრედ ნოზე და ოქსანა იაბლონსკაია თვითონ უკრავენ, უჩვენებენ მეორე როიალზე და ამით თითქოს გასაგებ, მისაბაძ ეტალონს უქმნიან სტუდენტებს. მეორენი მხოლოდ სიტყვიერად მიმართავენ სტუდენტის წარმოსახვას. სხვათა შორის, ორივე ფორმას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. საუკეთესო ვარიანტია, როცა პედაგოგი დაკვრით უჩვენებს და ამით სტუდენტს უადვილებს წარმოდგენას „როგორ უნდა". მაგრამ მიმბაძველობის ასაცილებლად წარმოსახვითი აღქმითაც საინტერესოს გახდის მის ინტერპრეტაციას.

### მასტერკლასი 1. ი.ს. ბახი. „ჩაკონა"

როიალთან ზის პროფესორ რევაზ თავაძის სტუდენტი დავით ჯინჯიხაძე. დიდი ბრიტანეთის სამეფო კოლეჯის პროფესორი ნორმა ფიშერი მოსმენის შემდეგ ზოგადად მოხაზავს შესრულების ღირსებებს, შენიშვნებს და იწყებს დაწვრილებით მუშაობას. მაესტრო სრულიად სამართლიანად მიაპყრობს სტუდენტის ყურადღებას დარბაზის აკუსტიკურ შეგრძნებას, მისი მოცულობის გათვალისწინებით. სტუდენტისაგან მოითხოვს თვალყური მიადევნოს ხმების დამოუკიდებელ სიცოცხლეს, მათ შერწყმას ერთიან მთლიანობაში, აზუსტებს პედალს, რომლის სწორი ხმარება განსაზღვრავს ხმოვანების მოცულობას; ყურადღებას აქცევს პაუზის აზრობრივ მნიშვნელობას დრამატურგიის ფორმირებაში, უხსნის, რომ ნაწარმოების ნელ, ცერემონიულ ხასიათს სჭირდება სიმძლავრის გრადაციები —ff ან  და ამის კარგი ფლობა; ასმენინებს ბგერათა მაქსიმალური გაშლილობის სიმძლავრეს და სთხოვს ამ გრძელ დროში მიმდინარე სმენად ლანდშაფტებში შეიგრძნოს ფორმის მთლიანობა, ბაროკოს ეპოქა და სტილი.

### მასტერკლასი 2: შოპენი. პოლონეზი fis moll

პროფესორ ლალი სანიკიძის სტუდენტთან ნინო კუპრეიშვილთან მასტერკლასს ატარებს იტალიელი პიანისტი  ალფრედ ნოზე.

მაესტრო სტუდენტის შესრულებას აფასებს არტისტულად, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს პოლონეზის, როგორც სასახლის ცეკვის ხასიათზე, რომ მისი

შესრულება საჭიროა სიამაყით, ღირსების გრძნობით. ყურადღების გამახვილებით ხვეწს პედალიზაციას, ასწორებს აკორდების ვერტიკალში ხმათა ბალანსს, უხსნის, რომ პოლონეზში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარცხენა ხელით გამოხატულ რიტმულ ფიგურაციას, რომელიც აძლევს სწორედ ნაწარმოებს ამაყ ხასიათს. სტუდენტმა მთელი ფაქტურა რამდენადმე ერთგვაროვან ხმოვანებაში გადმოგვცა. მაესტრომ თითქოს ჩამოაცალა ნაწარმოებს ხმოვანი სამოსი და დაიყვანა მხოლოდ მელოდიურ-ჰარმონიულ კონტრასტულობაზე. ასე უფრო გამოჩნდა მთავარი და მეორეხარისხოვანი შრეები, მუსიკალურ ქსოვილში შევიდა მეტი სინათლე. განსაკუთრებულ თავისებურებას შოპენის შესრულებაში წარმოადგენს რუბატო, რომელიც მეტყველებს შემსრულებლის გემოვნებასა და სიფაქიზის დონეზე.

გაკვეთილზე მუსიკის ქმნადობის პროცესს განსაკუთრებით თვალნათლივს ხდიდა სრულ არტისტულ ფორმაში მყოფი მაესტრო ნოზეს მეორე როიალზე ჩვენების მაღალი ხარისხი.

### მასტერკლასი 3. შუმანი. სიმფონიური ეტიუდები

მასტერკლასს ატარებს ოქსანა იაბლონსკაია (აშშ). სტუდენტს ნაწარმოები თავისი რეპერტუარიდან ახალი გამეორებული აქვს. მაესტრო ესაუბრება P-ს მოსმენაზე, მეტ ჩაღრმავებაზე, საორკესტრო ფერებზე — „ნუ ჩქარობ დროის გაყვანას, იგრძენი ნაწარმოებში კომპოზიტორის ბედისწერა“... იაბლონსკაია უკრავს მეორე ფორტეპიანოზე არცთუ ისე მისაბაძად, მაგრამ ძირითადი განწყობილებების ჩვენებით. გაკვეთილს უფრო ზოგადი, მიმოხილვითი ხასიათი აქვს. ლექსო პირმისაშვილი პროფესორ ედიშერ რუსიშვილის ნიჭიერი სტუდენტია და ვფიქრობ, დასრულებული სახით უფრო საინტერესოდ წარმოგვიდგენს ამ ნაწარმოებს.

### მასტერკლასი 4. ლისტი. მეფისტოვალსი

ასრულებს პროფესორ ედიშერ რუსიშვილის პირველი კურსის სტუდენტი თამთა მაღრაძე. მაესტრო — რამზი იასა (ეგვიპტე, საფრანგეთი).

თამთა მაღრაძე დიდი პიანისტური შესაძლებლობის მქონე სტუდენტია. ემოციურობა, ვირტუოზულობა, ტემპერამენტი მისი ძლიერი მხარეებია, მაგრამ ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა. მაესტრო მიუთითებს სტუდენტს თავიდან არ დაიწყოს ღია ბგერით. ექსპოზიცია არ წარმოაჩინოს ასე აქტიურად, რათა შემდგომში არ მოეკვეთოს განვითარების საშუალება, რომ ff-ს სისავსე არ შეიცვალოს უხეში დარტყმით, რომ კულმინაციისაკენ სწრაფვა ხდებოდეს არა წყვეტილად, არამედ შინაგანი ძაბვით. ლირიკულ ეპიზოდებში უფრო სათუთად იგრძნოს ფუნჯის მონასმის მშვენიერება, ბოლოს ზეფირში გახსნის ექსტაზი. ძირითადი აქცენტი კეთდება ენერგიის გამოყენების კონტროლზე. იასას ჩვენება, რადგან ის არ უკრავდა, დეტალებში ბევრად იყო დამოკიდებული თარჯიმანზე, მაგრამ ძირითადი განწყობილება მაინც გამოიკვეთა და ნამდვილად გასათვალისწინებელია.

მუსიკაში უამრავი ფერია და უამრავი ენერგიის გამოსხივება და ყველაფერი ეს თავისებურად გარდატყდება, მთავარია, ვის რა ესმის, როგორ ფიქრობს, როგორ გრძნობს და როგორ ფლობს ინსტრუმენტს; ამის დახვეწაში ეხმარება მათ პედაგოგი, მაგრამ რა თქმა უნდა, სხვა დიდ სპეციალისტთა კონსულტაციები დიდად საინტერესოა და სასარგებლო.

სამწუხაროდ, მე ვერ ვესწრებოდი ყველა მასტერკლასს და ვისაზღვრები მხოლოდ პირველი დღის შთაბეჭდილებებით, სადაც მოწვეულ მაესტროებთან ურთიერთობის ფონზე გარკვევით ჩანდა ჩვენი სტუდენტების ნიჭიერება და პედაგოგების მაღალი პროფესიონალიზმი.



ჰექტორ ბერლიოზი

# ბერლიოზის საღამო

*საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, რომელსაც ყოველწლიურად აწყობს ჯ.კახიძის სახ. თბილისის მუსიკალური ცენტრი, წელს გამორჩეული იყო. 21-ე ფესტივალის საღამოთა უმეტესობა წარმოადგენდა მიძღვნას მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი, აღინიშნა რ. ვაგნერის, ჯ. ვერდის, ჰ. ბერლიოზის, ს. რახამანინოვის, ი.ბრამსის, ნ. გაბუნიას საიუბილეო თარიღები.*

თამარ თავშავაძე

30 სექტემბერს XXI საერთაშორისო მუსიკალურმა ფესტივალმა „შემოდგომის თბილისი“ შესანიშნავი საღამო გვაჩუქა – ჰექტორ ბერლიოზის დაბადების 210 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელმაც სკეპტიკურად განწყობილი მსმენელ-მაყურებელიც კი არ დატოვა გულგრილი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე, სოლისტი ზაზა გოგუა და თბილისის სიმფონიური ორკესტრი ფეხზე ამდგარმა ოვაციით გააცილა. კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულდა „ჰაროლდი იტალიაში“ ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, მეორე განყოფილებაში კი „ფანტასტიკური სიმფონია“ აჟღერდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ბერლიოზის ნაწარმოებების მოსმენით ქართველი მსმენელი არც ისე განებივრებულია. ეს განსაკუთრებით ეხება „ჰაროლდს“, რომელიც, პირადად მე, ცოცხალი შესრულებით პირველად მოვისმინე. მსმენელთა ინტერესი ამ კონცერტისადმი ძალზე დიდი იყო – დარბაზში თითქმის ვერ ნახავდით თავისუფალ ადგილებს. აუდიტორია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მსმენელებისაგან შედგებოდა. ამ უკანასკნელთა შორის იაპონელები სჭარბობდ-

ნენ, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ კონცერტის ერთ-ერთი მონაწილე, ალტისტი ზაზა გოგუა, წლების მანძილზე იაპონიაში, კერძოდ, ქალაქ ოსაკაში მოღვაწეობს. უფრო მეტიც, იაპონელების ჯგუფი საქართველოში საგანგებოდ ოსაკადან გამოჰყვა ბატონ ზაზას, რათა მათი საყვარელი მუსიკოსის სამშობლო დაეთვალიერებინათ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ დღეებში მუსიკის საშუალებით ორ შორეულ ქვეყანას – იაპონიასა და საქართველოს შორის კიდევ ერთი ხიდი გაიდო – კონცერტისთვის ჩამოსულმა იაპონელებმა თბილისი, ანანური და გორი დაათვალიერეს, აღფრთოვანებულები წავიდნენ საქართველოდან, მათი სახით კი ჩვენმა ქვეყანამ კიდევ რამდენიმე გულწრფელი მეგობარი შეიძინა საზღვარგარეთ.

როგორც ცნობილია, „ჰაროლდი იტალიაში" უჩვეულო სიმფონიაა – დიდი სიმფონიური ორკესტრის გარდა ნაწარმოების შესასრულებლად სოლისტი – ალტისტიცაა საჭირო, რომელიც ნაწარმოების მთავარ გმირს – ჩაილდ ჰაროლდს განასახიერებს. საინტერესოა, რომ სიმფონიის მუსიკალურ მასალას საფუძვლად დაედო ბერლიოზის სონატა ალტისათვის, რომელიც კომპოზიტორმა პაგანინის თხოვნით დაწერა. ეს გარემოება უკვე იძლევა წარმოდგენას „ჰაროლდში" ალტის პარტიის ტექნიკური სირთულის შესახებ. ალბათ ალტისტი-სოლისტების სიმცირე არის თბილისის საკონცერტო დარბაზებში ამ ნაწარმოების იშვიათი შესრულების ერთ-ერთი მიზეზი. საბედნიეროდ, 30 სექტემბერს ეს პრობლემა არ იდგა – ზაზა გოგუამ დახვეწილი საშემსრულებლო მანერით, მდიდარი ბგერითი პალიტრით, ვირტუოზულად გაართვა თავი ბერლიოზის ურთულეს პარტიას და ვახტანგ კახიძესთან ერთად ბაირონისეული გმირის თავგადასავალი წარმოგვიდგინა. ჩვენ თვალწინ თითქმის კინოკადრებივით ჩაიარა ჰაროლდის თავგდასავლის ოთხმა ეპიზოდმა – მთებში ხეტიალმა, პილიგრიმების სვლამ, მთიელის სერენადამ და ბოლოს, გმირის დაღუპვამ. სიმფონიის დასრულების შემდეგ მსმენელებმა შემსრულებლები ხანგრძლივი ოვაციით დააჯილდოვეს. იაპონელებმა ზაზა გოგუას, მადლიერების ნიშნად, ულამაზესი თაიგულები მიართვეს. სასიამოვნო გრძნობა გეუფლება, როდესაც შენი თანამემამულე ასეთ სიყვარულს ნერგავს, თანაც როცა



ვახტანგ კახიძე

ეს სიყვარული ასე შორს, „ცხრა ზღვისა და მთის" დაშორებითაც იჩენს თავს. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთმა იაპონელმა სტუმარმა ზაზა გოგუა კალმახს შეადარა, რომელიც მდინარეში იბადება, შემდეგ ზღვაში გადის, მაგრამ თავის მდინარეს არასდროს ივიწყებს. იმედი ვიქონიოთ, რომ ბატონი ზაზა „თავის მდინარეს" შესანიშნავი კონცერტებით კიდევ არაერთხელ გაახარებს.

ძალზე შთამბეჭდავი იყო „ფანტასტიკური სიმფონიის" შესრულებაც. აქ იყო ყველაფერი, რასაც ამ ავტობიოგრაფიული, ულტრარომანტიკული ნაწარმოებიდან ელი: თეატრალური ეფექტები, მელანქოლია, სინატიფე, ფერადოვნება, უშრეტი ფანტაზია. ვახტანგ კახიძის კონცეფცია იყო მწყობრი და ერთიანი – სიმფონიის ყოველ ნაწილს გმირის ცხოვრებისეული დრამის ახალ ფაზაში გადავყავდით, აღმავალი დრამატული კრეშჩენდოთი, რომელიც გროტესკული კულმინაციით დასრულდა. ორკესტრი შესანიშნავად უკრავდა, გამოირჩეოდა მდიდარი დინამიური პალიტრით. შესრულების დახვეწილი მანერით ხასიათდებოდა ყველა საორკესტრო ჯგუფი.

კონცერტის დასასრულს მადლიერი მსმენელი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან დირიჟორსა და ორკესტრს. ყო-



გაგა გოგუა

ველი მხრიდან შეძახილები „ბრავო“ და „ბის“ ისმოდა. დირიჟორმა და ორკესტრმა გული არავის დასწყვიტა და ბისზე ბერლიოზის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები – „უნგრული მარში“ („რაკოცი მარში“) შეასრულა „ფაუსტის განკიცხვიდან“. ბრწყინვალე, ენერგიულმა მუსიკამ „ფანტასტიკური სიმფონიის“ ბოლო ნაწილის პირქუში გროტესკის სამყაროდან აუდიტორია სრულიად განსხვავებულ, ზეიმის ატმოსფეროში გადმოიყვანა, რომელიც, იმედია, ჩემსავით სხვა მსმენელებსაც მომდევნო დღემდე გაჰყვა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ორკესტრის ძალიან კარგი მომზადება, რაც უდავოდ, მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, ბატონ ვახტანგ კახიძის დამსახურება, მისი დიდი ძალისხმევის შედეგია. ამასთან, კოლექტივმა ახალი მუსიკალური ინსტრუმენტები მიიღო, ეს კი, პირველ რიგში, აისახა სასულე, კერძოდ, ლითონის ჩასაბერ საკრავთა ხმოვანებაში, რაც ტრადიციულად ქართული ორკესტრების „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენდა. როგორც „ჰაროლდში“, ისე „ფანტასტიკურ სიმფონიაში“ ლითონის ჩასაბერ საკრავებს წამყვანი როლი ეკისრებათ. ამ ამოცანას ორკესტრის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ორივე განყოფილების დასასრულს, აპლოდისმენტების დროს, დირიჟორმა საგანგებოდ წამოაყენა ლითონის ჩასაბერი ჯგუფის მუსიკოსები, რათა მათ დამსახურებული ოვაციები მიეღოთ მადლიერი მსმენელებისაგან.

დასასრულს მინდა იმედი გამოვთქვა, რომ თბილისის სიმფონიური ორკესტრი კვლავ განაგრძობს შემოქმედებით აღმავლობას, ხშირად გვაჩუქებს სიმფონიური მუსიკის საინტერესო საღამოებს და ბერლიოზის დაბადებიდან 220-ე წლისთავს არ დაელოდება ამ კომპოზიტორის სხვა ნაწარმოებების, მაგალითად, სიმფონია „რომეო და ჯულიეტას“ შესასრულებლად.



ნოდარ გაბუნია სტუდენტებთან ერთად

# უნიკალური პიროვნება

ნუცა კასრაძე

მასშტაბურად მოაზროვნე მუსიკოსი, უნიკალური პიროვნება... პირველ რიგში, უნიკალური თავისი მრავალმხრივობის გამო – ერთდროულად კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და ზოგადად პროგრესული მოაზროვნე. აი, ასეთი გახლდათ ბატონი ნოდარ გაბუნია – ჩემი მასწავლებელი (შეგნებულად ვუწოდებ სიტყვა მასწავლებელს, რადგან სიტყვა პედაგოგი არ უყვარდა, თავის თავს მასწავლებელს უწოდებდა, ჩვენ კი – მოწაფეებს).

2013 წელს მას 80 წელი შეუსრულდებოდა..

მისი მოწაფეები ყოველდღიურ მუშაობაში მუდმივად ვცდილობთ იმ მუსიკალური იდეების რეალიზებას, რისი მოწმეც გაკვეთილებზე ვიყავით, დღეს კი მე სიამოვნებით დავთანხმდი წინადადებას, წერილობით მომეგონებინა, საგანგებოდ მიმეპყრო ყურადღება მისი მოღვაწეობისთვის, აღმედგინა მის კლასში გატარებული დაუვიწყარი წლები.

ნოდარ გაბუნიას პედაგოგიურ მეთოდზე არსებობს კვლევები, მაგრამ სურვილი ყოველივე ამის კიდევ ერთხელ ფუნდამენტურად გაანალიზებისა, ისევ დიდია. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი სწავლის პერიოდი ბ-ნ ნოდარის პედაგოგიური მოღვაწეობის პიკს დაემთხვა.

ნოდარ გაბუნიას განსწავლულობა მუსიკაში და ზოგადად ხელოვნებაში იყო უსასრულო... თავად დახვეწილი მოქართულე, აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბებას



*„სინამდვილეში ჩვენი მუზა ისეთივე ცივია, როგორც მარადიული თოვლით შემოსილი მთის თვალუწვდენელი მწვერვალი, საიდუმლოებით მოცული – როგორც ღრმა უფსკერო უფსკრული, მაღალი, როგორც გამჭვირვალე უკიდეგანო ცის თაღი, უკარება, როგორც ცის დასალიერი.. ქალღმერთი ვერ იგუებს უმეცრებას, ვერ იტანს სიბრიყვესა და სულის მაძღრობას, ვერ პატიობს ღალატს“...*

**ნოდარ გაბუნია**

დიდ ყურადღებას აქცევდა (მასთან გაკვეთილზე იდეების გასაზიარებლად წინასწარ ვფიქრობდით და ვემზადებოდით). იყო უაღრესად კრეატიული და ამავე დროს, უსაზღვროდ აკადემიური. მოსკოვის კონსერვატორიაში ა. გოლდენვეიზერის კლასში საფორტეპიანო, ხოლო ა. ხაჩატურიანის კლასში საკომპოზიციო განათლება ნ. გაბუნიას ხელს უწყობდა მუსიკის კანონზომიერებანი კომპლექსურად, მთელი სისრულით ცოდნოდა. მისი, როგორც პედაგოგის ხელწერა იყო სრულიად განსხვავებული. იგი ფლობდა მუსიკის შექმნის ტექნოლოგიას და მუსიკის მთავარ – დრამატურგიულ მთლიანობას არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა. ამავდროულად, სა-

ოცრად დიდ დროს უთმობდა დეტალიზაციას და წმინდა საშემსრულებლო-ტექნოლოგიურ ამოცანებს. შეეძლო მთელი გაკვეთილი ნაწარმოების მთავარ თემაზე მუშაობისთვის დაეთმო. მახსოვს პროკოფიევის ტოკატაზე მუშაობისას აპლიკატურაზე და პედალიზაციაზე ჩატარებული საგანგებო გაკვეთილები.

ბ-ნი ნოდარი გვასწავლიდა, რომ მსხვილი ფორმის ათვისება მთელის სწორი (ბუნებრივი) დანაწევრებით იყო შესაძლებელი. უსაზღვროდ მუშაობდა მუსიკალური ფრაზის გააზრებაზე, ინტონირებაზე, ბგერითი მასალის შეფერილობაზე, ჰარმონიის შეგრძნებაზე, რიტმულ საწყისზე საგანგებოდ და დიდხანს... გვესაუბრებოდა მუსიკის თითოეული პარამეტრის რაობაზე და გვაფიქრებდა ნაწარმოების კონსტრუქციაზე. სწორედ ქმნილების კონსტრუქცია იყო მთავარი, რაზეც ჩვენს ყურადღებას მიაპყრობდა. მსხვილი ფორმის ნაწარმოების მთლიანობაში დასაძლევად ბ-ნი ნოდარი ათასგვარ ხერხს მიმართავდა. ნაწარმოების დრამატულ განვითარებაში დუმილს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.. ფორმაზე მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ცეზურებს – ნუ შეგეშინდებათ ცეზურების! — ხშირად გვიმეორებდა. მახსენდება ასევე მუსიკალურ ფაქტურაზე მისი საუბარი, იგი ადამიანის კანს ადარებდა მუსიკის ჟღერად ქსოვილს: „ხომ არასდროს დაეჭვდებით, ეს ცოცხალი ადამიანის კანია თუ არა? ასეთივე ცოცხალი უნდა იყოს მუსიკალური ქსოვილი მისი შემადგენელი ცოცხალი უჯრედებით"-ო.

მისი შემოქმედებითი უნარი ფართო და შეუზღუდავი იყო... კონცეფციურ აზრს აყალიბებდა ძალზედ მკაფიოდ. გაკვეთილიდან გაკვეთილამდე მოწაფეებისგან მოთმინებით ელოდებოდა, ნაწარმოების მხატვრული იდეის გააზრებას, ხოლო თუკი კარგახანს გასტანდა რაიმე ოპუსის უსახური, ინდივიდუალობას მოკლებული შესრულება, შემდეგ იძულებული ხდებოდა თავად შემოეთავაზებინა იდეა მუსიკალური ინტერპრეტაციისთვის. ყველაზე ცოცხალი და აზარტული იყო ის გაკვეთილები, როდესაც იდეით კმაყოფილი თავადაც აფრქვევდა ახალ შემოქმედებით იმპულსებს. მისი მუშაობა არტისტიზმზე იყო დაუვიწყარი. იგი რეჟისორული შტრიხებით აფერადებდა საკლასო კონცერტების ერთიან იდეებს — კონცეფციებს, როგორებიც იყო „მეოცე საუკუნის კომპოზიტორები და რომანტიკული მინიატურები", „იმპრესიონისტული გამოფენა", შუმანის ციკლები, რომანტიკული ციკლები და სხვა. ყოველივე ამაზე დიდი ხნით ადრე ფიქრობდა და მერე საჩუქრებივით გვირიგებდა ნაწარმოებებს... ბედნიერები ვიყავით მასთან სწავლით: ნატო წვერელი, ქეთევან ბადრიძე, ვალერიან შიუკაშვილი, თათა სანიკიძე, შემდგომ შემოგვიერთდნენ მამიკონ ნახაპეტოვი, ნინო გვეტაძე. ეს იყო სტუდენტობის საუკეთესო წლები.

საგანგებოდ აღსანიშნავია ბატონი ნოდარის დამოკიდებულება და სიყვარული ბელა ბარტოკის მუსიკის მიმართ. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ბ. ბარტოკის არაერთი ნაწარმოების პირველი შესრულება ნოდარ გაბუნიას სახელთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი კლასის კონცერტიც ბელა ბარტოკს მიეძღვნა. სიტყვებით ძნელი ჩამოსაყალიბებელია ის, თუ როგორ გადმოგვცემდა ბარტოკის მუსიკის ესთეტიკას, – ეს იყო ხან სიმღერა, ხან რიტმის დეკლამაცია, დასარტყამის იმიტაცია...

გაკვეთილებზე მუდმივად გვყავდა მსმენელი. ყოველი გაკვეთილი ღია გაკვეთილის კონცენტრაციას მოითხოვდა, თუმცა სტუმრების წინაშე დაკვრაზე უფრო საპასუხისმგებლო ჩვენთვის – სტუდენტებისთვის, ერთმანეთის წინაშე დაკვრა იყო.

ბ-ნი ნოდარი უმძიმეს — 90 იან წლებში, როდესაც საქართველოში ნავთქურა და სინათლე სანატრელი იყო, საუკეთესო პირობებს და სულიერ კომფორტს გვიქმნიდა სამეცადინოდ, და ეს ყველაფერი იყო განპირობებული მისი შინაგანი პოტენციალით, უნარით — მოეხდინა გარემოზე კულტურული (შემოქმედებითი) ზეგავლენა. ევროპული მენტალობის მქონე მუსიკოსი ცდილობდა სამშობლოში შეექმნა ინტელექტუალური ზრდისთვის საუკეთესო ატმოსფერო.

...მისდევდა ტექნიკურ პროგრესს და კომპიუტერული ტექნოლოგიები იტაცებდა. ასევე ინგლისურიდან თარგმნა მუსიკის თეორიის სახელმძღვანელო, რათა მარტივი ენით დაწერილი ამერიკული ლიტერატურა სტუდენტებისთვის მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ნოდარ გაბუნია მიწვეული იყო ლექციებით ლოიოლას უნივერსიტეტში, სადაც, ცხადია, ლექციებს და გაკვეთილებს ატარებდა ინგლისურად, ასევე

სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ ენას. ფრანგული კულტურის ღრმა მცოდნეს, განსაკუთრებით უყვარდა იმპრესიონიზმის პერიოდის მუსიკა. ბ-ნი ნოდარი იზიარებდა ხელოვნების სხვა დარგების მიღწევებსაც.

ფერწერასთან მისი დამოკიდებულება, ჩემი მოსაზრებით, ჰარმონიის, როგორც ფერის აღქმაში გამოიხატებოდა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ძირითად მნიშვნელობას ფორმათქმნადობის კანონზომიერებებს ანიჭებდა – მონუმენტური ხასიათის ნაგებობა იქნებოდა ის, თუ მინიატურა... ყოველივე ამისადმი დამოკიდებულება ყველაზე მკაფიოდ შეგვიძლია ამოვიკითხოთ მის ორიგინალურ ქმნილებებში – საკომპოზიტორო მემკვიდრეობაში.

29 სექტემბერს, საერთაშორისო ფესტივალის „შემოდგომის თბილისი" ფარგლებში ნ. გაბუნიას საიუბილეო კონცერტი გაიმართა. კონცერტს თან სდევდა არა მხოლოდ სევდა, რომელიც დარჩა მუსიკალურ სამყაროს ნ. გაბუნიას დაკარგვის გამო, არამედ სიხარულიც, რომელიც მისი მუსიკის აჟღერებამ მოგვანიჭა.

კონცერტზე აჟღერდა ნ.გაბუნიას კამერული მუსიკა. ნიშანდობლივია, რომ ნ.გაბუნიას საიუბილეო კონცერტს უმასპინძლა ჯ.კახიძის მუსიკალურმა ცენტრმა. ამ კონცერტის ჩატარება ბ-ნი ნოდარისა და ბ-ნ ჯანსუღ კახიძის მეგობრობისა და მუსიკალური ერთიანობის ტრადიციის გაგრძელებაცაა. მე მადლიერების გრძნობით მინდა ხაზი გავუსვა ბ-ნი ვახტანგ კახიძის დამოკიდებულებას ბ-ნი ნოდარის მემკვიდრეობის მიმართ. საიუბილეო კონცერტის ჩატარების იდეის ხორცშესხმა შესაძლებელი გახდა ბ-ნი ვახტანგის უშუალო მონაწილეობით. დიდ ძალისხმევაში, რაც წინ უძღოდა კონცერტს, ნ. გაბუნიას მიმართ დიდი სიყვარული და პატივისცემა იყო ჩაქსოვილი.

ბოლო დროს ნ. გაბუნიას შემოქმედებას მონატრებულმა მსმენელმა, მისი კამერული მუსიკით მიღებული შთაბეჭდილება მხურვალე მიღებით გამოხატა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი საღამო იყო, სადაც, მოწაფეებთან – მამიკონ ნახაპეტოვთან, ნინო გვეტაძესთან, ნუცა კასრაძესთან ერთად, ბ-ნი ნოდარის ქალიშვილი – ნატო მონაწილეობდა. ნატო, თავის ევროპელ კოლეგებთან ერთად, საგანგებოდ ჩამოვიდა ამსტერდამიდან ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. კონცერტში ასევე მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცო-სოპრანო – ნატალია ქუთათელაძე, რომელმაც შეასრულა ნ. გაბუნიას ვოკალური ციკლი –7 სიმღერა .

კონცერტზე შესრულდა სონატა – საყვირის, ფორტეპიანოსა და დასარტყამებისთვის, იმპროვიზაცია და ტოკატა სოლო ფორტეპიანოსთვის, საფორტეპიანო ტრიო (ვიოლინო, ჩელო და ფორტეპიანო).

ნოდარ გაბუნიას შემოქმედების კვლევა მრავალმხრივ მუშაობას მოითხოვს, მისი კამერული ნაწარმოებების ანალიზისთვის, ვფიქრობ, ეს კონცერტი სტიმულის მომცემია. აღსანიშნავია, რომ ყველა ქმნილების უცვლელ შემადგენლობაშია ფორტეპიანო. ნაწარმოები სოლო ფორტეპიანოსთვის – იმპროვიზაცია და ტოკატა პოპულარობით სარგებლობს, შეტანილი იყო თბილისის პიანისტთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსის სავალდებულო პროგრამაში.

კონცერტზე აჟღერებული ორი ტრიო სხვადასხვა პერიოდის თხზულებებია. ევროპაში მოღვაწე პიანისტებმა – ნინო გვეტაძემ და მამიკონ ნახაპეტოვმა, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ ნ.გაბუნიას მუსიკალურ ტრადიციებს, სიამოვნებით შეასხეს ხორცი ბ-ნი ნოდარის საკომპოზიტორო ქმნილებებს.

მეც გახლდით ამ კონცერტის ერთ-ერთი შემსრულებელი. ჩემი სუბიექტური ხედვა, ინტერპრეტაცია ,ბუნებრივია, ეყრდნობა ბ-ნი ნოდარისეულ განზოგადებებს.

მე ყოველთვის ვპოულობ მყარ კავშირებს მის მუსიკასა და მის პედაგოგიურ ხედვას შორის. ნ.გაბუნიამ ყველა იმ პლასტს, რასაც შეიცავს მისი მუსიკა, ვერბალური გამოხატვა უპოვა და გვასწავლიდა საშემსრულებლო ხელოვნებაში: ინტონირების მისეულ პრინციპს, რიტმისადმი ორიგინალურ დამოკიდებულებას. ნ.გაბუნიას საკომპოზიტორო მემკვიდრეობა ახალი ჰარმონიული მიგნებების, პოლიფონიის, რთული რიტმული ქსოვილისა და მრავალი ფერის შემცველია. მისი მუსიკის სიმდიდრე ხასიათობრივ კონტრასტებშიცაა – ვაჟა-ფშაველას ტექსტზე დაწერილი არქაული ინტონაციებით შემოსილი სიმღერა თუ გურული პოლიფონიით შთაგონებული იუმორით აღსავსე ღიღინი... თუმცა საერთო ერთი აქვთ – უბრალოება მუდამ თან სდევს მის მუსიკას.

ტრაგიზმით აღსავსე 7 სიმღერის შინაარსის მსმენელამდე მიტანა, რომლის აკომპანემენტიც შევასრულე, ურთულეს მხატვრულ ამოცანას ისახავდა. ვფიქრობ, ნოდარ გაბუნიას ვოკალური ციკლი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მის შემოქმედებაში და მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ვერსია, რომელმაც ამ კონცერტზე გაიჟღერა, რამდენადმე განსხვავებული იყო შესრულების აკადემიური მანერისგან.

ნ.გაბუნიას მუსიკა ადრეული ასაკიდან მახსოვს... კლასიკად ქცეული მისი „იგავი“ (ნაწარმოები კამერული ორკესტრის, მთხრობელისა და მთქმელებისთვის (ვოკალი) ბავშვობიდან ჩაიბეჭდა ჩემ მეხსიერებაში დამახასიათებელი საკომპოზიტორო ხელწერით. ჩემი, როგორც შემსრულებლის უშუალო შეხება ნოდარ გაბუნიას მუსიკასთან დაიწყო „მოწაფის დღიურიდან“. აღსანიშნავია ერთი გარემოება — იგი ძალიან თავშეკავებული იყო თავისი ნაწარმოებების პოპულარიზაციის თვალსაზრისით. არასოდეს შემოუთავაზებია თავისი ნაწარმოები შესასრულებლად, თუმცა გაირკვა, რომ ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და კონსერვატორიის რექტორის დატვირთვის პარალელურად საკომპოზიტორო მუშაობასაც ასწრებდა. მამიკონ ნახაპეტოვის (ფ-ნო), ნატო გაბუნიასა (ვ-ნო) და მაია ბოგდანოვიჩის (ჩელო) მიერ შესრულებული ტრიო 1997 წელს არის დაწერილი, ეს სწორედ ჩვენ კლასთან ბ-ნი ნოდარის მუშაობის აქტიური პერიოდია. თუკი გავიხსენებთ, რომ ყოველდღე თუ არა, თითქმის ყოველ მეორე დღეს გვქონდა გაკვეთილი, ვფიქრობ, ამგვარი სხვადასხვა ტიპის ინტენსიური მუშაობის შეთავსება პრაქტიკულად შეუძლებელიც კი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ საამისოდ ოჯახშიც შესანიშნავი გარემო ჰქონდა შექმნილი, მისი მეუღლე — ქალბატონი ზიზი ჩვენს მიმართაც კი საოცარ მზრუნველობას იჩენდა.

პირველი რესპუბლიკური კონკურსისთვის მზადებისას, სადაც ქართული ნაწარმოების შესრულება იყო აუცილებელი, ბატონმა ნოდარმა გამონაკლისის სახით შესასრულებლად მომცა საფორტეპიანო ციკლი „მოწაფის დღიურიდან“. ეს ფაქიზი მინიატურების ნაკრები ჩემი თანამგზავრია ყველგან. ციკლი „მოწაფის დღიურიდან“ ბ-ნი ნოდარის მითითებებით შევისწავლე და მისეული ინტონირებით სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში. ციკლი საოცარი სისუფთავით გამოირჩევა. ჩვენს წინაშე იშლება ბავშვის კრისტალური სამყარო. იგი საახალწლოდ შესრულდა და ეს იყო ჩემი პირველი ნაწარმოები, რაშიც ჰონორარი მივიღე და ჩემ შვილს ნაძვის ხე ვუყიდე... მაშინ ბ-ნი ნოდარი უკვე ავად იყო. ამსტერდამში მივწერე წერილი — მადლობა ნაძვის ხისათვის! კიდევ მრავალი ფაქიზი მოგონება მაკავშირებს ბ-ნ ნოდართან... მანვე მაზიარა იმ პედაგოგიურ საიდუმლოებებს, რომლებსაც ეს პატარა სტატია ვერ დაიტევს. ვიმედოვნებ, დროთა განმავლობაში, მოწაფეებს გავუზიარებ...

29 სექტემბერს ჩატარებული საღამო კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ნოდარ გაბუნიას მუსიკალური მემკვიდრეობა იცოცხლებს!



რეკორდსმენი?! — ეს სიტყვა ხომ, ჩვეულებრივ, სპორტსმენებთან მიმართებაში იხმარება და რა შუაშია იგი პიანისტის ხელოვნებასთან კონტექსტში? მაგრამ ნახეთ, როგორ არის განმარტებული ეს ტერმინი თავისი მეორე მნიშვნელობით (!) უცხო სიტყვათა ლექსიკონებში: „ადამიანი, რომელმაც მიაღწია უმაღლეს მაჩვენებლებს თავის შრომასა და პროფესიაში“.

# რევაზ თავაძე
## ქართული პიანიზმის რეკორდსმენი

გულზათ ტორაძე

ვფიქრობ, რომ ეს დეფინიცია სავსებით შეესატყვისება რევაზ თავაძის პიროვნულ და შემოქმედებით პარამეტრებს და სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როდესაც ვფიქრობდი, თუ როგორ დამესათაურებინა წერილი შესანიშნავი მუსიკოსის — პიანისტისა და პედაგოგის — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის რევაზ (რეზო) თავაძის შესახებ.

რ. თავაძემ თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობით, მართლაც რომ, დაიმსახურა მაღალი ეპითეტები, როგორც შემსრულებელმა, ბევრი ახალგაზრდა პიანისტის აღმზრდელმა, უნიკალური სალექციო კურსის — „მსოფლიო პიანისტური ხელოვნების ისტორიის“ შემქმნელმა და ამ უკანასკნელის ნიჭიერმა პროპაგანდისტმა რადიოეთერში.

წერილის დაწერის უშუალო საბაბად კი იქცა ის, მართლაც და, „სარეკორდო აქცია“, რომლის მოწმენიც გავხდით ამასწინათ, როდესაც 76 წლის პიანისტმა გამართა „სრულმეტრაჟიანი“, მრავალმხრივ საინტერესო სოლო კონცერტი.

ამ კონცერტს კონკრეტულად ქვემოთ შევეხებით, მანამდე კი რეზო თავაძის მდიდარი ადამიანური და შემოქმედებითი ბიოგრაფიის უმთავრესი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

რეზოზე ზედგამოჭრილია ცნობილი ქართული შეგონება — „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. მამამისი — გამოჩენილი ქართველი სცენოგრაფი, რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარი დიმიტრი თავაძე იყო, დედა კი — ქალბატონი ლარისა გალიცკაია — პიანისტი და პედაგოგი, თბილისის კონსერვატორიის საერთო ფორტეპიანოს კათედრის გამგე — მრავალი წლის მანძილზე.

აქვე უნდა ვახსენოთ რეზოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სულიერი დედა“ — გამოჩენილი პედაგოგი, მრავალი ცნობილი პიანისტის აღმზრდელი, კონსერვატორიის პროფესორი, ქალბატონი ვანდა შიუკაშვილი, რომლის მეურვეობითაც ჩვენი წერილის გმირმა გაატარა ბავშვობისა და სიყმაწვილის წლებიც და „მუსიკალური უნივერსიტეტის“ ხანაც.

უკვე კონსერვატორიაში და, განსაკუთრებით, მისი დამთავრების შემდეგ, 1960 წელს (რასაც მოჰყვა ასპირანტურის წლები - 1960-1963) რ.თავაძემ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება თავისი მაღალი საერთო და მუსიკალური კულტურით, მაძიებელი სულით. მისი საკონცერტო პროგრამები მუდამ კარგად გააზრებული და საინტერესოა. იგი ქართველი კომპოზიტორების, მათ შორის, მისი ახლო მეგობრის — ნოდარ გაბუნიას, აგრეთვე ნოდარ მამისაშვილის, მიხეილ შუღლიაშვილის, ედუარდ სანაძის მთელი რიგი ნაწარმოებების პირველი და საუკეთესო შემსრულებელია.



რევაზ თავაძე, ნოდარ გაბუნია

უნდა ითქვას, რომ ასაკის მომატებასთან ერთად, რ. თავაძის პიანისტური მოღვაწეობა სულ უფრო ფართო მასშტაბს იძენდა, იგი აღარ კმაყოფილდებოდა საკონცერტო გამოსვლებით მშობლიური კონსერვატორიის დარბაზებში, თუ ადრე მას მოვლილი ჰქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქები, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან — „სიმძიმის ცენტრი“ გადააქვს გერმანიის ქალაქებზე. განსაკუთრებით გაუშინაურდა ცნობილ კულტურულ ცენტრებს — ქ.მაგდებურგსა და ბრაუნშვაიგს, სადაც 7-ჯერ იქნა მიწვეული კონცერტებისა და „მასტერ-კლასების“ ჩასატარებლად.

თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევენ მას ადგილობრივი სპეციალისტები, ნათლად ჩანს უკვე მისი კონცერტებისადმი მიძღვნილი რეცენზიების სათაურებიდან: „ოვაციები მაღალი ხელოვნებისათვის“, „საფორტეპიანო მუსიკის დაუვიწყარი საღამო“, „თითქმის აკრობატული ვირტუოზულობა“ და სხვა მაგდაგვარი.

მოვიგონოთ ისიც, რომ რ. თავაძე V კოლექციის (კომპიუტერული წიგნის) შემდგენელია, რომლის დისკებში აღბეჭდილია მთელი არსებული საფორტეპიანო მუსიკალური ლიტერატურის საუკეთესო ნაწილი, მრავალი ათეული გამოჩენილი პიანისტის (მათ შორის, ქართველების) შესრულებით.

ცალკე საუბრის თემაა ბატონი რევაზის პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც უკვე 40 წელი გრძელდება. არაერთ მის მოწაფეს წარმატება ხვდა საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ კონკურსებზე. ასეთები არიან ელისო ასათიანი, რომელიც აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა ევროპისა და ამერიკის ქალაქებში, ლელა ქაცარავა (პარიზი), თეა მამალაძე (კანადა მონრეალი), ჯემალ თავაძე (კომპოზიტორი, და პიანისტი). ამჟამად აგრძელებენ სწავლას პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში თამარ მიქელაძე, გიორგი მიქაძე, ანა ღლიღვაშვილი, ირაკლი ჭუმბურიძე, ნინო კოტრიკაძე, ეკა ვახვახიშვილი. ამჟამად მისი წარმატებული სტუდენტები დავით ჯინჯიხაძე და თემურ ნათობიძე.

რ.თავაძე წლების განმავლობაში იყო კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის გამგე. იგი პროფესორ-ემერიტუსია, მონაწილეობდა სახელმწიფო კამერული ორკესტრის დაარსებაში და მასთან ერთად გამოდიოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გამართულ კონცერტებზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუსიკოსები არიან მისი მეუღლე — ქალბატონი ლალი რჩეულიშვილი (პიანისტი) და ქალიშვილი რუსუდანი (ფლეიტისტი).

2002 წლიდან თავაძეს კონსერვატორიაში მიჰყავს „პიანიზმის ისტორიის“ კურსი. დავესწარი მის რამდენიმე ლექციას და მივიღე დიდი სიამოვნება. ვფიქრობ, საჭიროა მისი ლექციების გამოცემა ცალკე წიგნად.

ახლა კი იმ „სარეკორდო“ კონცერტის შესახებ, რომელიც 76 წლის რ. თავაძემ ამასწინათ ჩაატარა კონსერვატორიის მცირე დარბაზში და რომელიც ეძღვნებოდა მისი მეგობრის, გამოჩენილი კომპოზიტორის, პიანისტისა და პედაგოგის — ნოდარ გაბუნიას (1933-2000) დაბადებიდან 80 წლისთავს.

საფორტეპიანო საღამოს პროგრამა, როგორც მუდამ, სოლიდური და კარგად გააზრებული იყო, შეიცავდა ნ. გაბუნიას სონატას a capriccio, ბეთჰოვენის სამ ცნობილ სონატას (№№ 6, 17, 14) და ორიგინალურ, სიურპრიზულ — „რეტროსპექტულ ინტერმეცოს“ (რ. თავაძის განსაზღვრით), რომელიც შედგებოდა შონბერგის — „კლავირშტუკის“ თხზ. 19 №2, ბრამსის „ინტერმეცოს“ — მი-ბემოლ მინორი თხზ. 118 №6, შოპენის პრელუდიის № 15 და მოცარტის სი-მინორული ფანტაზიისაგან.

ამავე თანმიმდევრობით შევეხოთ შესრულებულ პროგრამას. დავიწყებ იმით, რომ რეზო გახლდათ ნ. გაბუნიას მრავალი საფორტეპიანო ნაწარმოების პირველი შემსრულებელი და სანიმუშო ინტერპრეტატორი, რაც ერთხელ კიდევ დაადასტურა სარეცენზიო კონცერტმა ყველა თავისი მხატვრული პარამეტრით.

ხოლო სანამ ბეთჰოვენის სონატების შესახებ დავიწყებდე საუბარს, აუცილებლად უნდა გავიხსენო რეზოს მიერ მისი დაბადების 70 წლისთავზე (2007) შესრულებული ბეთჰოვენის სონატა — აპასიონატა, რომელიც მსმენელთა წინაშე უმაღლესი ინტერპრეტატორული ეტალონების დონეზე წარმოდგა.

ამჯერად კი, ძალიან მოგვეწონა ბეთჰოვენის სონატების (განსაკუთრებით, მე-14, და მე-17-ის) შესრულება, რომელიც ზუსტად შეესატყვისებოდა ამ უკვდავი ქმნილებების მხატვრულ შინაარსს, მუსიკალურ დრამატურგიას, პიანისტურ სტილს.

ბრავო, ბატონო რეზო!

რაც შეეხება „რეტროსპექტულ ინტერმეცოს“, მან მსმენელთა მოწონება დაიმსახურა, როგორც ნაწარმოებთა (ძირითადად, მინიატიურულთა) შერჩევით, ისე მათი დახვეწილი, მაღალი გემოვნებით აღბეჭდილი შესრულებით.

„ბისზე“ პიანისტმა დაუკრა ბრამსის „ვალსი“ (უნდა ვაღიარო, რომ აქამდე არ მქონდა გაგონილი ბრამსის ვალსების შესახებ. თქვენ?)

აი, ასეთი გახლდათ რევაზ თავაძის „სარეკორდო“ კონცერტის მხატვრული პერიპეტიები. მოგეხსენებათ, ყოველი რეკორდი, არასტაბილურ კატეგორიათა რიცხვს ეკუთვნის და მუდამ თავისი გაუმჯობესების მოლოდინშია.

ჩვენც, ჩვენი მხრივ, დაველოდოთ ამ მომენტს და ვუსურვოთ ბატონ რეზოს — შესანიშნავ პიროვნებასა და ნიჭიერ ხელოვანს, რომ მან კიდევ უფრო მაღლა ასწიოს თავისი „სარეკორდო თამასა“ და კვლავაც წარმოდგეს მადლიერი მსმენელის წინაშე ახალი საკონცერტო პროგრამებით.

# „გამოიღვიძე ჩანგო და ქნარო“

მაია იასეშვილი

საღვთო წერილი ამბობს, რომ მუსიკის უპირველესი დანიშნულება ღვთის დიდებაა (ფს. 150). ღვთის დიდებას, წმინდა წერილის, ეკლესიის მამათა მოძღვრების შესწავლას ეძღვნება ახალქალაქში წმინდა ნინოს სახელობის საღვთისმეტყველო სასწავლებელში ჩატარებული სემინარები, რომლებშიც ხელოვნებისადმი მიძღვნილი პროგრამებიცაა ჩართული.

3 ოქტომბერს 2013-2014 სასწავლო წლის პირველი შვიდეულის სემინარის დროს საღვთისმეტყველო სასწავლებელს ესტუმრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-ემერიტუსი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი — რუსუდან ხოჯავა. ლექცია-კონცერტი მიეძღვნა იოჰან სებასტიან ბახის შემოქმედებას. ამ მოვლენაზე სასაუბროდ ვესტუმრეთ ქალბატონ რუსუდანს.

**რუსუდან ხოჯავა** — ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი, მეუფე ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) ახალქალაქის წმ. ნინოს სახელობის საღვთისმეტყველო სასწავლებლის რექტორია.

მეუფე ძალიან კარგად ერკვევა მუსიკალურ ხელოვნებაში, მას განსაკუთრებულად უყვარს იოჰან სებასტიან ბახის მუსიკა, აქვს გლენ გულდის ჩანაწერების მდიდარი კოლექცია. მეუფე ნიკოლოზი მთელი არსებით შეიგრძნობს, რომ ბახის მუსიკის ამაღლებული, შეიძლება ითქვას, სულის მკურნავი ძალა ამ მუსიკის ღვთივსულიერებაშია.

ამბობენ, რომ ბიბლიის კითხვის შემდეგ ადამიანზე მსგავს სულიერ ზემოქმედებას ვერაფერი ახდენს.



რუსუდან ხოჯავას ლექცია- კონცერტი

„თითქოს მარადიული ჰარმონია ესაუბრება თავის თავს ღმერთზე — სამყაროს შექმნის წინ“ — წერდა გოეთე ბახის მუსიკაზე.

„მუსიკა ბახისთვის ღვთისმსახურება იყო, ამიტომაც ამ ხელოვნებას არაფერი ჰქონდა საერთო, ამასოფელთან და არც ამქვეყნიურ წარმატებასთან“ — ამბობდა ალბერტ შვაიცერი.

ბახი თავისი ნაწარმოებების ბოლოში წერდა ხოლმე: S.D.G. (Soli Deo Gloria — ერთარსებასა ღმერთსა დიდება).

ბახი ბიბლიის საუკეთესო მცოდნე იყო, ცხოვრების დიდი ნაწილი მან ეკლესიაში გაატარა, პასტორის გვერდით. გერმანული და ლათინური ბიბლია მისი სამაგიდო წიგნები იყო.

იოჰან სებასტიან ბახი გაოცებული იყო იმით, რომ მისი გვარი მუსიკალურია — შედგება ბგერებისაგან: BACH (სი-ბემოლ, ლა, დო, სი). და თანაც BACH გრაფიკულად ჯვარს გამოხატავს.

ბახის მუსიკა განასახიერებს ტანჯვას, სინანულს, ვედრებას და იმავდროულად ღვთის სიყვარულით აღსავსე იმედს, სიხარულის ზეიმს — ბახის მუსიკა ღვთაებრივია. „ღვთაებრივი“ — ამ სიტყვას ბახის მუსიკის დახასიათებისას თითქმის ყველა მიმართავს, თვით მუსიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანიც კი. ამიტომაც იყო ჩემთვის საპატიო, საპასუხისმგებლო და საინტერესო ღვთისმსახურთაგან შემდგარი აუდიტორიის წინაშე იოჰან სებასტიან ბახის მუსიკის შესრულება.

**მ.ი. — როგორ მოხდა თქვენი დაკავშირება ამ გარემოსთან?**

**რ.ხ.** — დიდი ხანია ვიცნობ მეუფე ნიკოლოზს. თბი-

ლისში, დარეჯანის სასახლეში ვესწრებოდი მის საუბრებს მართლმადიდებლობაზე. ეს შეხვედრები დიდ ინტერესს იწვევდა ახალგაზრდებში.

საუბრები, რომლებიც ხშირად ქადაგების ხასიათს ატარებდა, დამსწრე საზოგადოებას ეხმარებოდა რწმენის გაღრმავებაში, მსმენელი იღებდა სულიერ, ინტელექტუალურ საზრდოს საღვთო წერილიდან და საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან. საუბრები აგრეთვე ეხებოდა ხელოვნებასაც, რომელიც ზნესრულობისკენ მოუწოდებდა მსმენელს. მეუფე ზრუნავდა ახალგაზრდების თვალსაწიერის გაფართოებაზე — უჩვენებდა, მაგალითად, კინოფილმებს, რომლებიც ჰუმანურობის პრინციპებს ამკვიდრებდნენ.

როცა მეუფე ნიკოლოზმა კონცერტი-საუბრის ჩასატარებლად მიმიწვია ახალქალაქში, მე ძალიან გამეხარდა, რადგან მომეცა საშუალება წარვმდგარიყავი იმ ადამიანების წინაშე, ვისთვისაც უპირველესია რწმენა, სულიერება. მსმენელი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისთვისაც მუსიკის ყოველი შესანიშნავი ნიმუში ღვთიური შთაგონების ნაყოფია. ამ ნაწარმოებებში გამოხატული გრძნობები განწმენდილი, ამაღლებული და თითქმის ყოველთვის უზენაესისაკენ ლტოლვის გამოხატულებაა. „ცათა მელოდია, რომელიც ესმა დიდ დავითს... მიიწვდომება შეგრძნებებზე ამაღლებული გონებით...“, — ბრძანებს წმ. გრიგოლ ნოსელი. მეუფემ მთხოვა, რომ ბახის ყოველი ნაწარმოების შესახებ მესაუბრა, ამავდროულად შეკითხვებს ვპასუხობდი.

ძალიან ბედნიერი ვიქნები თუ კვლავაც მომეცემა საშუალება წარვსდგე ამ აუდიტორიის წინაშე.

**მ.ი. — როგორი განწყობა გქონდათ შესრულების დროს?**

**რ.ხ.** — ფიქრობენ, რომ შემსრულებელსა და მსმენელს უხილავი ტალღები, ვიბრაციები აკავშირებს და ამიტომაცაა, რომ შემსრულებელი გრძნობს ხოლმე მსმენელის რეაქციას.

მიუხედავად იმისა, რომ სრულიად განსხვავებულ აუდიტორიის წინაშე დამიკრავს — გამოუცდელი მსმენელიდან კორიფეებამდე — ამჯერად სულ სხვა განცდა დამეუფლა. მსმენელები ძირითადად სასულიერო პირები იყვნენ, მრევლი, და აგრეთვე, საოცრად დაინტერესებული, სათნო ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს საზღვარს იცავენ. ვიგრძენი, რომ მსმენელი სხვა ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, სხვა სიღრმეებსა და სულიერებას წვდებოდა და ეს არა იმიტომ, რომ ჩემი დაკვრა იმჟამად უნაკლო და სრულყოფილი იყო.

ბახის მუსიკის ცნობილი მკვლევარისა და შემსრულებლის მოზევიუსის (1788-1858) სიტყვებით, ბახის ნაწარმოებებში უნდა ვეძიოთ ბახი და არა საკუთარი თავი და მოწიწებით შევიგრძნოთ, რომ ადამიანებს ვთავაზობთ რაღაც ძვირფასს არა მარტო მათი მხატვრული აღქმისათვის, არამედ სულისათვის. მაშინ ისინი ყოველთვის აღიქვამენ ჭეშმარიტ ბახს, რაც არ უნდა სხვადასხვანაირად ჟღერდეს იგი.

**წმ. ნინოს სახელობის საღვთისმეტყველო სასწავლებლის პრორექტორის, დეკანოზ მამა ალექსანდრეს (ქასრაშვილი) სიტყვებით სემინარები ეწყობა წელიწადში ოთხჯერ და გრძელდება ერთი კვირის მანძილზე. სემინარებს საღამოობით ახლავს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. ვიწვევთ მწერლებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, ეწყობა გამოფენები.**

**უმაღლეს ჭეშმარიტებას მსმენელი ეზიარება რწმენით და იმ ღვთიურ კანონზომიერებებში გარკვევით, რომლებზედაც აგებულია მხატვრული ნაწარმოები. რამდენადაც „ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან“ (იაკ. 1,17), ამდენად ყოველი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება ისევ და ისევ უფლის სადიდებლად აღვლენილი საგალობელია.**



# არჩილ
## კერესელიძე – 100

*„გაივლის ხანი, გაივლის წლები, როგორც იტყვიან მრავალი წყალი ჩაივლის, ხოლო არჩილის მუსიკა, ამაღლებული ერის სიმღერად დიდხანს იგუგუნებს ქართულ მიწაზე“.*

*რევაზ ლაღიძე*

გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს არჩილ კერესელიძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. სასიხარულოა, რომ ეს თარიღი მართლაც რომ ღირსეულად აღინიშნა. საიუბილეო ღონისძიებები გამსჭვალული იყო იმ  სიყვარულითა და ხიბლით, რაც მუდამ თან სდევდა არჩილ კერესელიძის შემოქმედებასა და მის საოცრად მიმზიდველ პიროვნებას

თბილისის კონსერვატორიის მუზეუმში გაიმართა გახსენების საღამო, იგი მიჰყავდა ნესტან მესხს. გამომსვლელებმა ისაუბრეს არჩილ კერესელიძის შემოქმედებაზე, მის დაუვიწყარ პიროვნებაზე, განუმეორებელ იუმორზე, შესრულდა მისი ნაწარმოებები (ამის შესახებ მასალა იხ.  ჟურნალ „მუსიკაში“, №2, 2013).

საზოგადოებრივმა რადიომ მიუძღვნა გადაცემათა ციკლი, სადაც თემატურად იქნა წარმოდგენილი კომპოზიტორის შემოქმედება (ა.კერესელიძის მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდი, კლასიკური ნაწარმოებები; — არჩილ კერესელიძე და ქართული თეატრი; — არჩილ კერესელიძე და ქართული კინო,), ამისათვის მოძიებულ იქნა აუდიომასალა საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდიდან“, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმიდან, საოჯახო არქივიდან.  როგორც  გადაცემის ავტორი, მუსიკისმცოდნე ნია ბახტაძე აღნიშნავს,  შემდეგ გაჩნდა იდეა ამ თარიღთან დაკავშირებით განხორციელებულიყო მასშტაბური პროექტი (იდეისა და პროექტის



ᲐᲠᲩᲘᲚ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚ ᲑᲐᲠᲔᲚᲘᲔᲤᲗᲐᲜ

ავტორი ნია ბახტაძე), რაც წარმატებით დაგვირგვინდა: გამოიცა არჩილ კეესელიძისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ალბომი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზაზე (გამოყენებული იქნა მზია იაშვილის მონოგრაფია „არჩილ კერესელიძე“, კომპოზიტორის მეუღლის, ნაზი ჭავჭანიძის წიგნი „ღიმილით დადის“), ვეცნობით შეფასებებს, რასაც აძლევენ კერესელიძის შემოქმედებას. ალბომს ამშვენებს უნიკალური ფოტოები (დიზაინერი კახა ბახტაძე), აგრეთვე ერთვის სიმღერების დისკი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ბაღში — „უკვდავი სავანე“ — გაიხსნა არჩილ კერესელიძის ბარელიეფი (ავტორი, მოქანდაკე გია ჯაფარიძე), აქვე შედგა საღამო-კონცერტი, ღია ცის ქვეშ აჟღერდა არჩილ კერესელიძის სიმღერები, რომელთა უმრავლესობას მთელი საქართველო მღეროდა და მღერის („ყელსაბამი“, „ერთხელ ვიხილე“, „საპოვნელა“, „მენახშირე“ და ა. შ.). კონცერტში მონაწილეობდნენ: ანსამბლი „მუხამბაზი“, ვაჟთა ვოკალური ტრიო, თეატრალური ინსტიტუტის კვარტეტი, დები ჭოხონელიძეების ტრიო, ნუკრი კაპანაძე, ია შუღლიაშვილი, დათო არჩვაძე, ნეკა სებისკვერაძე, სოფო გელოვანი, არჩილ კერესელიძის შვილთაშვილი — ირინა იაშვილი.

# მეგრული სიმღერის ხობის მეექვსე ფესტივალზე

მამუკა ნაცვალაძე

მეგრული სიმღერის ხობის საერთაშორისო ფესტივალმა საიუბილეო მეათე წელი მოილია. ბოლო, რიგით მეექვსე ფესტივალი მეგრულ ტრადიციულ სიმღერასთან ერთად ლეგენდარული ანსამბლ „მზიურის" ყველა თაობას მიეძღვნა. „მზიურის ფესვებიდან" — ასეთი სლოგანი ამშვენებდა ხობის ფესტივალის საზეიმოდ მორთულ სცენას.

ფესტივალის მშვენება გახლდათ ცნობილი მომღერალი, „მზიურელი" თამარ გვერდწითელი, რომელმაც ყველა საქმე გადადო, გადადო კონცერტები, ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ჩამოვიდა და თავისებური ხიბლი შესძინა მეგრული სიმღერის ზეიმს.

ტრადიციულად ხობის ყველა ფესტივალს ჰყავს თავისი ვარსკვლავი. მეექვსე ფესტივალის ვარსკვლავი სწორედ თამარ გვერდწითელი გახლდათ.

მესამე ფესტივალიდან მოყოლებული საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თანადგომის გარეშე ხობის ფესტივალი არ ჩატარებულა. შესანიშნავი სიმღერები შექმნეს სპეციალურად ხობის ფესტივალისთვის კომპოზიტორებმა: ვაჟა აზარაშვილმა, ნუნუ დუღაშვილმა, მარიკა კვალიაშვილმა, ოთარ ტატიშვილმა, ჯუმბერ ჯანდიერმა, რუსუდან ხორავამ. ხოლო გომარ სიხარულიძემ სიმღერა „მიძღვნა", რომელიც ძუკუ ლოლუასადმია მიძღვნილი.

ამჯერად კახა ცაბაძემ შექმნა სიმღერა მერაბ კაკულიას ტექსტზე, რომელიც ანსამბლ „მზიურის" შესრულებით მოისმინეს ფესტივალის სტუმრებმა.

ამ მნიშვნელოვანი კულტურული ფორუმის შესახებ გვესაუბრება ხობის მეგრული სიმღერის ფესტივალის



თეატრალური უნივერსიტეტის ანსამბლი

სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი და ფოლკლორისტი – ბატონი გომარ სიხარულიძე.

**– მეექვსე ფესტივალი იმით გამოირჩა, რომ საიუბილეო მეათე წელი მიითვალა 2003 წელს დაარსებულმა ღონისძიებამ. ფესტივალი ტრადიციულად ქართული სიმღერის გამოჩენილ ოსტატებსა და შემოქმედებით კოლექტივებს ეძღვნება. წინა წლებში ფესტივალი მიეძღვნა ზურაბ სოტკილავას, ალექსანდრე ბასილაიას, ანსამბლ „გორდელას" 50 წლისთავს, ამჯერად აქცენტი თაობათა კავშირზე გაკეთდა, ამის საუკეთესო სიმბოლური მაგალითი გახლავთ ლეგენდარული ან-**

სამბლი „მზიური“, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი გურამ ჯაიანი აგერ უკვე მეშვიდე თაობას ზრდის.

მეექვსე ფესტივალზე სწორედ ამ ანსამბლის ყველა თაობა წარსდგა მსმენელის წინაშე, რომლებმაც ჩვეული ოსტატობით შეასრულეს მეგრული სიმღერები.

თაობათა კავშირის საუკეთესო მაგალითი აჩვენეს როგორც ადგილობრივმა, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულმა კოლექტივებმა. განსაკუთრებით სახალისო და საინტერესო გახლდათ ფოთის, წალენჯიხისა და ხობის ანსამბლები, რომლებიც სცენაზე გამოვიდნენ თავიანთ შვილებსა და უმცროს მეგობრებთან ერთად.

— ათი წელი ის დროა, როცა შედეგებზე უნდა ვილაპარაკოთ. რა მოიტანა ამ ფესტივალმა, რამდენად იგრძნობა მისი გავლენა ხობში?

— შედეგი მართლაც საოცარია, ჯერ ერთი, მთელი სამეგრელო ცხოვრობს ფესტივალიდან ფესტივალამდე. ყველა რაიონი, ყველა სოფელი ემზადება საგანგებოდ ამ კულტურული ფორუმისათვის,

მთავარი შედეგი ისაა, რომ მეგრულ სიმღერას არაფერი ემუქრება, დიდი პატრონი ჰყავს ცნობილი ქველმოქმედის, ხობის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას სახით, მას სამეგრელოს კულტურული საზოგადოება აჰყვა და მივიღეთ შესანიშნავი შედეგი. დაიწყო ის სასიამოვნო და ერისთვის მნიშვნელოვანი პროცესი ეროვნული ფასეულობების, ქართული ფოლკლორის მოფრთხილებისა, რომელიც შეუქცევადია და ამ პროცესს ვერავინ და ვერაფერი გააჩერებს.

რამდენი მიფიქრია — რა დიდი ბედნიერება იქნებოდა, თითო მხარეს თავისი გოდერძი ბუკია რომ ჰყოლოდა, ის რაც ამ კაცმა გააკეთა სამეგრელოსთვის განუზომელი და შეუფასებელია, ახლა სწორედ ის დროა, ეს უანგარო და მამულიშვილური საქმე მოსავალს რომ იმკის.

მეექვსე ფესტივალის წინ დამთავრდა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა სოფელ პირველ მაისში, ეს მართლაც საოცარებაა, სადაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციაა და სადაც ამ მონასტრის ქტიტორის თაოსნობით ჩამობრძანებული და დავანებული იქნა ოთხმოცზე მეტი სიწმინდე, რაც კიდევ უფრო დიდ ძალას მატებს სამონასტრო კომპლექსს... აფერუმ, ბატონო გოდერძი! ასე რომ, ფოლკლორი, სულიერება და ერის ფასეულობები ღვთისგან კურთხეულ ერთიან მთლიანობად მოიაზრება. ესეც საკმაოდ სიმბოლური და მრავლისმეტყველი ფაქტია.

ფესტივალი მხოლოდ საკონცერტო გამოსვლებით არ შემოიფარგლება, დიდი ყურადღება ექცევა უნიკალური მასალების ბეჭდურ გამოცემებს.

მეორე ფესტივალიდან მოყოლებული მეგრული სიმღერის ფესტივალის თანმდევი ნაწილი გახდა სამეცნიერო მუშაობა, გამოიცა არაერთი საინტერესო გამოკვლევა, სანოტო მასალა, თითქმის ყველა მეგრული სიმღერაა გადატანილი ნოტებზე და გამოცემული. წიგნებად გამოიცა ცნობილი ლოტბარების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი შრომები.

ამ სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობდა უბრწყინვალესი ადამიანი, შესანიშნავი მეცნიერი და მოღვაწე ვახტანგ როდონაია, რომელიც სამწუხაროდ, ფესტივალის მზადების პროცესში გარდაიცვალა. მეექვსე ფესტივალზე სწორედ ბატონ ვახტანგს მიეძღვნა და დაიბეჭდა წიგნი „დალაი ვახტანგ როდონაიას“ (მოგონებები). ასევე გამოიცა ცნობილი ჟურნალისტის პაატა ნაცვლიშვილის შესანიშნავი ალბომი „დაჰკარით დაფდაფებს“, სადაც ანსამბლ „მზიურის“ ყველა თაობის შემოქმედებითი ცხოვრებაა ასახული.

საგულისხმოა, რომ წლების განმავლობაში გამოცემული ეს უნიკალური მასალა დევს არა მარტო ქართულ ბიბლიოთეკებში, არამედ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების აღიარებულ საბიბლიოთეკო ცენტრებშიც იგზავნება.

—გამოდის, რომ ხობის მეგრული სიმღერის ფესტივალს საერთაშორისო რეზონანსი უკვე აქვს.

—არა მარტო ამ გამოცემებით... არ ყოფილა ფესტივალი, რომელზეც არ ჩამოსულიყვნენ მონაწილეები, როგორც ახლო, ისე შორეული საზღვარგარეთიდან.

ახლაც გვყავდა არაერთი სტუმარი. საგულისხმოა, რომ მონაწილეები თავიანთ შვილებთან ერთად ასრულებდნენ შესანიშნავ მეგრულ სიმღერებს და ხაზს უსვამდნენ თაობათა კავშირის უწყვეტობას.

—ქართული სიმღერა რომ საკმაოდ მდიდარია, ეს მეგრული სიმღერის ფესტივალმა არაერთგზის წარმოაჩინა, თუ არის მცდელობა, რომ ხობის ფესტივალი საერთოდ ქართული სიმღერის ფესტივალად იქცეს?

—რა თქმა უნდა, სწორედ ამ კუთხით გვინდა წარმოჩინდეს მეგრული სიმღერა, წარმოჩინდეს, რომ ეს არის ერთიანი დიდი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი. ამას მუდმივად ვუსვამთ ხაზს თუნდაც იმით, რომ ფესტივალზე ვიწვევთ კოლექტივებსა და მუსიკოს-შემსრულებლებს რეგიონებიდან და ვცდილობთ მსგავსი ფესტივალების დაარსების სურვილი გავუღვივოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს.

მეექვსე ფესტივალის სტუმართა შორის იყვნენ შემსრულებლები: ბათუმიდან – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სახელმწიფო ანსამბლი და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ანსამბლი. გურული სიმღერები შეასრულა რამინ მიქაბერიძის ოჯახმა.

განსაკუთრებით ემოციური გახლდათ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტების გამოსვლა. ანსამბლში ჰერეთ-საინგილოელი ახალგაზრდებიც მღერიან. მათ შეასრულეს ჰერული „ნანა", რომელსაც „სისატურა" გადააბეს. დადებითი მუხტი იმდენად დიდი იყო, რომ მსმენელში ემოციამ იმძლავრა და ბევრს ცრემლი მოერია.

ჰერეთი ჩვენგან მოწყვეტილი კუთხეა, იქ შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობენ და იღვწვიან და ხობის ფესტივალზე სწორედ ეს ორი მონატრებული კუთხე შეხვდა ერთმანეთს თავისი კულტურით, თავისი შემოქმედებით და გენეტიკით. დიდი მოწონება ხვდა ასევე ჰერულ სუფრულ სიმღერას.

სტუდენტები მე თავად შევარჩიე საინგილოში ვიზიტისას. უნდა გაგრძელდეს ასეთი მუშაობა, რათა არ დაიკარგოს ის მწირი ქართული მასალა, რაც ამ მხარეშია შერჩენილი. ხობის ფესტივალი ასეთი წარდგენის შესანიშნავი ადგილია. ეს არის ამერის და იმერის სასიმღერო კულტურის შეხვედრის ადგილი.



გომარ სიხარულიძე ფესტივალის დამაარსებელ გოდერძი ბუკიასთან ერთად

— მით უფრო აშკარაა, რომ აუცილებელია ამგვარი ფესტივალები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაიმართოს

— რა თქმა უნდა, ეს აუცილებელია. მინდა ვთქვა, რომ საქართველოში ყველგანაა ის შემართება, რომელიც თანადგომას საჭიროებს, ეს რეგიონები თავიანთ გოდერძი ბუკიებს ელიან.

გოდერძი ბუკიაზე დიდი ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ სხვადასხვა კუთხის ბიზნესმენებს, არადა, ქართული ფასეულობების დაცვისა და მოვლა-პატრონობის მხრივ თავს ნაკლებად იწუხებენ, საჭიროა საქმეს გულიანად მიუდგე და საკუთარი ერის ტკივილი შენად მიგაჩნდეს.

— ის, რაც სცენაზე გადის, მზა პროდუქციაა, ამ ყველაფრის უკან დიდი სამუშაოა ჩატარებული. საინტერე-

სოა, რა ხდება კულუარებში – ხობის ფესტივალიდან ფესტივალამდე?

**— ეს პროცესი იმდენად სასიამოვნო და მიმზიდველია, რომ მუშაობა არ წყდება. მე, როგორც ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელს, ასევე ფესტივალის ამჟამინდელ რეჟისორ სოსო ნემსაძეს (გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), მუდმივი კონტაქტი გვქონდა შემოქმედებით კოლექტივებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ყველა ფესტივალს თავისი ახალი რეჟისორი ჰყავს. სწორედ ასეთი თვალსაზრისების მრავალმხრივობაში იბადება არაერთი საინტერესო და ფასეული იდეა...**

— როგორ ფიქრობთ, ხომ არ დადგა დრო ეროვნული ფასეულობების დაცვა ბიზნესმენების კეთილ ნებაზე კი არ იყოს მინდობილი, არამედ ეს საქმე თავად სახელმწიფომ ითავოს  და სრულად დააფინანსოს ხობის და სხვა რეგიონების მსგავსი ხასიათის ფესტივალები?!

**— ამ პროექტში თავისებურ მონაწილეობას თითქმის ყოველთვის იღებს კულტურის სამინისტრო. ეს ბოლო ორი ფესტივალია, სწორედ კულტურის სამინისტრომ მოაგვარა ფესტივალის ტექნიკური პრობლემები – გახმოვანება, განათება. აპარატურა... კულტურის სამინისტრომ უზრუნველყო წიგნის „დაჭკარი დაფდაფებს“ დაბეჭდვა.**

**ალბათ, დადგა დრო სახელმწიფოს მონაწილეობა უფრო მასშტაბური იყოს. ყველა კუთხის ფოლკლორს უნდა მიეხედოს ისე, როგორც გოდერძი ბუკიამ მიხედა მეგრულ ფოლკლორს.**

**მჯერა, რომ ამის დრო დადგა, მით უფრო, როცა პრეზიდენტობის კანდიდატი ბატონი გიორგი მარგველაშვილია, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით, აუცილებლად გაიმარჯვებს, სულით ხელოვანია. იგი ყმაწვილობაში „მოვწამლეთ“ მე და რეჟისორმა კოტე სურმავამ, როცა ის გადავიღეთ ორსერიან საბავშვო მუსიკალურ ფილმში „რწყილის და ჭიანჭველას ახალი თავგადასავლები“. ვფიქრობ, ზემოთქმულ პრობლემებს ბატონი გიორგი გულისხმიერებით მიუდგება და ეროვნული ინტერესების პრიორიტეტების გათვალისწინებით მოაგვარებს.**

**P.S.** ეს ინტერვიუ ჩაიწერა ხობის ფესტივალის დასრულების შემდეგ, 30 სექტემბერს, როდესაც ბ–ნი გიორგი მარგველაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. ბ–ნი გომარის წინასწარმეტყველება ახდა – დღეს გ.მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტია. იმედია, ბ–ნი გომარის მოლოდინიც ახდება და ჩვენი პრეზიდენტისათვის ეროვნული ინტერესები პრიორიტეტული გახდება.

*ალექსანდრე მჭარიაშვილი დაიბადა 1968 წელს, 9 მაისს თბილისში. 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია საფორტეპიანო და კომპოზიციის განხრით (ბ.ნამგლაძე. ა. შავერზაშვილი). 2002 წელს დაამთავრა ასპირანტურა კომპოზიციაში (ნ. მამისაშვილი). 2010 წლიდან საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრია, 2013 წლიდან რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის წევრი. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ჩატარებული კონკურსების ლაურეატი.*



# კომპოზიცია – ჰობი

ალექსანდრე მჭარიაშვილი

შარშან, როცა ტაქსის მძღოლები გაიფიცნენ, ქალაქი და ქვეყანა იყო თითქმის პარალიზებული, მე შემშურდა ამ პროფესიის წარმომადგენლების – მათ სამთვიან კურსებზე მიიღეს სპეციალობა, რომელიც ასე სჭირდება ხალხს და ქვეყანას! დიპლომირებული და პროფესიონალი კომპოზიტორები კი უკვე 20 წელია რაც „გაიფიცნენ", მაგრამ ამას საერთოდ არავინ აქცევს ყურადღებას! ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ „შტრეიკბრეხერმა"- თვითნასწავლმა „კომპოზიტორებმა" შეავსეს სივრცე სწრაფი კვების პროდუქციით. ყოველივე ამან გააჩინა ხალხში გემოვნების წყლულები, რასაც, ალბათ, მოჰყვება სულის სიმსივნე. თვითონ წოდება „კომპოზიტორი" უზურპირებულია მოყვარულებით იმ დროს, როცა სპეციალობა „კომპოზიტორი" გაქრობის პირასაა. ამ სპეციალობით ვერც იმუშავებ და ვერც საარსებო სახსრებს მოიპოვებ. მუსიკის მასწავლებელი ეს ის მაქსიმუმია, რომელიც უზრუნველყოფს ამ დარგის სპეციალისტის მინიმუმს. მუსიკის შექმნა კი მათთვის ჰობად გადაიქცა, რომელიც მხოლოდ მათ აინტერესებთ და როგორც ნებისმიერი ჰობი,

აქეთ ითხოვს მატერიალურ ხარჯებს. რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ფუნდამენტური კულტურა, როცა ქვეყანას აღარ ეყოლება ენთუზიასტები ამ დარგში და დაკარგული ტრადიციების აღდგენა შეუძლებელი გახდება?

დამკვიდრებული სკეპტიციზმი ქართული კლასიკური, აკადემიური მუსიკის მიმართ, როგორც წარსულის, აგრეთვე თანამედროვე კომპოზიტორებისა, ეფუძნება ელემენტარულად მათი შემოქმედების არცოდნას და ამ მუსიკის პროპაგანდის და კულტივირების არარსებობას და არა მარტო საკონცერტო სცენიდან! მას აღარ იყენებენ არც კინოში, არც რადიოში, ტელევიზიაში – ისტორიულ ან პოლიტიკურ-პუბლიცისტურ გადაცემებში, რეკლამებში და ასე შემდეგ... კომპოზიტორებს არავინ უკვეთავს მუსიკას სპექტაკლების ან ფილმებისათვის. ვინმემ თუ მიაქცია ყურადღება დასავლეთის, ჰოლივუდის ფილმების მუსიკალურ გაფორმებას? ეს არის თანამედროვე, პროფესიონალურად შესრულებული, ორიგინალური, აკადემიური მუსიკა („შინდლერის სია“, „ინდიანა ჯონსი“, „გოძილა“ და ა.შ.). თანამედროვე მუსიკის კრიზისი ასე თუ ისე მთელ მსოფლიოს მოედო, მაგრამ დასავლეთში არის მოთხოვნა თანამედროვე პროფესიონალი კომპოზიტორებისა, შესაბამისად, ისინი მუშაობენ თავიანთი ქვეყნების კულტურის და ეკონომიკის საკეთილდღეოდ.

არსებობს საინტერესო მეცნიერული მიგნება, რომელსაც ეწოდება „მეასე მაიმუნის ეფექტი“: როცა ჩაკეტილ კუნძულზე ერთმა მაიმუნმა ჭამის წინ ბანანის რეცხვა დაიწყო და ამის მერე კიდევ ასმა ეს ჩვევა აითვისა, უკვე მთელ მსოფლიოში ყველა მაიმუნი დამოუკიდებლად იყენებდა ამ ხერხს! ინფორმაცია ახალ ჩვევაზე მთელ არეალს გადაეცა! ქართული მუსიკის შესრულების სიმწირე ვერ ქმნის იმ ინფორმაციულ და ემოციურ ველს, რომელიც იმოქმედებს ჩვენი ხალხის კულტურული თვითმყოფადობის ამაღლებაზე და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დადიან ამ მუსიკის კონცერტებზე, ან საერთოდ თუ უსმენენ მას, ინფორმაციული ველი მაინც იმოქმედებს! ბეთჰოვენის შესრულება ქართულ სოფელში აამაღლებს ამ სოფლის მკვიდრების კულტურულ დონეს, მაგრამ ეროვნულ სულს გააძლიერებს მხოლოდ გერმანელებში. იქნებ სწორედ აქედან მოდის მათი მიღწევები პოლიტიკაში და ეკონომიკაში?! ქართველი შემსრულებლების რეპერტუარში ეროვნული მუსიკა სრულიად იგნორირებულია, საოპერო თეატრი კი მხოლოდ ორი ოპერით შემოფარგვლა – სეზონის გახსნაზე და დახურვაზე.არ ეკადრება ჩვენისთანა ისტორიისა და კულტურის მქონე ერს! ზემოთ აღნიშნულის კონტექსტში ცხადი ხდება, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის როლი ქვეყნის კულტურაში. აღსანიშნავია ჩვენი კოლეგების მდგომარეობა სხვა ქვეყნებში, სადაც არსებობს ანალოგიური ორგანიზაციები. მაგალითად, მოვიყვან პოლონეთის მთავრობის დამოკიდებულებას ამგვარი კავშირის მიმართ: იქ ყოველწლიურად 10 მილიონ დოლარს გამოყოფენ კომპოზიტორთა კავშირის არსებობისთვის! სამაგალითოა კომპოზიტორების მიმართ დამოკიდულება აზერბაიჯანში, სასომხეთში, ბელორუსიაში....

გვესმის, რომ ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ბევრის იმედი არც უნდა გვქონდეს, მაგრამ დღეს აუცილებელ მინიმუმსაც შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა კულტურის ამ მნიშნელოვან სფეროში. სანამ გვიან არ არის! სანამ მუსიკის წერა იშვიათ და ეკზოტიკურ ჰობად არ გადაიქცა!

**რამაზ კემულარია (კომპოზიტორი): კომპოზიტორი ალექსანდრე მჭარიაშვილი არაერთი საინტერესო მუსიკალური ნაწარმოების ავტორია. იგი მიეკუთვნება იმ კომპოზიტორთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებითი არეალი არ შემოიფარგლება განსაკუთრებულად რომელიმე ჟანრში მოღვაწეობით. ღვთისგან ბოძებული ნიჭისა და ზედნაშენი პროფესიონალიზმის წყალობით ახერხებს წარმატებით შექმნას ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოები, დაწყებული პატარა პიესიდან – იქნება ეს ვოკალური თუ ინსტრუმენტული, დამთავრებული ისეთი რთული ჟანრებით, როგორიცაა საკვარტეტო, საკონცერტო თუ სიმფონიური.**

**ძალიან სერიოზული განაცხადია კომპოზიტორის მიერ სულ ახლახან შექმნილი სიმფონიური ნაწარმოების “DE PROFUNDIS”-ის პარტიტურა, რომელიც ორიგინალურია თავისი ფორმით. სიმფონია ერთნაწილიანია. ავტორი ახერხებს რიტმული, ტემბრული და**

ფაქტურული ელემენტების საშუალებით გადმოგვცეს დღევანდელი ადამიანის შინაგანი სულიერი მდგომარეობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლომის წილი კომპოზიტორ ალეკო მწარიაშვილის წარმატებისა, ეკუთვნის შესანიშნავ კომპოზიტორს, ცნობილ თეორიტიკოსს, მკვლევარსა და პედაგოგს ბ.ნ. ნოდარ მამისაშვილს. მე ვულოცავ ავტორს ამ წარმატებას, იმედს ვიტოვებ სიმფონია მალე გაჟღერდება სცენაზე, რომელიც დამსახურებულად დაიკავებს საპატიო ადგილს ქართული სიმფონიური მუსიკის რეპერტუარში.

თამარ ვაშაკიძე (კომპოზიტორი): თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბავშვო მუსიკას. ახალგაზრდა, ნიჭიერი კომპოზიტორი ალექსანდრე მწარიაშვილი ამ ჟანრშიც მუშაობს და ქმნის, ჩემი აზრით, პროფესიონალიზმით გამორჩეულ საინტერესო ნაწარმოებებს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი საფორტეპიანო კონცერტი, რომელმაც მიიღო პრემია კომპოზიტორთა კავშირის და კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში. ამ ნაწარმოებში იგრძნობა შემოქმედის ინდივიდუალური ხელწერა. კონცერტი გამოირჩევა თანამედროვე ჟღერადობით, ლაკონურობით და ვირტუოზულობით. საბავშვო პიესების ციკლი კომპოზიტორმა დაწერა სხვადასხვა საკრავისთვის, ეს პიესებია: „ძველი ურემი“, „მთა და ბარი“, „დაჭერობანა“, „ბებიას ზღაპარი“, „გუთნური“ და „დილა“. ძალიან კარგი იქნება თუ ხელოვნების სკოლები დაინტერესდებიან ამ ახალი და საინტერესო ნაწარმოებებით, გაამდიდრებენ თავიანთ რეპერტუარს. იმედია, ბავშვები მათ დიდი სიამოვნებით შეასრულებენ. მე მინდა წარმატება ვუსურვო ახალგაზრდა კომპოზიტორს ამ ურთულეს გზაზე.

ირაკლი ცინცაძე (კომპოზიტორი): ალექსანდრე მწარიაშვილის კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები გამოირჩევა მკვეთრი სახეობრიობით, მუსიკალური ტემპერამენტით, კონტრასტული მუსიკალური სახეებით, მათი ხშირი შეპირისპირებითა და განვითარებით. მუსიკალური აზრის გადმოცემის ლაკონურობაც შთამბეჭდავს ხდის მის მუსიკალურ ენას. მისი ნაწარმოებები ხასიათდება როგორც პოლიფონიურობით, ისე ჰომოფონიური განვითარებით, რომლის საფუძველში დევს ტონალურ-ინტონაციური აზროვნება და განვითარება.

ვუსურვებ კომპოზიტორს გაეღრმავებინოს ის თემები, რომლებიც მის მუსიკას, როგორც კამერულს, ისე სხვა ჟანრებს, სძენენ განსაკუთრებულ კოლორიტს და მსმენელთა შორის ინტერესს აღძრავენ. აგრეთვე ვუსურვებ მას, რომ მისი ქმნილებები უფრო ხშირად აჟღერებულიყოს საკონცერტო სცენაზე.

გენადი ტოლსტენკო (კომპოზიტორი, რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის წევრი): პიესები შესანიშნავია. როგორც იქნა მოგვევლინა კომპოზიტორი, რომელიც ბავშვებისთვისაც ღირსეულ ნაწარმოებებს ქმნის.

# დიდი მუსიკოსის გახსენება

ციური ჩომახიძე

ამას წინათ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუზეუმის დარბაზში ჩატარდა დიდი ქართველი მევიოლინის მარინე იაშვილის ხსოვნის საღამო. უკვე ერთი წელია, რაც მსოფლიოს მუსიკალურ კულტურას გამოაკლდა ბრწყინვალე ქართველი მევიოლინე. დასანანია, რომ უკვე ვერ შევძლებთ მოვისმინოთ ამ შეუდარებელი ხელოვანის ცოცხალი შესრულება, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს მისი კონცერტების ჩანაწერები, რომლის მეშვეობით მარინე იაშვილის შემოქმედება უკვდავია.

ეს საღამო გამართა მარინეს უახლოესმა მეგობარმა საქართველოს სახალხო არტისტმა, პიანისტმა მარგარიტა ჩხეიძემ. იმ დღეს შეიკრიბნენ მარინე იაშვილის და მარგარიტა ჩხეიძის შემოქმედების თაყვანისმცემლები, მეგობრები, ახლობლები.

მარინე იაშვილზე ისაუბრეს მუსიკისმცოდნეებმა: მანანა ახმეტელმა, გულბათ ტორაძემ, პიანისტმა ნანა დიმიტრიადიმ, თავად მარგარიტა ჩხეიძემ. ქალბატონმა მარგარიტამ, „ტოპამ", როგორც მას ახლობლები მიმართავენ, დაუკრა ნაწარმოებები, რომლებიც განსაკუთრებით უყვარდა მარინეს მისი შესრულებით, იმ საღამოს ჟღერდა შოპენი, რახმანინოვი, დებიუსი....

მარინე და მარგარიტა ადრეული ბავშვობიდან მეგობრობდნენ. ისინი სწავლობდნენ ნიჭიერ ბავშვთა ათწლედში და ხშირად ერთად გამოდიოდნენ სხვადასხვა კონცერტებზე. აღსანიშნავია, რომ მარინე იაშვილი და მარგარიტა ჩხეიძე იყვნენ პირველი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები, რომლებმაც მოიპოვეს აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე და ასახელეს თავიანთი ქვეყანა — საქართველო.

მარგარიტა ჩხეიძის შემოქმედებას ჰყავს თავისი დამფასებელი, ერთგული მსმენელი, არა მხოლოდ თბილისში, არამედ პარიზში, აშშ-ში, რუსეთში. აი, როგორ ახასიათებდა მას ბატონი ანტონ წულუკიძე; „მარგარიტა ჩხეიძე არის უაღრესად დახვეწილი და ფაქიზი პიანისტი ფილიგრანული ტექნიკით. მას ხელეწიფება ყველა სტილის და ეპოქის ნაწარმოებების შესრულება, მისი შემოქმედება ყოველთვის მრავალფეროვანია".

იმ საღამოს თბილი და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დიდხანს გაჰყვება იქ დამსწრე საზოგადოებას, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ მარინე ჩიხლაძეს.

ამ საღამოს ავტორს მარგარიტა ჩხეიძეს მადლობას უხდიდნენ მარინე იაშვილის მეგობრები და ქალიშვილები — ლალი და ნათელა პოლიტკოვსკები.

აქვე მინდა მოვუწოდო ჩემს კოლეგებს — ტელე-რადიო ჟურნალისტებს, ვისაც ეხება ქართული მუსიკის პროპაგანდა, ხშირად მოამზადონ გადაცემები ასეთ დიდ მუსიკოსებზე და ააჟღერონ ეთერში მარინე იაშვილის - მსოფლიო ვარსკვლავის მიერ შესრულებული კლასიკა, რათა ჩვენს მსმენელს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ჩამოუყალიბოთ დახვეწილი გემოვნება და ვაზიაროთ ისინი ამაღლებულ მუსიკას საუკეთესო შესრულებით.

ჩვენ ყოველთის ვიამაყებთ, რომ მარინე იაშვილი ქართველი იყო.



მარინე იაშვილი

# ეროვნული ნიადაგის გასამყარებლად

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში ახალი კრებულის — „ქართული საფორტეპიანო მუსიკა“ (ტ. I) წარდგენა გაიმართა. დარბაზში, რომელიც მცირერიცხოვან საზოგადოებას იტევს, სასიხარულო განწყობა სუფევდა. აუდიტორიის ძირითად ნაწილს თბილისის მუსიკალური სკოლების წარმომადგენლები შეადგენდნენ, რომელთაც ჯერ კულუარებში გამოხატეს გულწრფელი კმაყოფილება მნიშვნელოვან სიახლესთან დაკავშირებით, შემდეგ ხმამაღლა განაცხადეს თავიანთი აზრი. პროექტის ავტორის, ბატონი კახა ცაბაძის სიტყვებით, ამ კრებულის შემდგენლებს ორმხრივი მიზანი ჰქონდათ: ერთი მხრივ ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების შეკრება, მეორე მხრივ, საბავშვო საფორტეპიანო ლიტერატურის გამდიდრება ახალი გამოცემით.

კრებულის გამოცემა, უდავოდ, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. აქ ერთად არის თავმოყრილი სხვადასხვა თაობის ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, დაწყებული ქართველი კლასიკოსებით, დამთავრებული დღეს მოქმედი კომპოზიტორებით.

წინამდებარე კრებული განკუთვნილია მუსიკალური სკოლის I-III კლასელებისათვის. კრებულის ავტორები (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი კახა ცაბაძე, მთავარი რედაქტორი — ლია ჩხეიძე, შემდგენელი და რედაქტორი — მთვარიდა ყიფიანი) მუშაობენ ხუთტომეულზე, სადაც ქართული საფორტეპიანო მუსიკა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნება წარმოდგენილი. ტომეულები მეთოდოლოგიური პრინციპით არის ჩაფიქრებული, ყოველ ტომი ეტაპობრივად ახალ საფეხურად მოიაზრება.

I ტომში შესულია: დიმიტრი არაყიშვილის, შალვა მშველიძის, თამარ შავერზაშვილის, ვალერიან ცაგარეიშვილის, შალვა თაქთაქიშვილის, ალექსი მაჭავარიანის, რევაზ გაბიჩვაძის, დალი ჩხეიძის, ქეთევან თუმანიშვილის, ნიკოლოზ გუდიაშვილის, ტარიელ ბაქრაძის, სულხან ცინცაძის, შოთა მილორავას, ოთარ თაქთაქიშვილის, ოთარ თევდორაძის, ელეონორა ექსანიშვილის, ალექსანდრე შავერზაშვილის, სულხან ნასიძის, ნოდარ გაბუნიას, მერაბ ფარცხალაძის, ირაკლი გეჯაძის, გივი ციციშვილის, მერი დავითაშვილის, ნოდარ მამისაშვილის, ვაჟა აზარაშვილის, დავით ტურიაშვილის, ნინო ზაბუკიძის, ნუნუ გაბუნიას, რამაზ კემულარიას, ელიზბარ ლომდარიძის, მერაბ მერაბიშვილის, რუსუდან ხორავას, კახა ცაბაძის ნაწარმოებები.

**ლია ჩხეიძე** (მე-6 სახელოვნ. სკოლის დირექტორი, კრებულის მთ. რედაქტორი): *მე ბედნიერი ვიყავი უკვე მაშინ, როდესაც კახა ცაბაძემ ამ პროექტზე მუშაობა შემთავაზა. პედაგოგები სულ ეძებდნენ სკოლის პროგრამის შესაბამის ქართულ ნაწარმოებებს. ნოტების მოპოვება ყოველთვის პრობლემა იყო. რაც გამოცემულა,*

*ისიც ძნელი საშოვნელი იყო და რაც არ გამოცემულა, მით უმეტეს.*

*სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს სკოლაში, წლების განმავლობაში სულ იმართებოდა ქართული მუსიკის საღამოები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს იჩენდა ჩვენი შესანიშნავი პედაგოგი, ქალბატონი მთვარიდა ყიფიანი, რომელმაც თავისი ძალზე ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაისახა ქართული მუსიკის პროპაგანდა. არადა, ეს ქალბატონი, შეიძლება ითქვას, საგანძურის მფლობელი გახლდათ, მის ხელში იყო დიდი რაოდენობის ქართველი კომპოზიტორების საფორტეპიანო თხზულებების ავტორისეული ხელნაწერები, ერთადერთი ეგზემპლიარები.*

*„ქართული საფორტეპიანო მუსიკის" I ტომის გამოცემის შემდეგ უკვე დიდ მადლობებს გვიხდიან მუსიკალური სკოლების დირექტორები, პედაგოგები. გვთხოვენ ნოტებს. ამბობენ, რომ სიტყვები არ ყოფნით მადლიერების გამოსახატავად.*

**მთვარიდა ყიფიანი** (მე-6 სახელოვნ. სკოლის პედაგოგი, კრებულის შემდგენელი): *ჩემი ოცნება იყო ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების სრულყოფილი კრებულის – ანთოლოგიის გამოცემა. დიდი ხანია ამაზე ვფიქრობდი, მქონია კიდეც ამ იდეის განხორციელების მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ. ერთი მხრივ ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემს ხელთ იყო უნიკალური მასალა – ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების ხელნაწერები, რაც არ დაბეჭდილა, არ გამოცემულა და მეტიც – ავტორებსაც არ დარჩენიათ მეორე ეგზემპლიარი, მეორე მხრივ კი გული მტკიოდა, რომ ამ ნაწარმოებების დასტამბვის, გავრცელების პერსპექტივას ვერ ვხედავდი. ჩვენი, მე-6 სახელოვნებო სკოლის დირექტორმა, ქ-მა ლია ჩხეიძემ რომ გამაცნო ბატონი კახა ცაბაძის იდეა — მომზადდეს ქართული საფორტეპიანო ნაწარმოებების კრებული, თან ჩვენი მონაწილეობით, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როდესაც შევხვდი ბატონ კახას და ვანახე ჩემს ხელთ არსებული ხელნაწერები, გაოცდა, აღფრთოვანდა. ჩვენ საბოლოოდ ვამზადებთ ხუთტომეულს, იგი განსაზღვრულია ეტაპობრივად, ასაკობრივი სირთულის მიხედვით. შეგვაქვს, შეიძლება ითქვას, ჩვენს ხელთ არსებული ყველა ღირებული ქართული საბავშვო საფორტეპიანო ნაწარმოები, შემდეგი ტომებისათვის კომპოზიტორები საგანგებოდ გვიწერენ ნაწარმოებებს.*




*დიდი ხნის წინ იყო, რომ დავუკავშირდი ბატონ ალექსი მაჭავარიანს, რომელმაც საოცრად დამიჭირა მხარი, რაც შეიძლება ხშირად ამეჟღერებინა არა მხოლოდ მისი, არამედ სხვა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებიც. სწორედ ახლა მისი დაბადებიდან 100*

წლის იუბილეა და მუხლს ვიდრეკ ამ დიდი კომპოზიტორისა და დიდი ადამიანის ხსოვნის წინაშე, რომლის ცხოვრების მოწოდება იყო ეკეთებინა ეროვნული, კეთილი საქმეები, თუკი ვინმეს სასარგებლო მიზნის განხორციელების სურვილს შეატყობდა, ახლობელ ადამიანად მიიღებდა და ყველანაირად გვერდში დაუდგებოდა. სწორედ მისი წყალობით ბევრ კომპოზიტორთან მქონია შეხება და ავტოგრაფებიც ასე შემრჩა.

წლების მანძილზე ჯერ ზესტაფონში, შემდეგ აქ, მე-6 მუსიკალურ სკოლაში სულ ვატარებდით ქართველი კომპოზიტორების, როგორც საავტორო, ისე შერეულ საღამოებს. ჩაგვიტარებია ანდრია ბალანჩივაძის, ალექსი მაჭავარიანის, სულხან ცინცაძის, მერი დავითაშვილის, დალი ჩხეიძის, შალვა დავითაშვილის, ელიზბარ ლომდარიძის საღამოები. ქართული მუსიკის კონცერტებზე კი თითქმის ყველა კომპოზიტორის ნაწარმოები შეგვისრულებია, ვისაც კი ასაკობრივად შესაბამისი საფორტეპიანო ნაწარმოები აქვს დაწერილი. მე მოსწავლეებთან ერთად თავადაც ყოველთვის ვმონაწილეობდი ამ საღამოებში.

ცხადია, ბატონ კახასაც და ჩვენც ეს სურვილი სურვილად დაგვრჩებოდა, რომ არა ქალაქის მერიის, ბატონების —გიგი უგულავას, მამუკა ქაცარავას, შოთა მაღლაკელიძის, ქალბატონ ნეკა სებისკვერაძის თანადგომა. მათი მეოხებით ქართული საფორტეპიანო მუსიკის ისტორიაში საშვილიშვილო საქმე კეთდება.

**ნანა ჩინჩალაძე** *(მე-8 მუს. სკოლის დირექტორი):* ეს ისეთი ძვირფასი შენაძენია, სიტყვები არ მყოფნის ემოციების გამოსახატავად. ჩვენ გვიყვარს ქართული მუსიკა და აქამდე საშუალება არ გვეძლეოდა ეს სიყვარული სათანადოდ გამოგვეხატა. მართალია, არსებობდა ქართული საფორტეპიანო მუსიკის კრებული (შემდგენელი ნათელა კენჭიაშვილი), ადრე დიდ კრებულად მოვიხსენიებდით, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მასში ამ გადასახედიდან მაინც მცირე რაოდენობის ნაწარმოებები შედიოდა. მაგ., ბალანჩივაძის ერთი ნაწარმოები, მაჭავარიანის ორი და ა. შ.

ახალი კრებულის გამოცემით ჩვენ დიდი პრობლემა გვეხსნება. მთელი ჩემი კოლექტივი, გარშემო მუსიკალური სკოლების დირექტორები და პედაგოგები ბედნიერი არიან. მათ საძებარი აღარ ექნებათ ქართული ნაწარმოებები. ამით ხომ კიდევ მეტად გაგრძელდება ჩვენი გარდაცვლილი დიდი კომპოზიტორების სიცოცხლე, ნორჩი თაობები თავიდანვე ეზიარებიან მათ შემოქმედებას და შეიყვარებენ, დღეს მოქმედ კომპოზიტორებს კი გაიცნობენ, გაითავისებენ მათ ნაწარმოებებს. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ დიდი საქმის განხორციელებაში.

**მერი დავითაშვილი** *(კომპოზიტორი):* ძალიან გამახარა ამ კრებულის გამოცემამ. ჩემთვის დიდი სიხარულია ამდენ ქართულ საბავშვო ნაწარმოებს ერთად რომ ვხედავ.

ამ ქმნილებებიდან ბევრს ვიცნობ და მიყვარს, ბევრი არის ჩემთვის უცნობი, ახლად შექმნილი თხზულებაც.

სამწუხაროა, რომ ბოლო წლებში ნაკლებად სრულდება ქართული ნაწარმოებები. მუსიკალური სკოლებიდან ზოგი სკეპტიკურადაც იყო განწყობილი ქართული მუსიკის მიმართ. გამიგია ასეთი სნობური ნათქვამიც: — ქართულ მუსიკაზე ბავშვებს ვერ გავზრდითო. მე კი სწორედ ამგვარი დამოკიდებულება მიმაჩნია პროვინციალიზმად. ცხადია, აუცილებელია მოსწავლის ევროპულ მუსიკაზე, კლასიკაზე აღზრდა, მაგრამ მასში ეროვნული ნაპერწკლის გაღვივებაც აუცილებელია, ბავშვი, მით უმეტეს, თუ მას მუსიკოსად ვზრდით, არამც და არამც ეროვნულ ნიადაგს არ უნდა იყოს მოწყვეტილი. გარდა ამისა, სწორედ საზღვარგარეთ ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ქართული ნაწარმოებები, თავიანთი თვითმყოფობის, განსხვავებული ჟღერადობის გამო. მართალია, ჩვენი ბავშვები სხვადასხვა ქვეყნებში წარმატებებს აღწევენ, ლაურეატობას იღებენ, მაგრამ მაინც, ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებების შესრულებით ჩვენ ვერავის გავაკვირვებთ.

**ელიზბარ ლომდარიძე** *(კომპოზიტორი):* მიმაჩნია, რომ ეს არის ისტორიული საქმე. პედაგოგები კომპოზიტორებს სათითაოდ გვთხოვდნენ ნაწარმოებებს, ჩვენ კი შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით, მაგრამ მთელ საქართველოს ასე რას გავწვდებოდით. სხვათა შორის, რამდენჯერ ქართული საფორტეპიანო ქმნილებები წარმატებით შესრულებულა საზღვარგარეთ,

*შემდგომ იქედან მოუთხოვიათ სხვა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებიც. ამის პრეცედენტი არაერთხელ ყოფილა და ჩვენც პრობლემის წინაშე დავმდგარვართ, ძნელი მოსაპოვებელი იყო გარდაცვლილი კომპოზიტორების ნოტებიც. ამ დიდი პიროვნებების წინაშე ყველანი ვალში ვართ, უმეტესობის მემკვიდრეობა მოსავლელია. კიდევ უფრო ცუდ დღეში არიან თანამედროვე კომპოზიტორები, რომელთათვის ნოტების დაბეჭდვა, გამოცემა პრობლემატურია. ამ ყველაფრის ერთად თავმოყრა დიდ სამუშაოს მოითხოვდა. კახა ცაბაძემ მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო და საუკეთესო გუნდი შემოიკრიბა გარშემო: მე-6 მუსიკალური სკოლა (დირექტორი ლია ჩხეიძე) გამოირჩევა ქართული მუსიკისადმი ერთგულებით, ქალბატონი მთვარიდა ყიფიანი ხომ ამ მხრივ ეტალონად მიგვაჩნია. ჩვენ ყველანი დიდად მადლიერნი  და მოვალენი ვართ მხარში დავუდგეთ ამ წამოწყებას.*

# აქტუალური მუსიკის ფესტივალი CLOSE ENCOUNTERS -2013

„აქტუალური მუსიკის ფესტივალი – Close Encounters -2013“, 2 ოქტომბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით თბილისში და რეგიონებში ჩატარდა. ფესტივალს ასევე შეგვიძლია ვუწოდოთ შვეიცარიული და ქართული მუსიკის ფესტივალი, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი — თამარ კორძაია. მან საფუძვლიანი საფორტეპიანო სკოლა გაიარა ნოდარ გაბუნიასა და ნანა ხუბუტიას კლასში, ასპირანტურა კი შვეიცარიაში – ჰანს იურგ სტრუბთან დაამთავრა, სადაც ის 1997 წლიდან მოღვაწეობს.

თამარ კორძაიასთან ერთად წლევანდელი ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ: რევაზ კიკნაძე და მიშელ ციგლერი.

მუსიკალურ ფესტივალებს შორის „აქტუალური მუსიკის ფესტივალი“ გამოირჩეოდა თავისი ესთეტიკით, სტილით და ტექნოლოგიური აზროვნების მრავალფეროვნებით.

ფესტივალი `Close Encounters` 2005 წელს დაარსდა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: ანა კრაიერი, მანანა ახმეტელი, თამარ კორძაია, ფელიქს პროფოსი და რევაზ კიკნაძე. **„ჩვენი მიზანია ავაჟღეროთ ძველი, კლასიკური მუსიკა, რომელიც სამწუხაროდ, იშვიათად სრულდება და დავიწყებას ეძლევა. ასევე მოვამზადოთ ექსპერიმენტული მუსიკის საინტერესო პროგრამა. გვინდა რაღაც ახალი შევთავაზოთ მსმენელს. აქ ხელით დამზადებული ინსტრუმენტებია, რომელებიც მელოდიას განსაკუთრებულ ჟღერადობას ანიჭებს“,** – აღნიშნავს საუბარში თამარ კორძაია.

`Close Encounters` -2013 ითვალისწინებდა 4 კონცერტს თბილისში, კონსერვატორიის მცირე დარბაზში და მე-6 ავტორიზებულ სკოლაში, ასევე 4 გასვლით კონცერტს რეგიონებში, კერძოდ: სიღნაღში, თელავში, გორსა და ბორჯომში. დასკვნით კონცერტს კი ციურიხმა უმასპინძლა, სადაც შესრულდა ქართველი კომპოზიტორის, მიხეილ შუღლიაშვილის „დიდი ქრომატიული ფანტაზია (სიმფონია)“ სამი როიალისათვის. ეს მონუმენტური „სიმფონია“ დაიწერა 1975 წელს. ამ ნაწარმოების შესრულების იდეა ფესტივალის დაარსებისთანავე იშვა. „დიდი ქრომატიული ფანტაზია (სიმფონია)“ სამი როიალისათვის 24 ოქტომბერს, ციურიხის IGNM-სა და რადიო SRF 2 -ის თანამშრომლობით შვეიცარიელი მსმენელის წინაშე წარსდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ აქტუალური მუსიკის ფესტივალის მონაწილეები, მუსიკალური სამყაროს მრავალფეროვნებას, ან წინააღმდეგობას საკონცერტო პროგრამითაც ასახავდნენ: ერთის მხრივ, პროგრამაში იყო „ქართველ ქსენაკისად“ აღქმული კომპოზიტორის – მიხეილ შუღლიაშვილის „დიდი ქრომატიული ფანტაზია ( სიმფონია)“ და მეორე მხრივ, ჰენრი პერსელის მუსიკა; მოცარტის საფ-ნო კვარტეტი და ფელიქს პროფოსის „The composer's body“, კამერული ორკესტრისა და თანამედროვე ტექნოლოგიების (კერძოდ, იმპროვიზაციებში გამოყენებული პრეპარირების ხერხი და თვითნაკეთი ინსტრუმენტების ჟღერადობა) სინთეზი. ბაროკოს,




ᲜᲣᲪᲐ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲢᲐᲫᲔ.

კლასიკურ და XX–XXI ს.ს. ელექტრონულ მუსიკაში პრობლემატიკის ინოვაციური გადმოცემის მანერით ხდება სტილთა დაახლოება დროში.
მონდრიან ანსამბლს, რომელსაც ქართველი მსმენელი იცნობს წინა ფესტივალიდან, წელს დაემატა კაპელერ-ცუმთორის დუეტი. ფესტივალი ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისთვის, რომ მოხდეს მუსიკოსების გაცვლა, პროგრამებისა და იმპროვიზაციების მოქნილი შერწყმა სხვადასხვა კონსტელაციებში, ქართველი მუსიკოსების – რევაზ კიკნაძის, ნატალი ბერიძისა და ნიკა მაჩაიძის მონაწილეობით. ლუკას ლანგლოცის ნაწარმოებში `Tover`, ალტისტ პეტრა აკერმანს თანხლებას უწევდა შვეიცარიელი პიანისტი ფილიპ მაიერი, მიხეილ შუღლიაშვილის „დიდი ქრომატიული ფანტაზიის (სიმფონიის)“ პირველი შემსრულებლები კი იყვნენ: თამარ კორძაია, თამარ ჩიტაძე და ნუცა კასრაძე.

მონდრიან ანსამბლის წევრები არიან: დანიელა მიულერი – ვიოლინო, პეტრა აკერმანი – ალტი, ეკაჩაი მასკულრატი – ჩელო, და თამარ კორძაია – ფორტეპიანო. კაპელერ – ცუმთორის დუეტი: ვერა კაპელერი– ფორტეპიანო და პეტერ კონრადინ ცუმთორი – პერკუსია. ფილიპ მაიერი და თამარ ჩიტაძე – ფორტეპიანო. საქართველოს წარმოადგენდნენ: ნინო კასრაძე – ფორტეპიანო, ნატალი ბერიძე – ვოკალი /ელექტრონიკა, ნიკა მაჩაიძე – ელექტრონიკა და რეზო კიკნაძე – საქსოფონი ელექტრონიკა.

საინტერესო იყო 2 ოქტომბრის ფესტივალის პროგრამა, რომელსაც საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა – შვეიცარიულ-ქართული პატრონაჟით მე-6 ავტორიზებულ სკოლაში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი სკოლის სასარგებლოდ.

3 ოქტომბერს, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთათვის გაიმართა ვორკშოპები (კამერული მუსიკა და იმპროვიზაციები).

4 ოქტომბერს, კონსერვატორიის მცირე დარბაზში შედგა მიხეილ შუღლიაშვილის „დიდი ქრომატიული ფანტაზიის (სიმფონიის)" პრემიერა. ეს ნაწარმოები სავსებით სამართლიანად გამოცხადდა ფესტივალის განსაკუთრებულ მოვლენად. ორიოდე სიტყვით მინდა აღვნიშნო ამ მონუმენტური „სიმფონიის" (1975წ.) შესახებ. იგი 60 წუთი გრძელდება და დაწერილია სამი როიალისათვის. შუღლიაშვილის „დიდი ქრომატიული ფანტაზია (სიმფონია)" თანამედროვე მუსიკალური აზროვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. შემთხვევით არ უწოდა მას ავტორმა „სიმფონია", რაშიც იგი ამ სიტყვის ბერძნულ კლასიკურ გაგებას გულისხმობდა. ნაწარმოებში ი.ს. ბახის ქრომატიული ფანტაზიის ჰიპერციტირებით ხდება ძველი და ახალი მუსიკალური აზროვნების შერწყმა, რაც თავისთავად ასახავს ძველსა და ახალს შორის უწყვეტობას, რომელიც `Close Encounters`-ის მთავარი ამოცანაცაა.

II განყოფილებაში მიხეილ შუღლიაშვილის „სიმფონიის" ტრანსცედენტულობას დაუპირისპირდა ღრმა ლირიზმით გამსჭვალული ჰენრი პერსელის „სამი ფანტაზია" სიმებიანი ტრიოსათვის. პროგრამა დაასრულა პეტერ -კონრადინ ცუმთორის (პერკუსია) და ვერა კაპელერის (ფორტეპიანო) იმპროვიზაციებმა, რომელშიც გამოყენებულ იყო სათამაშო პიანინო (ჰარმონიუმი).

კონცერტის მეორე დღეს, 5 ოქტომბერს, შესრულდა XX საუკუნის შვეიცარიელი კომპოზიტორების: იეფიმ გოლიშეფის, იურგ ფრაის, ლუკას ლანგლოცის ნაწარმოებები. ტექნოლოგიების უკიდურესი სიახლე გამოიკვეთა ვერა კაპელერისა და კონრადინ ცუმთორის იმპროვიზაციებში. სათამაშო პიანინო (ჰარმონიუმი), პრეპარირებული როიალი, ცუმთორის მიერ შექმნილი საკრავების სინთეზი, ქმნიდა იმ ესთეტიკას, რომელიც XXI საუკუნის აქტუალური მუსიკის მხატვრულ ხერხად ჩამოყალიბდა.

კაპელერ-ცუმთორის დუეტის მეოცნებე კომპოზიციებს ენაცვლებოდა კონტრასტული პროგრამა – ერთი მხრივ, 2012 წელს შექმნილი იურგ ფრაის „გრძნობების არქიტექტურა" ფორტეპიანოსა და სიმებისათვის, თავისი გაჩერებული ხმოვანებით, და ლუკას ლანგლოცის ფანტასტიკური ოთხნაწილიანი კომპოზიცია „Tover" (2012წ.) ალტისა და ფორტეპიანოსათვის, მეორეს მხრივ, გოლიშეფის თორმეტტონიანი კომპლექსები სიმებიანი ტრიოსათვის (1914 წ.) თავისი სიმძაფრით. პროგრამა შეასრულა მონდრიან ანსამბლმა და ფილიპ მაიერმა (ფორტეპიანო).

კონცერტის მესამე დღეს, 6 ოქტომბერს, შესრულდა კაპელერ-ცუმთორის მინიატურული იმპროვიზაციები. შთამბეჭდავი იყო პირველი იმპროვიზაცია „Song end...", სადაც კონრადინ ცუმთორი პერკუსიას ანიჭებდა სხვადასხვა გამომსახველობას, მაგალითად, თვითმფრინავის ხმოვანების იმიტირება, რომელიც მიიღწევა ინსტრუმენტალისტის მიერ შექმნილი საკრავის მოძრაობით დასარტყამ ინსტუმენტზე. ამ საღამოს სულ 9 იმპროვიზაცია შესრულდა. აღნიშვნის ღირსია ნატალი ბერიძის (ვოკალი / ელექტრონიკა) და ნიკა მაჩაიძის ორიგინალური ელექტრონული კომპოზიციები.

II განყოფილებაში, ჟღერადობის თანამედროვე ტექნოლოგიები შეცვალა კლასიკურმა მუსიკამ, კერძოდ, მოცარტის საფორტეპიანო კვარტეტმა Es – dur (1786 წ.). ნაწარმოები შეასრულა მონდრიან ანსამბლმა ულამაზესი ბგერათგამომსახველობით და ფრაზირებით. სამნაწილიანმა ციკლმა უსაზღვრო სიხარული მოჰგვარა მსმენელს.

ამ კონცერტზე პირველად გაერთიანდა ნატალი ბერიძისა და ნიკა მაჩაიძის დუეტი ვერა კაპელერისა და კონრადინ ცუმთორის დუეტთან .

აქტუალური მუსიკის ფესტივალმა 7 ოქტომბრიდან თბილისიდან რეგიონებში გადაინაცვლა, კონცერტები გაიმართა სიღნაღში, თელავში, გორში.




თამარ კორძაია (ფ- ნო), დანიელა მიულერი (ვიოლინო), პეტრა აკერმანი (ალტი), ეკაჩაი მასკულრატი (ჩელო)

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 24 ოქტომბერს, ციურიხში, რადიოს სტუდიაში, გაიმართა დასკვნითი კონცერტი, სადაც შესრულდა მიხეილ შუღლიაშვილის „დიდი ქრომატიული ფანტაზია (სიმფონია)“.

საქართველოში აქტუალური მუსიკის ფესტივალის პარტნიორები არიან მუსიკოლოგი, მგალობელი – დავით შუღლიაშვილი, კომპოზიტორი, საქსოფონისტი, კონსერვატორიის რექტორი – რევაზ კიკნაძე. ასევე: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, შვეიცარიის საელ–ჩო საქართველოში, რადიო „მუზა“, თბილისის მე–6 ავტორიზებული სკოლა.

დაბოლოს, აქტუალური მუსიკის ფესტივალს ``Close Encounters``, გულწრფელად ვუსურვებ დიდ წარმატე–ბებს თანამედროვე და ძველი მუსიკის ძიების გზაზე, რომელიც მართლაც რომ აქტუალური საკითხია, როგორც თანამედროვე მუსიკოლოგიისათვის, ასევე საშემსრულებლო ხელოვნებისთვისაც.

მარიამ მეფარიშვილი
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის I კურსის სტუდენტი

*ტარიელ ბაქრაძე... პიროვნება, რომელიც ერთნაირი შემოქმედებითი შემართებით იღვწოდა ორ, სრულიად განსხვავებულ პროფესიულ ასპარეზზე. მისი ცხოვრება დასტურია იმისა, რომ ღვთისგან ბოძებული ნიჭისა და თავდაუზოგავი შრომის მეოხებით, ადამიანს ძალუძს ერთნაირი ძალისხმევით, წარმატებულად ემსახუროს ურთულეს დარგებს — მედიცინასა და მუსიკას. ამ მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგია ფუნდამენტური სამეცნიერო დანატოვარი მედიცინის დარგში და ნაყოფიერი საკომპოზიტორო შემოქმედება. წელს 8-ნ ტარიელს 90 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღს ვეხმიანებით კომპოზიტორის მეგობრების მოგონებებით, რაც ამოვკრიფეთ გაზეთი „მუსიკის" ფურცლებიდან და კომპოზიტორის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი რადიოგადაცემიდან (ავტორი – მარიკა ჩიჯავაძე).*

# მუსიკისა და მედიცინის მსახური

მასალა მოამზადა თამარ წულუკიძემ

**გულბათ ტორაძე**: ბატონ ტარიელთან მე ნაცნობობის ნახევარი საუკუნე მაკავშირებდა. მართალია, ის რამდენიმე წლით უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ კონსერვატორიაში ერთი კურსით წინ ვიყავი. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ტარიელი შედარებით გვიან მოვიდა მუსიკაში, როდესაც იგი უკვე სტაჟიანი მედიკოსი იყო. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, მეორე სპეციალობის დაუფლების შემდეგ თავს ანებებენ ხოლმე თავდაპირველ საქმიანობას. ტარიელი ასე არ მოქცეულა. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი პირველი სიყვარულისა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია ამ დარგში. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ტარიელ ბაქრაძე ეწეოდა ძალზე ნაყოფიერ მოღვაწეობას „ორ ფრონტზე". არჩეული სპეციალობებისადმი სიყვარული და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა საშუალებას აძლევდა წარმატებით შეეთავსებინა მედიცინა და მუსიკა. ერთხელ მითხრა: ყველა ჩემი ნაწარმოები ღამის საათებში — გათენებამდე, ან შვებულების დროს მაქვს დაწერილიო.

კონსერვატორიაში ტარიელი ცნობილ კომპოზიტორსა და პედაგოგთან — პროფესორ იონა ტუსკიასთან სწავლობდა. ცნობილია, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა ბატონი იონა მუსიკალურ საზოგადოებაში. ტარიელი პირდაპირ აღმერთებდა თავის მასწავლებელს, რომელმაც მტკიცე პროფესიონალიზმთან ერთად მას ჩვენი ხალხური მუსიკისადმი დიდი სიყვარულიც ჩაუნერგა. ალბათ, ვისაც კი მოუსმენია ტარიელის ნაწარმოებები, დაგვეთანხმება, რომ მისი მუსიკა გამსჭვალულია ქართული ეროვნული სტილის ნიშან-თვისებებით. ტარიელისა და მისი მასწავლებლის მეგობრობა კონსერვატორიაში სწავლის შემდეგაც გრძელდებოდა. რამდენჯერმე შევხვდი მას ბატონ იონას ოჯახში 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ვმუშაობდი მონოგრაფიაზე ი. ტუსკიას შესახებ.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ტარიელი თითქმის ათი წელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ცენტრალურ მუსიკალურ ათწლედში. ეს უკვე „სამი ფრონტი" გამოდიოდა! დაბოლოს, ეს დაუღალავი კა-



ტარიელ ბაქრაძე

ციც იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო „მხოლოდ“ მედიცინით და საკომპოზიტორო შემოქმედებით.

როდესაც თვალს გადაავლებთ ტ.ბაქრაძის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა სიას, გაოცებთ მათი დიდი რაოდენობა და ჟანრობრივი მრავალფეროვნება, თუმცა, მთავარი მაინც მის შემოქმედებაში კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებებია. მათი საუკეთესო ნაწილი წარმატებით შესრულდა კონცერტებზე, დამკვიდრდა მუსიკალური სკოლების სასწავლო რეპერტუარში. მახსოვს ტარიელის დიდი ფორმის ნაწარმოებების — სიმფონიის, ორატორიის, მუსიკალური კომედიის პრემიერები, რომლებიც წარმატებით ჩატარდა. მის მუსიკას მუდამ მოსდგამდა გულითადი ტონი, თავისებური რომანტიკულობა, რაც შეერთებული იყო მყარ პროფესიულ კულტურასთან.

ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო გახშირდა მას შემდეგ, რაც დავსახლდით ერთ სახლში. ამ კეთილმოსურნე და გულღია ადამიანთან მუდამ სასიამოვნო იყო უბრალო საუბარიც კი. ტარიელი მშვენიერი მეოჯახე იყო. მისი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან ნამდვილად სამაგალითო გახლდათ და სიყვარულსა და ურთიერთერთგულებაზე იყო აგებული, რაც გამოჩნდა კიდეც მისი ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის პერიოდში. ყველას, ვინც კი იცნობდა ბატონ ტარიელ ბაქრაძეს, სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს ღრმად წესიერი, მუდამ მომღიმარი ადამიანი, მრავალმხრივი მოღვაწე, ღირსეული პიროვნება.

**მარინე იაშვილი**: ბატონი ტარიელი არაჩვეულებრივად ნიჭიერი ადამიანი იყო და რაც მთავარია, მრავალმხრივ ნიჭიერი. ეს უაღრესად მიმზიდველი თვისებაა ადამიანის. ჩვენ ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, მას მოჰქონდა თავისი ნაწარმოებები, ვსაუბრობდით მუსიკაზე და არა მარტო მუსიკაზე. ყველამ იცის, რომ ბატონი ტარიელი შესანიშნავი ექიმი იყო და სხვებისა არ იყოს, რომ გამიჭირდებოდა, ყოველთვის ვურეკავდი და რჩევას ვეკითხებოდი: როგორ უნდა მოვიქცე, კონცერტის წინ რა გავაკეთო, რა წამალი მივიღო და ა. შ.

მისი ნაწარმოებები მე ძალიან მიყვარს. მისი მუსიკა ისეთი ტემპერამენტული და ისეთი მელოდიურია; არასოდეს არაფერს „იგონებდა“. აი, ესაა მთავარი! იმიტომ, რომ ბოლო დროს კომპოზიტორები რაღაც უფრო „ტექნიკურ საშუალებებს“ მიმართავენ. ბატონი ტარიელის მუსიკა კი ყოველთვის ისეთი გულწრფელი იყო... მისი „ცეკვა“, რომელიც ჩაწერილიც არის, ძალიან ხშირად დამიკრავს საზღვარგარეთ და ყოველთვის დიდი მოწონება ჰქონდა. რონდო-სონატას ვუკრავდი თბილისში, მოსკოვში. როდესაც კამერული ორკესტრის ხელმძღვანელი ვიყავი, ვასრულებდით ბატონ ტარიელის სავიოლინო კონცერტს (ჩემმა დამ — ირინამ შეასრულა), სავიოლონჩელო კონცერტს. ათი წლის განმავლობაში, ვუკრავდი „ქალთა ტრიოში“ (ტატიანა პრიმენკო, ლუდმილა როშჩინა და მე - ყველანი მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორები), მაშინ ჩავწერეთ ბატონი ტარიელის ორი მინიატიურა, ახლაც ვუკრავთ ხოლმე. ასე რომ, ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა როგორც მუსიკაში, ისე ცხოვრებაში...

**ბიძინა კვერნაძე**: გავიხსენებ 40-იანი წლების დასასრულს. მაშინ მე მხოლოდ ფეხს ვიდგამდი მუსიკაში, კონტრაბასსაც ვსწავლობდი და პარალელურად კომპოზიციასაც. განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1948 წელი, თავისი ე.წ. დადგენილებით (გემახსოვრებათ მურადელის ოპერა). მოგეხსენებათ, ამ დადგენილების გამო დიდი ორომტრიალი იყო. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში გავიცანი ტარიელ ბაქრაძე. ტარიელი ჩემზე უფროსი იყო, რასაკვირველია. იგი უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება იყო, როგორც მედიკოსი; დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და შემდეგ შემოვიდა კონსერვატორიაში. ჩვენ მას მერე დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა. იგი გახლდათ ბ-ნ იონა ტუსკიას მოწაფე, მე ბ-ნ ანდრია ბალანჩივაძის მოწაფე ვიყავი. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ იმ პერიოდში, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა მუსიკის შესახებ, ნამდვილი კოლეგიალობა არსებობდა უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის. მხედველობაში მყავს როგორც ჩვენი პედაგოგები, ისე ყველა იმდროინდელი აქტიურად შემოქმედი კომპოზიტორი. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ხელწერის პედაგოგებთან გვიხდებოდა მუშაობა, ტარიელს და მე ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა როგორც ბ-ნ ანდრიასთან, ისე ბ-ნ იონასთან, ცხადია, როგორც უმცროს უფროსთან. ისინი ძალიან დიდ ყურადღებას იჩენდნენ იმ პერიოდში შექმნილი ჩვენი ნაწარმოებების მიმართ და ხელს უწყობდნენ ჩვენს მეგობრულ ურთიერთობასაც. ჩვენ ძალიან ინტენსიურ შრომას ვეწეოდით; დღე და ღამე ვმუშაობდით სწავლის პერიოდში და თანდათან ვეუფლებოდით კომპოზიციის საიდუმლოებას. ტარიელი და მე ხშირად ვუკრავდით ოთხ ხელში ბეთჰოვენის მუსიკას, მალერის სიმფონიებს. მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდია, როდესაც ყველაფერი აკრძალულია, ხოლო მალერი თითქმის ფაშისტად იყო გამოცხადებული.

მერე და მერე, როდესაც „ფეხი ავიდგით", გვიხდებოდა ერთად წასვლა მოსკოვში, მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, სადაც ვასრულებდით ჩვენს კამერულ ნაწარმოებებს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 1955 წელი, როდესაც ტარიელი და მე ზამთარში გახლდით ივანოვოს შემოქმედებით სახლში (ეს ტრადიციების სახლია — აქ ომის წლები გაატარა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, მათ შორის შოსტაკოვიჩმა). იქ ჩვენ სამი თვე გავატარეთ. ივანოვოში არაჩვეულებრივი პირობები იყო მუშაობისთვის; ახალგაზრდა კომპოზიტორები, ყველანი ვცხოვრობდით ცალ-ცალკე კოტეჯში, გვყავდნენ კონსულტანტები, რომლებსაც ნაწარმოებებს ვაჩვენებდით, შესანიშნავი მუსიკოსები: გიორგი ფრიდი, იგორ ბელარუსკი და, რაც მთავარია, ორკესტრობის დიდოსტატი პედაგოგი — გიორგი ფორტუნატოვი. ამ პერიოდში გავიჩინეთ უამრავი მეგობარი სხვადასხვა ქალაქიდან და რესპუბლიკიდან მონღოლეთის ჩათვლით. უნდა გითხრათ, რომ ამ ახალგაზრდა ჯგუფის ლიდერი გახლდათ ჩვენი ტარიელ ბაქრაძე. მოგეხსენებათ, რა დიდ შრომას ვეწეოდით; ჩაკეტილები ვიყავით კოტეჯებში მარტონი, ვშრომობდით, ხანდახან დილამდე და ვხვდებოდით ერთმანეთს მხოლოდ ტრაპეზის დროს. შრომა ყველას ძალიან გვიყვარდა, მაგრამ ტარიელს ვერ შევწვდებოდით მაინც, იმდენად შრომისუნარიანი იყო. იგი ბევრს წერდა და საკმაოდ კარგ ნაწარმოებებს კამერული მუსიკის სფეროში. მუსიკასთან ერთად ძალიან ბევრს შრომობდა თავის მეორე დარგში. ამან მე გამაოცა. რომ შევიდოდი მასთან კოტეჯში, ქაღალდების უზარმაზარ გროვაში იჯდა. თურმე, იქედანვე ჰქონდა ჩაფიქრებული საკანდიდატო დისერტაცია.

წინ გადავხტები, ყველამ იცის, რომ ტარიელი გახლდათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. როცა სადოქტოროზე მუშაობდა სოფელ ლიკანში, სადაც რამდენიმე კომპოზიტორი (ტარიელი, მე, სულხან ნასიძე) ოჯახებით ერთად ვიყავით, შევედი მათ ბინაში და დავინახე ქაღალდების კიდევ უფრო დიდი გროვა. გული გამისკდა, ვიყვირე — „ბიჭო, ეს ივანოვოს ქაღალდები გაიზარდა, თუ რა ხდება?!" „შენ სულ ასე მასხრობა იცი, გავიდეთ, გავისეირნოთო" — მეუბნებოდა სიცილით. იმიტომ ვკითხე, რომ ვერც კი წარმომედგინა, როდის ასწრებდა მუსიკის წერას და იმას, რომ პარალელურად შეეთავსებინა ერთმანეთთან ეს ორი რთული საქმე. ივანოვოს სემინარების შემდეგ, მოსკოვში რომ დავბრუნდით, შემოქმედებითი ანგარიშით წარვდექით მოსკოვის სამდივნოს წინაშე კაბალევსკის „თამადობით". ჩვენი ნაწარმოებები მოიწონეს და რაღაც ფულადი თანხითაც დაგვაჯილდოვეს.

ტარიელი იყო ნამდვილი მეგობარი ჩემი. მთელი, რომ იტყვიან, „სალი წლები“ — ახალგაზრდობა ერთად გავატარეთ. სად არ ვიყავით, ივანოვოდან მოყოლებული ყველა ქალაქში დავდიოდით ერთად. ტარიელის ოჯახთანაც ძალიან ახლოს ვიყავი. არასდროს დამავიწყდება მისი არაჩვეულებრივი მშობლები, ღრმად განსწავლული და სტუმართმოყვარე ადამიანები, დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ჩემ მიმართ. სტუდენტობის პერიოდში მე თითქმის ყოველ დღეს (კვირაში ხუთ დღეს მაინც) მათთან, ვერაზე, ვატარებდი. ტარიელი თავისი ბუნებით იყო არაჩვეულებრივად სუფთა, კრისტალური. იგი მარტო თავისი შემოქმედებით კი არ იყო გატაცებული, მოსწონდა თავისი მეგობრების მუსიკა და ხელს უწყობდა მათ პოპულარიზაციას. ის ინიციატივიანი პიროვნება იყო, მეტყოდა: — რატომ გინდა, რომ შენი ნაწარმოები მარტო კაბალევსკიმ და მისმა „კამანდამ“ მოისმინოს; მომკიდებდა ხელს და წამიყვანდა რედაქციაში. პირველად მან მიმიყვანა „სოვეტსკაია მუზიკას“ რედაქციაში. იქ დიდი ხალისით მიგვიღეს, მცირე საუბრის შემდეგ გვთხოვეს, დაგვეკრა ჩვენი ნაწარმოებები. ტარიელმა დაუკრა თავისი რამდენიმე პიესა, მეც დავუკარი და სულ მალე ჩვენი პიესები დაიბეჭდა მოსკოვში.

ტარიელი პოპულარული პიროვნება იყო. მას დიდი სახელი ჰქონდა, როგორც კარგ მედიკოსს მთელი კავშირის მასშტაბით. აქტიურ, ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა თავის საკომპოზიტორო მოღვაწეობაში, მისი მუსიკა ხშირად ჟღერდა, ყოველთვის მოწონებით სარგებლობდა. კარგი შემსრულებლები ჰყავდა, აქაც, მოსკოვშიც: ჟურაიტისი, დიმიტრიადი დირიჟორობდა, შახოვსკაია უკრავდა სავიოლონჩელო სონატას, კორნეევი და მაქსიმ შოსტაკოვიჩი მგონი ფლეიტის კონცერტს და დიმიტრი შოსტაკოვიჩმა მოისმინა მაშინ. მისი ნაწარმოებები ხშირად სრულდებოდა ჩვენს პლენუმებზე, რადიოთი, კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, საზღვარგარეთაც. მახსოვს, ბულგარეთიდან მოითხოვეს მისი საფორტეპიანო ციკლის, „სვანური ჩანახატების“ ნოტები და სწორედ მე გავაგზავნე. სამწუხაროდ, ტარიელის ნაადრევმა ავადმყოფობამ დიდი დაღი დაასვა მის ცხოვრებას. მე უბრალოდ გული მწყდება, რომ ტარიელს კიდევ შეეძლო ბევრი რამის გაკეთება. თუმცა, კიდევ აღვნიშნავ, რომ მან საკმარისად ბევრი გააკეთა, თავისი მისია შეასრულა. ტარიელმა მოასწრო უამრავი ნაწარმოების შექმნა, თითქმის ყველა ჟანრში. უბრალოდ, არ დასცალდა, თორემ ოპერასაც დაწერდა. დარწმუნებული ვარ, რომ ტარიელ ბაქრაძის ქმნილებებს კვლავაც გამოუჩნდება ღირსეული შემსრულებლები.



ტარიელ ბაქრაძე თავის პედაგოგთან, შალვა მშველიძესთან ერთად

**თემო ჩირგაძე**: ტარიელ ბაქრაძე გავიცანი 1957 წელს, როდესაც მე, სრულიად ახალგაზრდა ექიმი, მივედი ს.ვირსალაძის სახ. სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ბ-ნი ტარიელი კი უკვე განყოფილების გამგედ დამხვდა. რამდენიმე ხანს მის განყოფილებაში ვიყავი, ასე რომ, უშუალოდ ჩემი ხელმძღვანელი



სულხან ნასიძე, ოთარ თაქთაქიშვილი, ტარიელ ბაქრაძე, ზიძინა კვერნაძე.

მედიცინა და მუსიკა. მე ყოველთვის შეყვარებული ყველაზე ახლობელი ადამიანი ჩემთვის, ამ ინსტიტუტში გახდებოდა ბ-ნი ტარიელი. მართლაც ასე მოხდა. ჯერ ერთი, ჩვენ ერთ უბანში ვცხოვრობდით — ვერაზე. უამრავი საერთო ნაცნობი და მეგობარი გვყავდა, მეორეც, მისი კულტურა და გემოვნება განსაკუთრებით მისაღები იყო ჩემთვის. მთელი ეს წლები ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ტარიელსაც განსაკუთრებული ყურადღება და სითბო ჰქონდა ჩემ მიმართ და ასე გაგრძელდა ბოლომდე. ჩემს ირგვლივ არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასეთი პროფესიონალური მიდგომა ჰქონოდა ისეთი ორი დიდი დარგისადმი, როგორიცაა მედიცინა და მუსიკა.

მე ყოველთვის შეყვარებული ვიყავი ხელოვნებაზე — მუსიკაზე, თეატრზე, კინოზე. მაკვირვებდა და სულ ვფიქრობდი — კაცი, რომელიც თხზავს სიმფონიას, კონცერტს, მუსიკალურ კომედიას, მის ნაწარმოებებს ასრულებენ ესტრადაზე, რადიოში, ტელევიზიაში, რატომაა ასეთ „პროზაულ" მალარიოლოგიასა და ეპიდემიოლოგიაზე გადაგებული. მაგრამ ეტყობა ბატონ ტარიელს ჰქონდა იმხელა ენერგია, იმხელა პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ მიაღწია საოცარ სიმაღლეებს როგორც მუსიკაში, ისე ჩვენს პროფესიაში – მედიცინაში. მახსოვს, როდესაც დაიდგა მისი მუსიკალური კომედია, რა აჟიოტაჟი იყო სამედიცინო წრეში, რომ პროფესორი ტარიელ ბაქრაძე, რომელიც, ვიცით ყველამ, არის გამორჩეული პროფესიონალი, ნახევარი წლის განმავლობაში მივლინებებშია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, და აგერ, მისი სპექტაკლი იდგმება სახელმწიფო თეატრში. მართლაც, იშვიათად შემხვედრია ისეთი ორგანიზებული და საოცრად შრომისმოყვარე, შინაგანად მდიდარი და ერუდირებული ადამიანი, როგორიც ბატონი ტარიელი გახლდათ. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი პიროვნება (როგორც რუსები იტყვიან **личность**), დიდი პროფესიონალი, იგი ყოველთვის პირველი იყო ჩვენს სამედიცინო საქმეში.

ტარიელ ბაქრაძე იყო ძალიან ცნობილი მალარიოლოგი მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით კოლეგებში. მისი ძალიან სჯეროდათ და დიდი რიდიც ჰქონდათ. მახსოვს, ერთ-ერთ სიმპოზიუმზე ერთმა მოსკოველმა კოლეგამ ეჭვი გამოთქვა ქართველი სპეციალისტების დამოუკიდებელი საქმიანობის შესახებ. მთელი დარბაზი გაირინდა, არავის ამოუღია ხმა. მხოლოდ ბატონი ტარიელი წამოხტა და მშვიდად, არგუმენტირებულად, შესანიშნავი რუსულით ისეთი პასუხი გასცა მოსკოველი კოლეგის ირონიულ რეპლიკას, რომ შემდეგ, მთელი საათის განმავლობაში, რუსეთის სპეციალისტების დელეგაცია ბოდიშს გვიხდიდა. ასე გადაარჩინა და ასწია მან ჩვენი პრესტიჟი.

ბატონი ტარიელ ბაქრაძე ერთ-ერთი იმათთაგანია, ვისი სახელიც სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენი დარგის ისტორიაში. მან მონოგრაფიები და 150-ზე მეტი ნაშრომი დაგვიტოვა. ეს არის აკადემიურად შესრულებული სამეცნიერო მონაპოვარი, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს მომავალი თაობებისთვის. და კიდევ, ბატონმა ტარიელმა ორი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი შექმნა, სადაც სცენარისა და მუსიკის ავტორიც თვითონ იყო და ამით დაგვიმტკიცა, რომ ნიჭიერ ადამიანს, დიდ პიროვნებას ძალუძს ერთნაირი სიმაღლით ემსახუროს ისეთ დიდ დარგებს, როგორიცაა მედიცინა და მუსიკა.

უკვე მერამდენე წელია გერმანიაში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე პიანისტის, ელისო ასათიანის მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლის მიზანს წარმოადგენს მსოფლიო მუსიკალური კულტურისათვის უმნიშვნელოვანესი თარიღების აღნიშვნა. აქ უკვე ეგულება აუდიტორიაც, მსმენელიც, მოუთმენლად რომ ელოდება მის მიერ გამართულ ლექცია-კონცერტებს, სადაც ელისო ასათიანი გვევლინება ავტორის, წამყვანის, შემსრულებლის ამპლუაში. ამ საღამოებისადმი ინტერესს უპირველესად განაპირობებს მათი ავტორის არაორდინარული ხედვა და მიდგომა არჩეული თემისადმი, აგრეთვე მგზნებარე, მხურვალე განცდა იმ სამყაროსი, რომლის წიაღშიც იგი აუდიტორიას მიუძღვება.

ბოლო ლექცია-კონცერტი, სახელწოდებით — „სიტყვა და ბგერა" მიეძღვნა კომპოზიტორს, რომლისადმიც მთელი მუსიკალური სამყაროს ყურადღება იქნა მიმართული 2013 წელს. ეს რიხარდ ვაგნერი გახლავთ, მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების გიგანტთაგან ერთ-ერთი გამორჩეული. ალბათ, განსაკუთრებით რთულ ამოცანას წარმოადგენდა სწორედ ვაგნერთან შეხება, მის შესახებ არსებული ლიტერატურის უკიდეგანობისდა გამო. თვით ვაგნერის მეტად რთულმა, წინააღმდეგობრივმა სამყარომ განაპირობა სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა დროის ავტორთა შრომებისა და თხზულებების უჩვეულო სიმრავლე, ამავე დროს აზრთა სხვადასხვაობა, მხურვალე თაყვანისმცემელთა გვერდით დაუცხრომელ მოწინააღმდეგეთა არსებობა. სწორედ ამ ფონზე ალბათ იოლი არ არის მისი შემოქმედებითი პორტრეტის წარმოსახვა.


რიხარდ ვაგნერი

# მონათესავე სულები

თამარ წულუკიძე

რიხარდ ვაგნერისადმი მიძღვნილი ლექცია-კონცერტის არაორდინარულობა უკვე თვით პროგრამაში იყო გაცხადებული: საღამო, რომელიც გაიმართა რობერტ შუმანის დაბადების დღეს, ეძღვნებოდა ვაგნერისა და შუმანის ხსოვნას (არც შუმანის 200 წლისთავიდან არის დიდი დრო გასული). თუმცა უჩვეულოდ აღიქმება თავისთავად ეს მიდგომა, მათი მუსიკის კომპარატიული განხილვა, რამდენადაც ვაგნერის შესახებ არსებულ ლიტერატურაში შუმანთან ურთიერთმიმართების საკითხები ნაკლებად არის განხილული. ელისო ასათიანმა თავისი პოზიციის დამაჯერებლობისათვის მოიყვანა თვით ვაგნერის ავტობიოგრაფია (ზოგიერთი მუსიკოლოგი ავტოაპოლოგიას რომ უწოდებს), სადაც მთელი ორი ფურცელი ეთმობა შუმანს. ვაგნერთან მიმართებაში ერთ-ერთ ყველაზე აღმატებულად ლისტის



ელისო ასათიანი

ფიგურა აღიმართება, მიუხედავად ბოლო წლებში მათ ურთიერთობაში გაჩენილი ნაპრალისა (იქვე ისიც აღინიშნა, რომ ლისტს, როგორც ვაგნერის ცხოვრების ერთ–ერთ თანამგზავრავს და უმნიშვნელოვანეს მოვლენას ახლო მომავალში ამ კონტექსტში ცალკე კონცერტი მიეძღვნება).

ლექცია–კონცერტის დასაწყისში ელისო ასათიანმა შეასრულა ვაგნერის პიესა "Schachtend", რომელიც მან მეუღლეს – კოზიმა ლისტს მიუძღვნა. ეს გახლავთ ვაგნერის სულ ბოლო ნაწარმოები. მისი ხელნაწერი კომპოზიტორმა „პარსიფალის" პარტიტურაში ჩადებული საშობაოდ გადასცა კოზიმას (მომდევნო წლის 13 თებერვალს იგი ვენეციაში გარდაიცვალა). ამ ტრაგიზმით აღსავსე 13 (რიცხვი – 13 ვაგნერის ცხოვრებაში სიმბოლურად იქცა) ტაქტიანმა მინიატურამ მსმენელთა უმეტესობა ასოციაციურად, თავისი მუსიკალური ენით, მისი სისავსით, ალბათ, შუმანთან მიიყვანა და აქ გამჟღავნებული სწრაფვით მარად ამაღლებულისადმი, ძლიერი განცდებით მიგვანიშნა ამ ორი უდიდესი კომპოზიტორის მართლაც რომ სულიერ სიახლოვეზე.

ლექცია–კონცერტის ძირითადი ხიბლს წარმოადგენდა ის, რომ თეორიული დასაბუთების გარდა, მთელ საღამოს, მის მუსიკალურ ნაწილს გასდევდა ის გრძნობა, რაშიც მდგომარეობს ძირითადი საერთო მახასიათებლები ვაგნერსა და შუმანს შორის.

საღამოს წამყვანის სიტყვებით შუმანსა და ვაგნერს, უწინარესად, აერთიანებთ მათი წარმომავლობა – აკი პატარა საქსონიაში იშვა ეს ორი გიგანტი. მათ შორის ერთ–ერთ მნიშვნელოვან შეხების წერტილად ე.ასათიანმა დაასახელა ჰოფმანთან და ჟან პოლთან შინაგანი სიახლოვე.

პოეტმა და კომპოზიტორმა ე. თ. ა. ჰოფმანმა მთელი მუსიკალური რომანტიზმის ესთეტიკაზე მოახდინა ზეგავლენა. თავად ჰოფმანის ესთეტიკის დედააზრი, რომელიც გამჟღავნებულია მის ლიტერატურულ თხზულებაში „კრეისლერიანა", აგრეთვე ნოველებში – „ვარდის კავალერი", „სერაპიონის ძმები", შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ვაგნერის შემოქმედების ძირითადი იდეის, მისი თეორიის – ხელოვნების სინთეზური ნაწარმოების შესახებ, სათავეს. ჰოფმანის სიტყვებით, ხელოვნების სფეროდან ყველაზე აღმატებულია მუსიკა, რომელიც გადმოგვიშლის უხილავ სამყაროს. მუსიკას შესწევს მაგიური ძალა გამოიწვიოს უსასრულო გრძნობები, რაც შეიძლება სიტყვადაც იქცეს. ამიტომაც პოეტი და მუსიკოსი, სიტყვა და ბგერა წარმოადგენს ერთ მთელს.

ელისო ასათიანმა შეასრულა შუმანის პიესა ციკლიდან „კრეისლერიანა", რომელიც ჰოფმანის ზემოხსენებული ნაწარმოებით არის შთაგონებული. მანამდე ახსენა შუმანის პიესა „წინასწარმეტყველი ჩიტი", მან მოიხმო თავისი მასწავლებლის, ბატონ რევაზ თავაძის სიტყვები, რომ ეს პიესა არის შუმანის ავტოპორტრე–

ტი. ამ უკანასკნელმა ხომ არაერთი უდიდესი მუსიკოსის სიდიადე შეიგრძნო და განჭვრიტა პირველმა. შუმანმა, თავად შემოქმედებით სათავესთან მყოფმა, აღიქვა და სათანადოდ შეაფასა მუსიკალურ სამყაროში შოპენის მოვლინება, სიცოცხლის ბოლოს კი გზა დაულოცა ბრამსს. პიანისტმა შუმანის მინიატურის შესრულებისას ნატიფი ნიუანსებით, ეტაპობრივი სვლით p-დან pp-მდე გადმოსცა უსასრულობის განცდა, იდუმალი წამი, რომელსაც იგი მიჰყავდა სამყაროსაკენ, რომელთან შეხებისას იღვიძებდა შუმანში წინასწარმეტყველური უნარი, ხოლო ვაგნერში — ჟინი მისტერიული აქტის მიღწევისა.

საღამოს წამყვანმა ვაგნერთან მიმართებაში ნიცშეს არსებობის მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი. ნიცშე, რომელიც ახალგაზრდობის წლებში შეპყრობილი იყო ვაგნერის შემოქმედების მაგიით, ვაგნერისეული ფილოსოფიური იდეების მიმდევრადაც კი იქცა იქამდე, ვიდრე ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავარდა, ვაგნერისა და მისი ნაღვაწის დაუძინებელ მოწინააღმდეგედ არ იქცა. როგორც იმ საღამოს აღინიშნა, ნიცშემ ვაგნერის შემოქმედება განიხილა ბერძნული ტრაგედიის ჭრილში და იგი ანტიკური სულის ამაღორძინებლად წარმოაჩინა. ელისო ასათიანმა ყურადღება გაამახვილა ნიცშეს პირველ ნაშრომზე „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“, რომელიც ავტორმა ვაგნერს მიუძღვნა. ამ წიგნში ხომ წინა პლანზეა წამოწეული ხელოვნების მამოძრავებელი ორი საწყისი — აპოლონისეული და დიონისური, ამ უკანასკნელის ხორცშესხმის მწვერვალად საღამოს წამყვანმა ვაგნერი დაასახელა.

იმ საღამოს დიდი მეცნიერისა და მოაზროვნის შემოქმედების მცოდნეთათვისაც, ალბათ, მოულოდნელი იყო მისი მუსიკალური თხზულების აჟღერება. ელისო ასათიანმა შეასრულა ნიცშეს საფორტეპიანო პიესა „მთვარის შუქი უნგრეთის ველზე“, რომელიც ავტორს ყრმობის წლებში შეუქმნია. აქ წარმოგვიდგა ნიცშეს სილუეტი ამოზრდილი შუბერტის, შუმანის შოპენის სამყაროდან.

ცხადია, კონცერტის ცენტრალურ ნომრებად ვაგნერის ოპერების ფრაგმენტები წარმოგვიდგა. გაიჟღერა ვოლფრამის არიამ ოპერიდან „ტანჰოიზერი“. აქ კვლავ ამოტივტივდა საღამოს წამყვანის მიერ ხაზგასმული კომპოზიტორის არსებაში მომძლავრებული კონფლიქტის, ორი საწყისის — აპოლონისეულისა და დიონისურის არსებობა. ვოლფრანი თავისი ნათელი, ამაღლებული განცდებით ამ ბრძოლაში თითქოს აპოლონურის აღმატებულობაზე გვაფიქრებინებს. ახალგაზრდა მომღერლის ბესიკ კალანდაძის შემოქმედებით გამარჯვებაზე მოწმობს განცდათა სიღრმის წარმოჩენა. მომღერალმა აჩვენა კამერული შესრულების ის მაღალი კულტურა, რაც სწორედ რომანტიკოსი კომპოზიტორების — შუბერტის, ჰოფმანის, შუმანის სამყაროსთან ზიარებით მიიღწევა. ეს აისახებოდა გრძნობათა მოზომილ, გერმანულ თავდაჭერილობაში, სიტყვიერი ტექსტისადმი აშკარად ფაქიზ მიდგომაში, გამომსახველ წარმოთქმაში.

შესრულდა ელზასა და ორტრუდას დუეტი ვაგნერის ოპერიდან „ლოენგრინი“. აქ კი უკვე მოწმენი გავხდით ბრძოლის — ორ კონტრასტულ პოლუსთა შორის. „ლოენგრინში“ ხომ ერთმანეთს ეჯახება ბოროტება, სიბნელე — სიკეთესა და სინათლეს. ახალგაზრდა მომღერლებმა ძალიან რთულ ამოცანას გაართვეს თავი, — ისინი შეეჭიდნენ ამ მძლავრი დრამატული კონფლიქტის გადმოცემას. ასეთად წარმოგვიდგა ირინა შერაზადაშვილის (ორტრუდა) — დასაწყისში ელზას შეცდენის ჟინით შეპყრობილი და ამ მიზნიდან გამომდინარე, სინაზისა და უცოდველობის ნიღბით შეიარაღებული. მისი ძარღვიანი ხმის ტემბრი განსაკუთრებით გაიშალა ორტრუდას ნამდვილი სახის მხილებისას, როდესაც დაუდგა მომენტი მასში ჩადებული მძვინვარე. შავბნელი განცდების ამონთხევის. მის საპირისპირო კეთილშობილებით აღსავსე პერსონაჟ ელზას ასრულებდა თინათინ მამულაშვილი. მის ხმაში სულიერი ძალის მობილიზება იგრძნობოდა. ამ სცენაში ორ სამყაროს შორის შეჯახების გადმოცემა ძირითადად ორკესტრს ეკისრება, რასაც კამერული აჟღერებისას საფორტეპიანო თანხლება ასრულებს. ელისო ასათიანმა მგზნებარებით წარმოსახა ქარიშხალი, ვნებათაღელვა, აპოლონურისა და დიონისური საწყისების დაპირისპირება, რასაც, როგორც ჩანს, იგი განიცდის ვაგნერის სამყაროსთან ზიარებისას.

ლექცია-კონცერტის დასარულს ელისო ასათიანმა შეასრულა ლისტის „ნუგეში“ (ამასთან დაკავშირე-

ბით ელისო ასათიანმა წაიკითხა ფრაგმენტი ვაგნერის მოთხრობიდან „სიკვდილი პარიზში" (სწორედ ახლახან გამოვიდა ვაგნერის ნაწერების რჩეული ქართულ ენაზე, რ. ღვინეფაძის თარგმანით). იმ საღამოს კონცერტის პროგრამას ახლდა ვაგნერის ოპერების ფრაგმენტთა ელისო ასათიანისეული თარგმანები. მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრთაგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოების ინტერპრეტაცია იყო, შეიძლება ითქვას, არატრადიციული — ეს იყო სწორედ რომ ვაგნერისეულ განცდათა სიბობოქრე. აქ ის ლისტი წარმოგვიდგა, რომელმაც ცხოვრებისა და შემოქმედების დიდი, წინააღმდეგობებით, კატაკლიზმებით აღსავსე გზა განვლო, საბოლოოდ კი თავის ქალიშვილთან — რიხარდ ვაგნერის ქვრივთან, კოზიმასთან სტუმრად მყოფი მოულოდნელად გარდაიცვალა და ვაგნერის სამფლობელოში – ბაიროითში დაიდო სამუდამო ბინა.

წელს რიხარდ ვაგნერის დაბადებიდან 200 წლის საიუბილეოდ, მთელ მსოფლიოში გამართულ სხვადასხვა სახის, სხვადასხვა მასშტაბის ღონისძიებათა ფერადოვან მოზაიკას შეუერთდა ეს საღამოც, რომელიც აღსავსე იყო ვაგნერისეული გზნებით, განცდებით, ანალიტიკური განსჯით. აქ ტრიალებდა ვაგნერის სული და არამხოლოდ... აქ ტრიალებდნენ მისი მონათესავე — შუმანის, ჰოფმანის, ნიცშეს, ლისტის სულებიც...



# ᲜᲝᲠᲩᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ

ᲔᲙᲐ ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაზეც მსურს გაუწყოთ 2011 წელს დაარსდა და უკვე არაერთი ფესტივალის თუ კონკურსის ავტორია. მისი სახელწოდებაა „ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი – ჰარმონია“, რომელსაც ახალგაზრდა და ენერგიული ქალბატონი ციცი ბიჭიკაშვილი უდგას სათავეში.

სამწლიანი ისტორია არაერთ საერთაშორისო თუ ეროვნულ კონკურსსა და ფესტივალს მოიცავს. ყველაფერი კი თურქეთში საერთაშორისო კონკურსით დაიწყო. მისმა წარმატებამ განაპირობა, რომ ეს კონკურსი უკვე ტრადიციული გახდა. მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოსა და თურქეთის ახალგაზრდა მუსიკოსები, საფორტეპიანო, საორკესტრო და კლასიკური მუსიკის განყოფილების ახალგაზრდა შემსრულებლები.

მაღალია ჟიურის წევრთა პროფესიული ჯგუფის დონეც, თურქეთისა და საქართველოს წარმომადგენლებს წელს ვილნიუსიდან შეუერთდა ცნობილი მუსიკოსი, ლიტვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, პიანისტი ვერონიკა ვიტაიტე, მან ჟიურის საპატიო თავმჯდომარის პოსტი ჩაიბარა და აღფრთოვანებული დარჩა მონაწილე ახალგაზრდების ნიჭიერებით. მან გამოთქვა სურვილი, მუდმივად მიიღოს მონაწილეობა

კონკურსის ჟიურის თავმჯდომარის ამპლუაში.

ფესტივალის ორგანიზატორი ხშირად მიმართავს ქველმოქმედებას და არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას პირადად აფინანსებს, ასეთი შემთხვევა იყო თურქეთში ბოლო ფესტივალზე: ერთ-ერთმა ნიჭიერმა ბავშვმა სომხეთის რესპუბლიკიდან სწორედ ასეთი ქველმოქმედების წყალობით მიიღო მონაწილეობა ამ ფესტივალში.

წელს „ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირმა – ჰარმონია"-მ საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ბორჯომის მუნიციპალიტეტთან ერთად უკვე მესამედ ჩაატარა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ეროვნული ფესტივალი — ბორჯომი 2013. ფესტივალში მონაწილეობდნენ ნიჭიერი ბავშვები მთელი საქართველოდან. როგორც ქალბატონი ციცი ბიჭიკაშვილი ბრძანებს, ამ ფესტივალში განსაკუთრებით ნიჭიერმა ბავშვებმა მიიღეს მონაწილეობა, რის გამოც მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა და ორგანიზაციამ ორი ბავშვი დააფინანსა თურქეთის კონკურსში მონაწილეობისათვის – ქუთაისის სამუსიკო სკოლიდან ნინი გიორგაძე (მევიოლინე, თბილისი) და ბარბარე თათარაძე (ფორტეპიანო).

კონკურსში მონაწილეებიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტმა სპეციალური პრიზით დააჯილდოვა ახალგაზრდა შემსრულებელი სალომე ჟორდანია (თბილისი. პედაგოგი ნატა ნაცვლიშვილი).

უსაჩუქროდ არ დარჩენილან არც სხვა მონაწილეები, კულტურის სამინისტრომ ყველა მონაწილეს გადასცა საჩუქარი, პატრიარქის ეპისტოლე, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა კი ბავშვებს ექსკურსია მოუწყო ბორჯომის ხეობაში; მონაწილეებმა დაათვალიერეს რაბათი და მწვანე მონასტერი.

„ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირ – ჰარმონია"-ს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამომავლო გეგმები აქვს. ნოემბერში ქუთაისში გრანდიოზული გალა-კონცერტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფესტივალებსა და კონკურსებში გამარჯვებული ბავშვები. ნოემბრის ბოლოს კი ერევანში საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება, რომელიც ქალაქ ერევნის ლაზარე სარიანის სახელობის ხელოვნების სკოლასთან ერთობლივად ჩატარდება, მას მეგობრების ფესტივალი ქვია და ესეც ერთგვარ ტრადიციად იქცა. უკვე მეორე წელია აქ საქართველოსა და სასომხეთის ახალგაზრდა მუსიკოსები იღებენ მონაწილეობას, სადაც კლასიკურ მუსიკასთან ერთად ორი ქვეყნის ფოლკლორიც ჟღერს.

დეკემბერში კი ეროვნული საშობაო კონცერტია დაგეგმილი, რომელშიც მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებმა.

ყველაზე დიდ გეგმებს ორგანიზაციის დამფუძნებელი გაზაფხულისათვის ისახავს: *„ეს იდეა კულისებში მოულოდნელად გამიჩნდა, მას შემდეგ რაც საშობაო კონცერტში ჩემმა ორმა მოსწავლემ ჩაიკოვსკის ციკლიდან „წელიწადის დროni" ორი პიესა შეასრულა. უკვე ყველაფერი მზად მაქვს, მთელი საქართველოს მასშტაბით 12 ყველაზე ნიჭიერი მოსწავლე ჩაიკოვსკის ნაწარმოებს – „წელიწადის დრონი" – გააცოცხლებს"*. ჩაიკოვსკის ციკლი ნიჭიერი ბავშვებითა და ორკესტრით სწორედ მარტის თვეში აჟღერდება. ორკესტრშიც ბავშვებმა უნდა დაუკრან, საბავშვო ორკესტრზე კი ქალბატონი ციცი ამბობს, რომ „ნიჭიერი ბავშვები პატარაობიდანვე მიეჩვევიან ორკესტრში დაკვრას". მთელი საქართველოდან საბავშვო ორკესტრის მონაწილეების მოსმენა მარტის თვეში იქნება შესაძლებელი, ნაწარმოების გაორკესტრება კონსერვატორიის პროფესორს, კომპოზიტორ ეკა ჭაბაშვილს ეკუთვნის. ამ ღონისძიებას წინასწარი გადაწყვეტილებით საქველმოქმედო მიზანი ექნება.

„ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი – ჰარმონია"-ს ეგიდით გამართული ღონისძიებების წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ ყველა კონკურსი თუ ფესტივალი ტრადიციად იქცა და უკვე სამი წელია ყოველწლიურად იმართება, ეს ორგანიზაცია შემართულია იმ მიზნით, რომ იპოვოს ნიჭიერი ნორჩი შემსრულებლები მთელი საქართველოს მასშტაბით და მეტი სტიმული მისცეს მათ. თუკი პატარა მუსიკოსებს ამ პროექტებში მონაწილეობა დაეხმარება საკუთარი თავის შეცნობაში და იმის გარკვევაში თუ ვინ არიან, რა სურთ და რატომ, ეს იქნება ამ წამოწყების ყველაზე დიდი შედეგი.

# „ნოქტიურნი“ ჩელოს ფესტივალზე



თამარ გარსიაშვილი

მიმდინარე წელს გერმანიის ქალაქ რუტესჰაიმში, ჩელოს ფესტივალზე შესრულდა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ბრწყინვალე საორკესტრო ნაწარმოები „ნოქტიურნი“.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში უაღრესად პოპულარულია საკრავი – ვიოლონჩელო. ქალაქ რუტესჰაიმში არსებობს მუსიკალური სკოლა, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობა მხოლოდ ვიოლონჩელოზე დაკვრის ხელოვნებას ეუფლება. აქ, ამ ულამაზესი ჟღერადობის ინსტრუმენტზე დაკვრას 300 ბავშვი სწავლობს, ფესტივალიც ამ შესანიშნავ ინსტრუმენტს მიეძღვნა.

ფესტივალის ორგანიზატორი იყო გერმანიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი, ჩელისტი გიგა ხელაია, რომელმაც ჩამოაყალიბა ჩელისტების ორკესტრი. ორკესტრი აერთიანებს 120 ჩელისტს. სწორედ ზემოხსენებულ ღირსშესანიშნავ დღეს ჩატარებულ ჩელოს ფესტივალზე 120 ჩელისტი მუსიკოსისაგან შემდგარმა ორკესტრმა, ერთ-ერთ ნომრად შეასრულა ვაჟა აზარაშვილის საორკესტო პიესა „ნოქტიურნი“, რომელმაც მსმენელების დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ამავე წლის ზაფხულში, 15 ივლისს, გერმანიის ქალაქ ობერსტდორფში ჩატარდა ფესტივალი „OBERSTDORFER MUSIK SOMMER“. ფესტივალზე შესრულებული იქნა ვაჟა აზარაშვილის კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისათვის. სოლისტი იყო ცნობილი გერმანელი ჩელისტი – მაქსიმილიან ჰორნუნგი. აღნიშნულმა კონცერტმა კომპოზიტორს დიდი აღიარება მოუპოვა. ადგილობრივი პრესა აღფრთოვანებით გამოეხმაურა ხსენებულ ნაწარმოებებს, რაც მეტყველებდა ქართველი კომპოზიტორის დამსახურებულ აღიარებაზე საზღვარგარეთ. მადლიერი მსმენელი კვლავაც ელის კომპოზიტორის ახალ თხზულებებს.

# „თეთრი ფავორიტი“ - „ბიქს ბაი“ Leon Bismark «Bix» Beiderbecke

მანანა ხვედელიძე



კულტურა მატერიალური და სულიერი ღირებულებების, ადამიანის ქცევის წესების და ნორმების, მოღვაწეობის შესაძლებლობების და ხერხების ერთობლიობაა, რომელიც ასახავს საზოგადოების და კონკრეტულად, ადამიანის ისტორიული განვითარების განსაზღვრულ დონეს.

ხელოვნება მხატვრული ნაწარმოების შექმნაზე მიმართული შემოქმედებითი მოღვაწეობაა. სწორედ ასეთ კონტექსტში განიხილება მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული მიმართულება – თავისუფალი მდინარებით, ულევი იმპროვიზაციული შესაძლებლობით, არასტანდარტული აზროვნებით, დოგმებისა და „ჩარჩოებისადმი“ ცინიკური დამოკიდებულებით.

განვაგრძობთ საუბარს ჯაზზე, რუბრიკით – „Jazz Break“ და წარმოგიდგენთ შავკანიანთა კულტურის „თეთრ ფავორიტს“ – „ბიქს“ ბაიდერბეკს, ამერიკელ ჯაზმენს (კორნეტი, ფორტეპიანო), ბენდლიდერს, კომპოზიტორს.

„Hot or Cool“ — „ცხელი თუ გრილი“, ამ დილემის წინაშე XXI საუკუნეც დგას, როდესაც საუბრობენ ჯაზის კულტურაზე და ამ კულტურის მამებსა და მიმდევრებზე. რასიზმის აჩრდილი დღემდე თითქოს თავს დასტრიალებს ჯაზს და ჯერ კიდევ ძიების პროცესშია „ოქროს შუალედი“. საკუთარი ეროვნული პროდუქტის მიმართ შავკანიანებს მუდამ განსაკუთრებული, ეგოისტური დამოკიდებულება ჰქონდათ და ის, რომ ჯაზი სწორედ შავკანიანთა უპირატესი მიდრეკილებაა, – ამ აზრს ავითარებენ დღესაც.

და რაოდენ უნდა გამოიკვეთოს მუსიკოსი, განსაკუთრებით კი XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც სცენაზე კაშკაშებს თვით დიდი „სეჩმო“.

თქვენ ინტერესს მივაპყრობ ჯაზის ისტორიაში მართლაც გამოკვეთილ და თან ტრაგიკულ, თეთრკანიან მუსიკოსს, „ბიქს“ ბაიდერბეკს, რომელსაც აღმერთებდნენ კოლეგები, ხოლო მისი სახელი უკვდავყოფილია შავკანიანი ჯაზის ლეგენდების გვერდით. ბიქს ბაიდერბეკი იყო პირველი უდავო გენიოსი თეთრკანიან ჯაზმენებს შორის და არამარტო.

„შეხედე მას...“, – ამბობდნენ თეთრკანიანი კოლეგები, – „მან დაამტკიცა, რომ ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ ეს მუსიკა. თეთრებსაც შეგვიძლია შევქმნათ ნამდვილი ჯაზი“.

გიტარისტის ედი კონდონის (Eddie Condon) შეფასებით, ბაიდერბეკის მიერ შესრულებული მუსიკა ჰგავდა დიდი ხნის ნანატრ „დიახ“-ს, აღმოხდენილს ქალიშვილის ბაგეებიდან. „მთელი ცხოვრების განმავლობაში ვუსმენ მუსიკას, მაგრამ არასდროს მომისმენია ბიქსის დაკვრის თუნდაც ძალიან შორეული ვარიანტიც კი. პირველად მივხვდი, რომ მუსიკა როდია აუცილებლად რაღაცის მსგავსი. ზოგიერთი უკრავს იმდენად თავისებურად, რომ ვიღებთ აბსოლუტურად განსხვავებული ბგერების ნაკრებს“.

„რასაც აკეთებდა ბიქსი მანამდე მსმენელს არ მოესმინა. ჰარმონიების მშვენიერ სვლებში, რომელსაც ის იყენებდა, იყო რაღაც ახალი.“ – მესაყვირე, დოკ ჩიტემი (Doc Cheatham).

„ყოველთვის ვცდილობდი „მემღერა“ საყვირზე ისე, როგორც ბიქს ბაიდერბეკი...“-წერს ერთ-ერთი მესაყვირე. დღესაც არ ასვენებთ შემსრულებლებს ეს ოცნება.

„მაინც, რა აღაფრთოვანებდა 20-იანი წლების მუსიკოსებს და რა აღგვაფრთოვანებს ჩვენ?!“ – სვამს შეკითხვას ცნობილი ჯაზის მკვლევარი ჯეიმს კოლიერი და იქვე პასუხობს – „პირველ ყოვლისა საოცრად ლამაზი ბგერა, რითაც გამოირჩეოდა ბიქსის შესრულება“.

ბიქსის დაკვრის მრავალრიცხოვანი მიმბაძველები ცდილობდნენ მისი სოლოების კოპირებას. მას სწორი არ ჰყავდა, თუ არ ჩავთვლით მეორე გენიოსს, ლუი არმსტრონგს. ბიქსის გავლენა თანამედროვეებზე უდიდესი იყო.

შემსრულებლის დაკვრას ხშირად ადარებდნენ ზარების რეკვას. მართლაც მისი ყოველი სოლოს შესვლა (attacca) გამოირჩევა სიმკვეთრით, სიმტკიცით, უზადო ინტონაციით, ხოლო ბგერა ერთდროულად თბილი და ამავე დროს მეტალისებრი რეზონანსით, რიტმის გრძნობით, ექსპრესიული ბგერით და მდიდარი, დატვირთული ჰარმონიებით. მოხდენილობაში, თავისუფლებაში, მელოდიური ნაგებობის სიმსუბუქეში ბიქსი უბადლო იყო. ეს შეფასება მხოლოდ მცირედია, რაც ზოგადად ახასიათებს დიდი მუსიკოსის ხელწერას.

ბიქსი მოაზროვნე მუსიკოსი იყო და სწორედ ეს თვისება გამოარჩევდა თანამედროვეებისგან. არასდროს უკრავდა ფიქრის და წინასწარ გააზრებული კონცეფციის გარეშე. მისი ფიქრი ლოგიკური და თანმიმდევრული იყო, გამოსახვის ფორმა ეკონომიური, შემთხვევითი ბგერების გარეშე. შესაძლოა, ამ თვისებებში იკითხება წარმოშობით გერმანელი ბაიდერბეკის ერთგვარი მახასიათებელი პედანტურობაც. ბიქსს გამოარჩევს ზომიერების გასაოცარი გრძნობა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოკრძალება და სიმორცხვე. „გრძნობ, თითქოს მუსიკოსს არ სურს თავს მოგახვიოს საკუთარი პიროვნება და მოკრძალებით გთხოვს ნებას, გაჩვენოს საოცრება“.

რა თქმა უნდა, რთულია თითქმის ერთი საუკუნის წინ შექმნილი ჩანაწერებით სრულად გაიაზრო და შეაფასო მუსიკოსის მთელი სიდიადე და მაინც, როდესაც ისმენ შედევრად აღიარებულ კომპოზიციებს: ``Singinthe Blues`` და ``I’m Comin’ Virginia`` მის მეგობართან და საქსოფონისტ ფრენკი ტრამბაუერთან (Frankie Trumbauer) დუეტში, თითქოს ქრება ერთ საუკუნეზე გადაჭიმული დრო, ხოლო ჩანაწერებში, როგორც ერთი მუსიკოსი მოგვიანებით დაწერს: „იკითხება მთელი სამყარო“.

ვახსენეთ მუსიკოსის წარმომავლობა და აქვე მისი ბიოგრაფიიდან რამდენიმე არსებით შტრიხზე გავამახვილებთ ყურადღებას.

განსხვავებით უმეტესი კოლეგებისგან, სავარაუდოდ, ბიქსის, სტაბილურ მომავალს განსაზღვრავდნენ გერმანიიდან ამერიკაში (დაბადების ადგილი, დავენპორტი, აიოვას შტატი, 1903 წ. 10 მარტი) გადასახლებული შეძლებული მშობლები. მათი აზრით, ლეონ ბისმარკის მომავალი პროფესია უნდა დაკავშირებოდა ექიმის, იურისტის ან დიპლომატის პროფესიას. მოზარდი ბიქსი კი ტოვებს იძულებით არჩეულ სამხედრო შინაარსის მქონე სკოლა-პანსიონს (სადაც დასჯის მიზნით გაგზავნეს) და სრულად იძირება 20-იანი წლების ნიუ-იორკის ჯაზურ სტიქიაში. გასაოცარია, მთელი ცხოვრების მანძილზე მშობლები მეგობრებსა და ნაცნობებს უმალავდნენ ვაჟიშვილის არჩევანს და სწორედ შვილის არჩევანის მიუღებლობა გახდა დიდი



ლეონ ბაიდერბეკის ბავშვობის სახლი დავენპორტში

მუსიკოსის ტრაგედიის მიზეზი. ხოლო, ჯაზის სამყარო, სადაც ბიქსი საკუთარ ხელოვნებას ავითარებდა, უზომოდ მადლიერი იყო მისი.

ბიქს ბაიდერბერკი ბენდის ხელმძღვანელებს და კოლეგებს იზიდავდა და აოცებდა ბრწყინვალე ფრაზირებით და ბგერის კრისტალური სინათლით გამდიდრებული ფილიგრანული ტექნიკთ, იმ განსაკუთრებულობით, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ ჯაზის ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა. სიცოცხლის მანძილზე მან სულ რამდენიმე კოლექტივთან შეძლო მუშაობა. პირველ ყოვლისა მეგობრობდა ფრენკი ტრამბაუერთან, ვისთანაც ბიქსმა სხვადასხვა ორკესტრებში შექნა საუკეთესო დუეტები, მოგვიანებით პიანისტის, ფრანგი ჟან გოლდკეტის (Jean Goldkette) ბენდი და ბოლოს „ჯაზის მეფის“, პოლ უაიტმენის (Paul Whiteman) ორკესტრი, სადაც კარიერის მწვერვალს მიაღწია.

ეს კოლექტივი ბიქსის კარიერაში ერთგვარ შემოქმედებით ლაბორატორიად იქცა. ის საათობით იჯდა ფორტეპიანოსთან, ინტერესდებოდა დებიუსის, რაველის და იმ დროის სხვა ნოვატორთა შემოქმედებით.

სწორედ ამ კომპოზიტორებისგან შეისწავლა მუსიკოსმა ჰარმონიის ზოგიერთი ხერხი, შუქ-ჩრდილების მდიდარი პალიტრა და საკუთარი ფანტაზიის წყალობით ფერთა მრავალფეროვნება ორგანულად შერწყა უცნაურ ჯაზურ კომბინაციებთან. სანიმუშოდ დავასახელებთ კომპოზიციებს: «Candlelights», «Flashes», «In the Dark» , «In a Mist».

ჯაზის სამყაროში ათეულობით ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე მუსიკოსია. მათ შორის ბიქსის ცხოვრება განსაკუთრებულია. მხოლოდ 28 წელი იცხოვრა მან ამქვეყნად. მიზეზი – სასმელში ნუგეშის ძიება, რათა დაეძლია არასრულფასოვნების შეგრძნება ოჯახის მიერ ამ ბრწყინვალე შემოქმედების უგულებელყოფის გამო. როდესაც ახლობლებმა ოჯახს ტრაგიკული ამბის საუწყებლად მიაკითხეს, სახლის შესასვლელში დაინახეს გაუხსნელი გრამფირფიტების გროვა ბიქსის უნიკალური ჩანაწერებით.

ბიქს ბაიდერბეკმა, როგორც კომეტამ გაიელვა ჯაზის სამყაროში და დატოვა დიდი კვალი აზროვნებით, გამოსახვის ფორმებით, მელოდიის და ჰარმონიის უზადო შეთანხმებით და განსაკუთრებული ჟღერადობით. მან დაუმტკიცა თავისი დროის ჯაზმენებს და განსაკუთრებით მესაყვირეებს, რომ არმსტრონგის მაყურებელზე გათვლილი ე.წ. ბრავადული შესრულება არ იყო ერთადერთი გზა და რომ არსებობს დაკვრის მოკრძალებული და ამავე დროს დეტალიზებული ხელწერა. არმსტრონგის მსხვილი, „ეპიკური“ დაკვრის სტილს უპირისპირდებოდა ბიქსის „სონეტი“. ეს განსხვავება მუსიკოსების წარმომავლობისა და ხასიათის თვისებებზე მიუთითებს.

ბუნებრივია, გვბადება კითხვა – ბიქსს რომ უფრო მეტი ეცოცხლა, რამდენს მოასწრებდა როგორც კომპოზიტორი და რა სიმაღლეებს მიაღწევდა როგორც შემსრულებელი?! ჯაზის ისტორიაში მუსიკოსი ცნობილი იყო, როგორც განუმეორებელი კორნეტისტი, რომელმაც პირველმა დაამტკიცა, რომ თეთრკანიანებსაც შეუძლიათ კარგად შეასრულონ ჯაზი და ბლუზი. სავარაუდოდ, ის განთქმული იქნებოდა როგორც პიანისტი, რომელზეც მეტყველებს ჩანაწერი “In A Mist”, და როგორც კომპოზიტორი, რადგან, რად ღირს თუნდაც მისი “Davenport Blues”!, და როგორც ბენდის ლიდერი და



ორკესტრი `The Wolverines` მარცხნიდან მეოთხე ბიქს ბაიდერბეკი. 1924

კიდევ... არ დასცალდა...

დავენპორტში დღესაც დგას გრანდ ავენიუზე მუსიკოსის მშობლიური სახლი. სწორედ ამ ადგილიდან წავიდა ამერიკის დასაპყრობად პატარა ბიქსი და სწორედ აქ დააბრუნეს მუსიკოსის ცხედარი ახლობლებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა და დაკრძალეს ადგილობრივ სასაფლაოზე. ალბათ ვერ იპოვით ამ ქალაქში მაცხოვრებელს, რომელმაც არ იცის მისი კუთხის განთქმული მუსიკოსის შესახებ.

ჩვენც, ამ მოკრძალებული წერილით, ვიხსენებთ მარად ახალგაზრდა ლეონ „ბიქს“ ბაიდერბეკს.

არცთუ დიდი ხნის წინ მკლევარებმა იპოვეს ნოტების ფურცლებზე წარწერა: “Wake Up Bix”, „გაიღვიძე ბიქს“. ალბათ მუსიკოსი სასმელით გაბრუებულ და ჩაძინებულ ბიქს ბაიდერბეკს უხმობდა.

# ღვაწლმოსილი

გომარ სიხარულიძე



გარსევან სიხარულიძე

სიხარული მირჩევნია სიყვარულსო. ასე იწყებდა თითქმის ყველა ჩვენ შეხვედრას შეუდარებელი, კოლორიტული პიროვნება სპორტის (და განსაკუთრებით ფეხბურთის), მუსიკის (იგი თითქმის 50 წლის წინ ოპერის თეატრსა თუ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გავიცანი) და ლიტერატურის „გიჟი“ მოყვარული, ცნობილი ისტორიკოსი გოგი დემეტრაძე. მართლაც, სიხარულის მსახურია სიყვარული, ბავშვის გაჩენა, სამშობლოს მთა-ბარის მონახულება, მაღალი დონის ლხინი და ამ ლხინის დროს მოსმენილი საოცარი ქართული წამოკრული სიმღერები და ღიღინები. ამის გამო მიყვარს თქვენი გვარიო, რადგან მე სიხარულის კაცი ვარ და „დინამოს“ გამარჯვებით მოტანილ სიხარულს, ერთადერთი, სუფრასთან შესრულებული კარგი სიმღერა თუ შეედრებაო და ორივე ერთად ხომ დიდი სიხარულიაო. სიხარულით იწყებოდა და სიხარულით მთავრდებოდა ყველა ჩვენი შეხვედრა. ასეთი გამოდგა თურმე ბოლო შეხვედრაც. მესამე „ხმა“ გოგი ლორთქიფანიძე იყო. იგი გაოცებული უსმენდა ჩვენს „დუეტს“...

სიხარული მამაკაცის უძველესი სახელია ჩვენში. „ტბეთის სულთა მატიანეში“ იგი მოხსენიებულია XII საუკუნის შემწირველთა შორის. ტისორეთი, გიორგი და სიხარული. ისიც ცნობილია, რომ საკუთარი სახელებიდან შექმნილა უამრავი გვარი. გიორგი — გიორგაძე, სიხარული — სიხარულიძე, დავითი — დავითიძე, თამარი — თამარაშვილი და კიდევ მრავალი... იგივე წყაროში უკვე XIV საუკუნეში მოხსენიებულია ჩამოყალიბებული სახლობა, ოჯახი —— სიხარულიძე დიმიტრი, მეუღლე ნათელა.

ასეთი უძველესი გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელზე მინდა გესაუბროთ ამჟამად. აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველი ათი სიხარულიძიდან შვიდი-რვა მღერის, ხოლო ამათგან ორი-სამი კარგი მომღერალია. ჩემი ნათქვამის დასტურად მინდა მოვიყვანო არტემ ერქომაიშვილის რეპერტუარის სანოტო კრებული, სადაც ჩამოთვლილ მომღერალ გვარებს შორის, ვისთანაც ბატონ არტემს უმღერია, ყველაზე ბევრი - ცხრა სიხარულიძეა, ხოლო პროფესორ იური სიხარულიძის წიგნში „ჩოხატაური“, მოხსენიებულ გურულ მოკრიმანჭულეებში ოცზე მეტი სიხარულიძეა (დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს სია არასრულია). ბატონი არტემის ზემოთ ხსენებულ შემხმობართა შორის ერთ-ერთი შესანიშნავი მომღერალი გარსევან სიხარულიძე გახლდათ. იგი დაბადებულა 1907 წელს ჩოხატაურის

რაიონის სოფელ გოგოლესუბანში (ამ სოფელს ხშირად „მუსიკალური გოგოლეთის“ სახელითაც მოიხსენიებენ), ცნობილი მომღერლის ანდრია სიხარულიძის ოჯახში. ბიძა სამსონი და უახლოესი სახლიკაცები, განთქმული მომღერლები ბარნაბ, ვახტანგ და დიდებული ერმალო სიხარულიძეები (გურული სიმღერების ჩოხატაურის სკოლა), შეიძლება ითქვას, მისი უშუალო „მასწავლებლები“ იყვნენ. უსმენდა რა შესანიშნავ ოსტატებს, რომლებსაც ხშირად დიდი ვლადიმერ (ლადიმე) ბერძენიშვილიც ამშვენებდა, იგი ნატრობდა, როდესმე შეძლებოდა ასეთ მომღერლებთან ერთად სიმღერა. ნიჭიერმა ყმაწვილმა ეს ოცნება მალე აისრულა. ამას უმადლოდა ვახტანგ სიხარულიძეს, რომლის ხელმძღვანელობითაც იგი მალე პროფესიონალ მომღერლად ჩამოყალიბდა.

ფართო ასპარეზზე გარსევან სიხარულიძემ პირველი ნაბიჯები ქ. სოხუმში გადადგა. 1930 წელს ვახტანგ სიხარულიძემ ქართულ-აფხაზური სახელმწიფო ანსამბლის სოლისტად მიიწვია, სადაც ბატონი ვახტანგი გურული ფრთის მასწავლებელი იყო. აქ გარსევან სიხარულიძემ ოთხი წელი დაჰყო. 1935 წელს კი თბილისში გადმოიყვანეს „დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდში“, რომელსაც კ.პაჭკორია ხელმძღვანელობდა. აქ კიდევ უფრო დაიხვეწა მისი ოსტატობა. შემდეგ როდესაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდები გაერთიანდა ერთ „საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად“, ბატონი გარსევანი მეოთხედ საუკუნეზე მეტი ამ გუნდის უცვლელი სოლისტი გახლდათ. იმავდროულად იგი წლების განმავლობაში მღეროდა საქართველოს რადიოს ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელსაც ცნობილი ოსტატი ა. მეგრელიძე ხელმძღვანელობდა. სახელმწიფო ანსამბლის შემადგენლობაში გარსევან სიხარულიუძემ თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა. ბოლოს იგი იყო თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების გუნდის სოლისტი. მაგრამ ბატონი გარსევანის სასიმღერო-შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალი ლადიმე და ოთარ ბერძენიშვილებთან ერთად შესრულებული გურული ღიღინების სტუდიური ჩანაწერებია, რომლებიც, ზოგადად, ადამიანის მუსიკალური აზროვნების ძნელადმისაღწევ სიმაღლედ შეიძლება ჩაითვალოს. განსაკუთრებით „ჩვენ მშვიდობა“, სადაც ვირტუოზი შემსრულებლები ,,ჯერარსმენილი“ და „არგაგონილი“ სასიმღერო ხმის ფლობის და თავისუფალი იმპროვიზირების ბრწყინვალე მაგალითს წარმოგვიდგენენ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი გარსევანის „მუსიკალური ოჯახი“- მეუღლე ნატო ერმილეს ასული - ცნობილი მომღერლების ევგენი, მიხეილ და ანა კოროშინაძეების და გახლდათ და-ძმასთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო ეროვნული მუსიკის პოპულარიზაციას. ორი სახელოვანი მუსიკალური ოჯახის კვალს გაჰყვა მათი ერთადერთი ქალიშვილი მედეაც.

ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და ხელოვნების სარბიელზე ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის გარსევან სიხარულიძე დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიგელებითა და მედლებით.

მე განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ბატონი გარსევანის სტუმრობა ჩვენს ოჯახში. სახელმწიფო ანსამბლი თითქმის ყოველ წელს ჩამოდიოდა კონცერტებით ქ. ქუთაისში და ჩემი მშობლები - გიორგი სიხარულიძე და მარიამ მდინარაძე თავს ვალდებულად თვლიდნენ მოეწყოთ ოჯახური შეხვედრა ანსამბლის წევრებთან.

მამა მოწვეულ სტუმრებს ახვედრებდა ქუთაისში მოღვაწე გურული სიმღერების ბრწყინვალე შემსრულებლებს, ძმებს - კოწია და ვალიკო რამიშვილებს, რომლებთან ერთადაც ჩემი დედ-მამა მღეროდნენ. ეს შეხვედრები ტრადიციული ლხინის ბოლოს საოცარი კონცერტის სახეს იღებდა, რომლის მონაწილენიც იყვნენ: აკაკი კოვზირიძე, ილია ზაქაიძე, გარსევან სიხარულიძე, დიმიტრი ჩავლეიშვილი, სიმონ მეგრელიშვილი, ანანია ერქომაიშვილი, ძმები კოწია და ვალიკო რამიშვილები და ჩემი დედ-მამა. გამოგიტყდებით და სტუმრების თხოვნით მე და ჩემი ძმა ვიტალიც ვბედავდით მათ გვერდით სიმღერას. ასეთი ლხინი - კონცერტები ხშირად იმართებოდა ჩვენთან სხვადასხვა ცნობილი და ღვაწლმოსილი ოჯახების (არტემ ერქომაიშვილი, ამირან თოიძე) მონაწილეობით.

სიმღერის ძალა გვაერთიანებდა ყველას და ეს იყო დიდი სიხარული.

იხაროს შენმა სულმა გარსევან სიხარულიძევ!

*2013 წლის 23 სექტემბერს დიდ ქართველ კომპოზიტორს ალექსი მაჭავარიანს 100 წელი შეუსრულდა. მისი შემოქმედება, რომლის უფლებებსაც ცნობილი სიკორსკის გამომცემლობა იცავს, უკვე საერთაშორისო მასშტაბით არის აღიარებული. ამას ადასტურებს საიუბილეო საღამოების ციკლი თურქეთში, პორტუგალიაში, ლონდონში, სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. მაგრამ საერთაშორისო პროექტებისაგან განსხვავებით, საქართველოში მაჭავარიანის საიუბილეო ღონისძიებებს მისი ვაჟის, ევროპაში მოღვაწე დირიჟორის ვახტანგ მაჭავარიანის უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, რაშიც მას თანადგომა აღმოუჩინეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, თბილისის მერიამ და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ. ეს იყო ამა წლის სექტემბრის თვეში გამართული 8 კამერული და სიმფონიური კონცერტი, რომლებზეც მაჭავარიანის არაერთი შეუსრულებელი თხზულების პრემიერა გაიმართა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღეებში თბილისელი საზოგადოების წინაშე საკონცერტო ესტრადაზე წარსდგა მაჭავარიანების მუსიკალური გვარის გამგრძელებელი, ბატონი ალექსის შვილიშვილი ალექსი მაჭავარიანი.*

*ასევე ბატონი ვახტანგის უდიდესი მხარდაჭერით 2008 წელს გამოვიდა ალექსი მაჭავარიანის მოგონებების ვრცელი გამოცემა „შემოქმედი და დრო“ („უბის წიგნაკის ჩანაწერები“, ლიტერატურული ვერსიის ავტორი მანანა კორძაია), ახლახან საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გაიმართა ამავე წიგნის ინგლისური ვერსიის წარდგინება. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენცია.*

*გთავაზობთ ფრაგმენტს ზემოხსენებული წიგნიდან შემოქმედი და დრო“, მოგონებას ვახტანგ მაჭავარიანის კონცერტთან დაკავშირებით ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“. ამ უკანასკნელზე არჩევანი შევაჩერეთ იმიტომ, რომ მამასა და შვილს უდიდესი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდათ, რაც დღესაც გრძელდება. ვახტანგ მაჭავარიანმა თითქმის სრულად აღასრულა მამის საფლავთან დადებული დაპირება და მისი 100 წლის თავისათვის საზოგადოებას გააცნო ყველა იმ თხზულების საკონცერტო ვერსია, რომლის შესრულებასაც ავტორი სიცოცხლეში ვერ ეღირსა. ახლა ჯერი მათ სცენურ ხორცშესხმაზეა. ამ მხრივ ვახტანგს ყველაზე მნიშვნელოვნად ოპერა „ჰამლეტის“ დადგმა ესახება. „ამ ოპერის საოპერო თეატრის სცენაზე დადგმა ჩემი ცხოვრებისეული მისიაა და მე ეს უნდა აღვასრულო“ - ბრძანებს დირიჟორი*

# ალექსი მაჭავარიანი 100

ფრაგმენტი წიგნიდან „შემოქმედი და დრო“ (უბის წიგნაკის ჩანაწერები)

1990 წლის სექტემბერია. პირველი შემთხვევაა, რომ ასეთი სიმძიმე მაწევს მოსკოვში ჩამოსვლისას გულზე. ობიექტური მიზეზების გარდა, რაც გარკვეულ პოლიტიკურ დაძაბულობაში გამოიხატება, ამინდიც უწყობს ხელს ამ ჩემს განწყობას. მთელი დღეა წვიმს გადაუღებლად. მე გარკვეული საქმეები მაქვს მოსაგვარებელი ლონდონში გამგზავრების წინ.

ისე, პიროვნულად, ძალიან ბედნიერი ვარ. ვატომ მოსკოვში 120 კონცერტმაისტერი მუსიკოსისაგან შესანიშნავი ორკესტრი ჩამოაყალიბა, რომელმაც თავისი დებიუტი ლენინგრადში (პეტერბურგში) გამართა დიდი წარმატებით. ახლა ეს ორკესტრი სრული შემადგენლობით, თავისი სამხატვრო ხელმძღვანელითა და დირიჟორით ვახტანგ მაჭავარიანი მიწვეულია კონ-

ცერტით ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“, უმშვენიერეს და უდიდეს საკონცერტო დარბაზში, რომელიც 5500 მაყურებელს იტევს. მათთან ერთად მივემგზავრებით მე და კუკულიც. ლონდონის ყველა ცენტრალურ გაზეთსა და ჟურნალში განთავსებულია რეკლამა ამ კონცერტის თაობაზე, საპატიო ადგილს უთმობენ ინფორმაციას დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანის შესახებ. წინასწარი ცნობებით უკვე გაყიდულია 4000 ბილეთი. პროგრამა სოლიდურია და საკმაოდ რთული — პოლ დიუკას „ჯადოქრის მოწაფე“, რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტი, სოლისტი პიანისტი ბერეზოვსკი და მეორე განყოფილებაში შოსტაკოვიჩის მეათე სიმფონია.

ვატოს უკვე საკმარისი გამოცდილება აქვს, მაგრამ ლონდონის „ალბერტ ჰოლში“ გამოსვლა მაინც განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა. ცხადია, ვღელავ, მაგრამ ვცდილობ, არ შემამჩნიონ ჩვენებმა.

ჩამოვფრინდით ლონდონში. კენსინგტონ ოტელის მშვენიერ ნომერში მოგვათავსეს. სასტუმრო საკონცერტო დარბაზის გვერდზეა. რეპეტიციაზე არ წავედი, მირჩევნია დავისვენო.

საღამოს რვა საათზე იწყება კონცერტი. უზომოდ ვღელავ, არსად არ მინდა წასვლა, ლონდონის ქუჩები და ულამაზესი პარკებიც კი არ მიზიდავს. მხოლოდ კონცერტზე ვფიქრობ.

როგორც იქნა დადგა რვა საათი და დავიკავეთ ჩვენი ლოჟა ამ საუცხოო დარბაზში, რომელიც გადაჭედილია მსმენელით. ამდენი ხალხის შემხედვარეს, მღელვარება გამიასკეცდა, გული ამიძგერდა, სული ამიშფოთდა. გადავყლაპე ნიტროგლიცერინი. და აი, გამოდის კონფერანსიე, რომელიც აცნობს საზოგადოებას ორკესტრის ისტორიას, მის დირიჟორს და ცერემონმაისტერის დახვეწილი პლასტიკით იწვევს მას სცენაზე. „მაღალ, წარმოსადეგ, ელეგანტურ” დირიჟორს (კონფერანსიეს შეფასებით) მსმენელი ოვაციით ეგებება. ვახტანგმა ასწია სადირიჟორო ჯოხი და კონცერტი დაიწყო.

კონცერტის საერთო ტონუსი პოლ დიუკას „ჯადოქრის მოწაფემ“ განსაზღვრა. ვახტანგმა უზომო ხალისით წარმართა ეს ფერადოვანი კოლორიტით აღსავსე საორკესტრო შედევრი. დარბაზის რეაქციამ ნათლად გამოავლინა, რომ დირიჟორმა შეძლო მსმენელთან



კონტაქტის დამყარება და დაიმორჩილა იგი. დაიწყო რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტი ბერეზოვსკის შესრულებით. გრანდიოზული მასშტაბის მიუხედავად, დარბაზში საოცრად გამოკვეთილად ისმის ორკესტრის საერთო ჟღერადობაც და პიანისტისაც.

რაფინირებული ბგერაც, როგორც საორკესტრო ტუტის ძლიერი ხმოვანებისას, ისე ფაქიზად მჟღერ ლირიკულ ეპიზოდებში. მთელი კონცერტის განმავლობაში ორკესტრსა და სოლისტს შორის მიღწეულ იქნა უბადლო ანსამბლურობა. კულმინაციურ ეპიზოდებსა და კადენციებში ბერეზოვსკი უზადო ტექნიკისა და ულამაზესი ბგერის შეზავებით აღწევდა უკიდურეს დრამა-

ტულ სიმძაფრეს, რომელსაც ენაცვლებოდა პოეტური ლირიზმით აღსავსე ნატიფი ხმოვანება. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ორკესტრის დახვეწილი და სუფთად ჟღერადი თანხლება. მთლიანობაში კი შეიქმნა რომანტიკული გზნებით, რახმანინოვისეული დაუოკებელი ენერგიითა და ემოციურად დატვირთული მუსიკალური ფრესკა. დარბაზი ბობოქრობს, გრიალებს, ოვაციებს და ბრავოს შეძახილებს არ უჩანს ბოლო. ბერეზოვსკი ბისზე ასრულებს რახმანინოვის პრელუდიას, რითაც თავდება პირველი განყოფილება.

უდიდესია წარმატება. ხალხის ვნება შესვენებაზეც არ ცხრება, მაგრამ მე მაინც არა ვარ ბოლომდე დამშვიდებული. წინ არის შოსტაკოვიჩის მეათე სიმფონია, ნაწარმოები ძალზედ რთული, როგორც შესასრულებლად, ისე აღსაქმელად. მის მოსმენას ჩაფიქრება და კონცენტრაცია სჭირდება. ეყოფა კი მოთმინება მსმენელს?

ორკესტრმა დაიკავა თავისი ადგილი. გამოვიდა დირიჟორი და დაიწყო სიმფონია. ექსპოზიციამ გაიჟღერა ღრმად, გამოკვეთილად, სიმები აღწევენ დიდ გამომსახველობას. თანდათან აილესა, აილეწა ჟღერადობა, გააქტიურდა, გახდა ქმედითი, ამოძრავდა აზრი და დაიძრა კულმინაციისაკენ დაუოკებელი დინამიზმით. ჟღერადობა დრამატიზირდება, იძაბება და ამზადებს მსმენელს მეორე ნაწილის ნიაღვარივით მოვარდნილი, დაუოკებელი სტიქიურობისათვის. მართლაც, აღვირახსნილი, თავისუფალი, სწრაფვითი ენერგეტიკით დაიმუხტა მუსიკა, ტემპერამენტულად, უეცრად ამოვარდნილი ქარიშხალივით ჩაიქროლა და დაუტოვა საფიქრალი მსმენელს — რა ამოძრავებს შოსტაკოვიჩის აზრს — სიხარული თუ მძაფრი განცდა, იტანჯება თუ ზეიმობს, განიცდის თუ დასცინის ამასოფლის უკუღმართობას? რა არის ეს — სარკაზმი თუ იუმორი, წუხილი თუ ამ წუხილის ამოფრქვევა? აქ, ვფიქრობ, შოსტაკოვიჩი მსმენელს სთავაზობს, თვითონ ეძებოს პასუხი ამ კითხვებზე, იმ განცდების შესატყვისად, რომელიც აეშლება მოსმენის პროცესში. ვატოს მიერ ამ ნაწილის ინტერპრეტაციის შემდგომ, გულახდილად შემიძლია განვაცხადო, რომ აქ, ლონდონის „ალბერტ ჰოლში“ პირველად ჩავწვდი დიმიტრი შოსტაკოვიჩის მეათე სიმფონიის ჭეშმარიტ არსს, მის ზოგადსაკაცობრიო პრობლემას, განჭვრეტილს რუსი მხატვრის მიერ.

მესამე და მეოთხე ნაწილიც ამ გასაღებში წარიმართა. დამთავრდა სიმფონია. იფეთქა ჟინით დატენილმა დარბაზმა, რომელიც ფეხზე წამოუდგა დირიჟორსა და ორკესტრს, შეუნელებელი ოვაციის ფონზე. ლონდონელები გაკვირვებას ვერ მალავენ, გვეუბნებიან, თავდაჭერილი, ფრთხილი, საკმაოდ რაციონალური ლონდონელები რომ ფეხზე დამდგარი უკრავდნენ ტაშს, იშვიათად ხდება, მით უმეტეს, ასე ხანგრძლივი დროის მანძილზე. ზუსტად დავთვალე, 14-ჯერ გამოიძახეს ვატო სცენაზე და მაინც არ იშლებოდნენ. უეცრად ვატომ გააჩუმა დარბაზი ხელის აწევით და გამოაცხადა: კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი, თურქული მარში ბალეტიდან „ოტელო“. მე სუნთქვა შემეკრა, აღარაფერი მესმოდა, სანამ ტაშის ხმა არ შემომესმა. ამას ტაში არ ეთქმოდა, ეს ოვაცია იყო, ხანგრძლივი, შეუჩერებელი. ვატო იძულებული გახდა კიდევ ერთი ეპიზოდი შეესრულებინა „ოტელოდან“ — „მავრიტანელ ქალთა ცეკვა“. ორკესტრმა ბრწყინვალედ შეასრულა იგი. ოვაციამ იმატა, კი არ შენელდა, მაგრამ ნამდვილი ტრიუმფი „მავრიტანულ ცეკვას“ მოჰყვა. ორკესტრმა ჭეშმარიტად ფეიერვერკული ტემპერამენტით, ხალისით დაუკრა იგი. ტრომბონების სოლომ ასწია ჟღერადობის პულსი კულმინაციამდე და მუსიკა დამთავრდა, მაგრამ ოვაცია — არა. ჩემს ლოჟაში ისეთი ორომტრიალი შეიქმნა, თითქოს ჩემს ბენეფისზე ვიმყოფებოდი.

ეს კონცერტი ვატოს ტრიუმფთან ერთად, ჩემიც აღმოჩნდა.



ალექსი და ვახტანგ მაჭავარიანები

# ალექსი მაჭავარიანის „დედა ენა“ იმაგინატიური აზროვნების ჭრილში

ლალი კაკულია

წელს, გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს ალექსი მაჭავარიანს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. თანამედროვე ქართულ მუსიკაში მას სრულიად დამსახურებულად უკავია წამყვანი და გამორჩეული ადგილი. მაჭავარიანი უფროსი თაობის ქართველ კომპოზიტორთა საუკეთესო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია, რომელსაც ამდიდრებს მე-20 საუკუნის მუსიკალური აზროვნების მიღწევებით. მის ჟანრობრივად მრავალფეროვან და დიდი მხატვრული გამარჯვებებით აღბეჭდილ შემოქმედებაში მკაფიოდ იკვეთება ეროვნული სულისკვეთება, გატაცება პატრიოტული შინაარსის, მაღალზნეობრივი, ეთიკური და მოქალაქეობრივი თემებით. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ოპერები: „დედა და შვილი“ და „ჰამლეტი“, ბალეტები:

„ოტელო“ და „ვეფხისტყაოსანი“, სიმფონიური პოემები: „მუმლი მუხასა“ და „გმირის სიკვდილზე“, საგუნდო ბალადა „არსენა“, „ხუთი მონოლოგი“ ვაჟას ლექსებზე, მისი სავიოლინო და საფორტეპიანო კონცერტები, სიმღერები შ. რუსთაველის („ვარდსა ჰკითხეს“), ა. წერეთლის („ცა ფირუზ“, „ჩონგურო“, ვოკალური დუეტი „გაზაფხული“), ი. ჭავჭავაძის („ოროველა“) და სხვათა ლექსებზე. როგორც მხატვრული, ასევე საზოგადო მოღვაწეობის საერთო მიმართებით, ეროვნულისა და პატრიოტულის წინა პლანზე წამოწევით, გამჭოლ ხაზად რომ გასდევს მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას, თავისი მსოფლმხედველობის გარკვეული ასპექტებით, ალექსი მაჭავარიანი, ჩვენი აზრით, უდავოდ უკავშირდება 60-იანელებისა და, კერძოდ, თერგდალეულთა მოღვაწეობას. ამდენად შემთხვევითად არ ჩაითვლება კომპოზიტორის ხშირი მიმართვა აღნიშნული თაობის მწერალთა შემოქმედებისა და აგრეთვე რუსთაველის პოეზიისადმი, რომლის უკვდავ სიდიადეს ილიამ, აკაკიმ და საერთოდ სამოციანელებმა ღირსეული ადგილი მიუჩინეს. გამონაკლისი ამ მხრივ, არც საგუნდო ციკლი „დედა ენაა“.

საგუნდო ციკლი „დედა ენა“ 1981 წელს დაიწერა. ეს იყო კომპოზიტორის რეაქცია 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებზე, რომელმაც ცხადყო, რომ საბჭოთა რეჟიმმა ვერ დათრგუნა ქართველი ახალგაზრდობის ნება, რომ მას შესწევს სულიერი ძალები მშობლიური ენის დასაცავად. სტუდენტთა პატრიოტული გამოსვლების წყალობით, ქართულმა ენამ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი, რაც წარმატებული ნაბიჯი იყო ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. სწორედ ამ ამბებმა შთააგონეს კომპოზიტორს იაკობ გოგებაშვილის წიგნის „დედა ენის“ საფუძველზე მუსიკალური ნაწარმოების შექმნა. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ალექსი მაჭავარიანი ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებულ და ოსტატობით აღჭურვილ იმ მცირერიცხოვან კომპოზიტორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავის შემოქმედებაში რთული ფილოსოფიური პრობლემების, დრამატული განცდებისა და მოვლენების ასახვასთან ერთად, შემოქმედების პირველი ნაბიჯებიდანვე საბავშვო თემებსაც დიდ ყურადღებას უთმობენ და სხვადასხვა ჟანრებში მოზარდ შემსრულებელთა ეროვნული რეპერტუარის საუკეთესო ნაწილს ქმნიან (საფორტეპიანო პიესები: „ბაზალეთის ტბა“, „ექსპრომტი“, „ხორუმი“, მრავალი სავიოლინო პიესა, საფორტეპიანო ციკლები: „მუსიკალური სიყრმე“, „საბავშვო ალბომი“ და სხვა), რაც იმაზე მეტყველებს, რომ მაჭავარიანისათვის არა მარტო მახლობელია ბავშვის სულიერი სამყარო, არამედ იმაზეც, რომ ყმაწვილთა ეროვნული მუსიკალური აღზრდის სატკივარი ავტორს შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისიდანვე აწუხებდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ალექსი მაჭავარიანი სრულიად ლოგიკურად მივიდა საგუნდო ციკლის „დედა ენის“ შექმნამდე.

ვიდრე უშუალოდ ჩვენი საკვლევი თემის განხილვას შევუდგებოდეთ, რომლის მიზანიცაა გავიგოთ, თუ როგორ აერთიანებს კომპოზიტორი „დედა ენაში“ გადმოცემულ განსხვავებული შინაარსის თემებს, როგორ უქვემდებარებს მათ მუსიკალურ — კომპოზიციურ ლოგიკას, და რაც მთავარია, რა გზებით გამოხატავს მთავარ იდეას — პატრიოტულ გრძნობას ისეთი ტექსტებით, რომელთაც ერთი შეხედვით ამასთან არაფერი აქვთ საერთო, დავსვათ კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის დედაენა!

დედაენა ის ენაა, რომელსაც ბავშვობიდან ვითვისებთ, რომელზედაც ვმეტყველებთ, ვაზროვნებთ, ჩვენივე ჯიშის ხალხთან ვურთიერთობთ, სამყაროს ამ ენაზე აღვიქვამთ, ქვეყნის ადათ-წესებს ამ ენაზე ვაყალიბებთ და გამოვხატავთ. მეორე მხრივ, „დედა ენა“ წიგნია, წიგნი, რომლითაც პირველად ვეუფლებით მშობლიურ ენაზე წერას, კითხვას, ნააზრევის გადმოცემას, სწორ საუბარს. ამ წიგნითა (1876) და თავისი სხვა შრომებით, გოგებაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებას, რომლის სათავეებიც მე-4 საუკუნეს უკავშირდება. მაგრამ საინტერესოა, რაშია მისი პედაგოგიური მოძღვრების არსი ან „დედა ენის“ დანიშნულება? განა მხოლოდ წერა-კითხვის შესწავლაში? რატომ გამოიხატება ორი განსხვავებული ცნება — მშობლიური ენა და მისი შემსწავლელი წიგნი აკუსტიკურად იდენტური ხატებით? არის თუ არა ეს დამთხვევა შემთხვევითი? ამაზე პასუხს გაგვცემს შემდეგი სიტყვები: „დედა ენა“ იყო უშრეტი სალარო საუკუნეების განმავლობაში ხალხის უთვალავ თაობა-

თა მიერ შემუშავებული სიბრძნისა, მაცნე და მოძღვარი ხალხის სულიერი სიმდიდრისა, უხვი წყარო ჭეშმარიტი მამულიშვილობისა, მართალი აზრისა, პატიოსნებისა, შრომისა და გარჯისა. ეს იყო წიგნი დედაბუნების სიკეთეზე, მადლიან დედაშვილობაზე, ადამიანთა შორის გულითად სიამტკბილობასა და ხალხებს შორის ძმურ ურთიერთობასა და მშვიდობაზე“ (უშანგი ობოლაძე).

მაშასადამე, „დედა ენა“ ყოფილა წიგნი იმ მარადიულ ღირებულებებზე, რომელიც ასე ზოგადსაკაცობრიოა და რომელიც, როგორც ჩვენში, ასევე მთელ ქვეყანაზე დევალვაციას განიცდის, თანდათან იკარგება და ქრება. თუ ზემოთ მოყვანილ სიტყვებს იაკობ გოგებაშვილის აზრითაც განვავრცობთ, რომ „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა“, ნათელი გახდება „დედა ენის“ პატრიოტული შინაარსი და ენის, როგორც ასეთის, როლი ეროვნული „ეგო“-ს ჩამოყალიბებაში, ადამიანის ეროვნული სახისა და ხასიათის ფორმირებაში.

როგორ, რა გზებითა და ხერხებით უნდა გამოეხატა კომპოზიტორს წიგნში ჩადებული ამ ჰუმანური იდეების სიღრმე და მრავალპლანოვნება, შეენარჩუნებინა მუსიკაში წიგნისათვის დამახასიათებელი ვიწროეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ჰარმონია და ბალანსი, და ამავდროულად, ეს ყოველივე გადმოეცა ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე!

კომპოზიტორი „დედა ენის“ მუსიკალური განსხეულების გზაზე მეტად რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. ნაწარმოების ციკლურ სტრუქტურაში (25 სიმღერა), მას ერთიან მუსიკალურ-მხატვრულ განზომილებაში უნდა მოექცია და ერთი აზრით გაეერთიანებინა ლიტერატურული პირველწყაროდან აღებული, სრულიად განსხვავებული შინაარსის ტექსტები და ლექსები (თხზულებაში შევიდა მასალა „დედა ენის“ როგორც საანბანო ნაწილიდან, ასევე პირველი საკითხავი წიგნიდან). ასეთი გამაერთიანებლის როლს პროგრამულ ციკლებში, ჩვეულებრივ, სიუჟეტი, ანუ პოეტური, ვერბალური შინაარსი ასრულებს ხოლმე. როგორც ცნობილია, ასეთი სიუჟეტური ტიპის პოეტური შინაარსი „დედა ენას“ არ გააჩნია. ამგვარ ვითარებაში, მთავარი იყო იმ ძირითადი მახასიათებლის, იმ განმსაზღვრელი მუსიკალურ-მხატვრული ელემენტის მიგნება, რომელიც




ციკლის ერთიანობას განაპირობებდა. ასეთ ქვაკუთხედად, რომელიც ბავშვის ყოველდღიურ, ყოფით შთაბეჭდილებათა ქაოსს ციკლში მხატვრული მიზანშეწონილობის ლოგიკით აწესრიგებს, იქცა პატრიოტიზმი, მამულიშვილური გრძნობის აღზრდა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „კაცური კაცის“ ჩამოყალიბების იდეა, ანუ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების ის მთავარი ძარღვი, ძალუმად რომ ფეთქავს „დედა ენაში“ და ჭეშმარიტად ეროვნული სულის ფორმირებას რომ უწყობს ხელს — მოვლენების ეროვნული ხედვითა და აღქმით.

ამის გათვალისწინების გარეშე, ნაწარმოების არც ერთი ნაწილი, არც ერთი გუნდი მხატვრული მთლიანობის ნაწილად ვერ გაიაზრება, რადგანაც მამულიშვილობა — ეს ციკლის ის კომპოზიციური ღერძია, ის აზრობრივი სათავეა, რომელსაც ყველა ნაწილი გარკვეული აღსანიშნით უკავშირდება. სწორედ ეროვნულში ხედავს კომპოზიტორი სულიერ ფასეულობათა ძიების გასაღებს, ჭეშმარიტი მამულიშვილის ცნებაში რომ იგულისხმება.

მაგრამ როგორ, რა საშაულებებით უნდა იქნეს მუსიკაში გამოხატული მამულიშვილობის იდეა ისეთი კონკრეტული შინაარსის ტექსტებით, როგორიც „დედა ენაშია" მოცემული და რომელთა გარკვეული ნაწილიც საფუძვლად დაედო მუსიკალურ თხზულებას? ჩვენი აზრით, ამის გარკვევა საკმაოდ ძნელია და ასოციაციური კავშირების რთულ სისტემას ემყარება. ამ მხრივ, ნაწარმოები სპეციფიკურია და ეს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისი დედააზრი არ ძევს ზედაპირზე, დაფარულია და სიღრმისეულ შრეებშია მოსაძიებელი. ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, თუ პოეტურად განცდილი, ე.ი. „ემოციად გარდასახული" აზრი, როგორ ვლინდება კომპოზიტორის მხატვრულ მეთოდში, ანუ რა გზებით გარდასახავს იგი გარესამყაროს — ამ შემთხვევაში ლიტერატურულ პროგრამაში გამოხატულ სახეებს, თავისი ნაწარმოების მხატვრულ რეალობად, როგორ აქცევს მას გამჭოლ იდეად.

ეს გზა უპირველეს ყოვლისა ხალხურში, ანუ ეროვნულში უნდა ვეძიოთ, რომელიც მთელი ციკლის მუსიკალური აზროვნების საფუძველს წარმოადგენს და შესაბამისად მხატვრულ ნააზრევთან კავშირში და მის თანამედროვე მეტყველებასთან შერწყმაში ჰპოვებს გამოხატულებას. ციკლის იდეის გამოვლენაც მასში გამოყენებულ მრავალ ხალხურ მუსიკალურ პირველწყაროთა ანალიტიკურ, მუსიკალურ და წარმოსახვით სინთეზს გულისხმობს და ამ სინთეზს მსმენელში სათაური წარმართავს. სათაურივე განაპირობებს ციკლის შინაგან სტრუქტურას. ყოველი მუსიკალური პირველწყაროს თუ პარალელის სმენითი მიგნება, ტექსტთან კავშირში მისი გააზრება, ამა თუ იმ ჟანრის მახასიათებლების, რიტმული ფორმულების, მეტრული აგებულების, კილო-ჰარმონიული და ინტონაციური მსგავსების შეგრძნება დამატებით ეფექტს ახდენს მსმენელზე. მათგან ზოგიერთი, და განსაკუთრებით კი ნანას ჟანრი იმაგინატიურ, სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს მთელ ნაწარმოებში და ამაღლებს მისი ემოციური ზემოქმედების სპექტრს. ყოველი ასოციაციური წყარო, ციკლის სხვა ნაწილების ამ სიმბოლოსთან კავშირში გააზრება, აძლიერებს განცდით ეფექტს.

ამგვარად, ციკლის მკაფიო კონცეპტუალური მიმართება, მუსიკალური ტექსტის ინტეგრირების მძლავრი საშუალებაა, ერთი იდეით რომ მსჭვალავს მთელ ნაწარმოებს.

ახლა განვიხილოთ ამ ინტეგრაციის წმინდა მუსიკალური საშუალებანი, უფრო სწორად, მათი ურთიერთობების ის რთული სისტემა, ასე ძალდაუტანებლად და ბუნებრივად რომ იყენებს კომპოზიტორი.

პირველი მათგანია ნაწილთა სახეობრივი და ჟანრული კონტრასტი, გამთლიანების კლასიკურ ხერხს რომ წარმოადგენს ციკლურ ნაწარმოებში. აქ გვხვდება ელეგია, ნანა, სიმღერა, ჟანრულ-ყოფითი და ჟანრულ-ლირიკული ჩანახატები, ჟანრული და დრამატული სცენები. თითოეული პიესის სათაური გვიხსნის მის პოეტურ შინაარსს. პიესები გამოირჩევა სისადავით, უბრალოებით, სახეთა მკაფიოებით, დახვეწილი პოეტურობით. მიუხედავად ცალკეული ნომრების შინაარსის მრავალფეროვნებისა, გამოთქმის საერთო ტონი ლირიკულია, ბავშვური გულღიაობით ხასიათდება, ფორმა კი მინიატურული. ნაწილების უმრავლესობის მუსიკალური ფაქტურა განტვირთულია, სჭარბობს მომრგვალებული ფრაზები. განწყობის სიმყარე გამორიცხავს განსაკუთრებულ ფეთქებებსა და კულმინაციებს, რაც ითვალისწინებს ბავშვის ფსიქიკის თავისებურებებს და სტილურ მთლიანობას ანიჭებს ნაწარმოებს. ჩანაფიქრისა და გამოხატვის საშუალებების სისადავე, რომანტიკული მინიატურებისათვის დამახასიათებელ ელფერს აძლევს მათ.

ნაწილები, მსგავსად გოგებაშვილის „დედა ენისა", განლაგებულნი არიან თანდათანობითი გართულების პრინციპით. ეს ვლინდება როგორც სიმღერების ფორმასა და მათ მოცულობაში, ასევე სხვა გამომსახველ ხერხებში. მაგალითად სიმღერა №1 — „ია" პერიოდის ფორმითაა დაწერილი. მისი მელოდია კვინტის დიაპაზონითაა შემოზღუდული, ყოველ ასოზე მოდის თითო ბგერა, თითქოს ბავშვი სწავლობს კითხვას, შემდეგ ნომერში — „თითი", ადგილი აქვს პულსაციის გახშირებას, უკვე თითო ბგერას თითო მარცვალი შეესაბამება. სიმღერები — „საათი" (№3), „სოკო" (№4) და „ოფოფი" (№5) განაფულ მკითხველს წარმოგვიდგენენ, რომელიც შეუფერხებლად ეცნობა ტექსტს. „საათში" ასეთ შეგრძნებას საათის წიკწიკის ამსახველი აკომპანემენტი უწყობს ხელს, ხოლო „სოკოსა" და „ოფოფში"

სწრაფმეტყველების გამოყენება ვოკალში. ტექსტების გართულებასთან დაკავშირებით სიმღერების მოცულობაც იზრდება, თუმცა შიგადაშიგ ჩართული უმარტივესი ფორმით შესრულებული ნაწილები, გოგებაშვილის წიგნში მოთავსებულ სხარტ შეგონებებს, გნომურ გამონათქვამებს („ღვინო და სიტყვა“, №22). ან ბავშვის ფანტაზიის გაელვებას რომ მოგვაგონებენ („შესაძლებელია“, №19) ერთი მხრივ, და მსგავსი განწყობის პიესების ბლოკებად გაერთიანება ციკლის პირველ ნახევარში მეორე მხრივ, აწონასწორებენ ციკლის ნაწილების ფორმათა მოცულობას, რომლებიც ძირითადად არ გამოდიან მინიატურის საზღვრებიდან.

წიგნის შესაბამისად, მუსიკაშიც მარცვალ-მარცვალ იგება ბავშვის მიერ დანახული სამყაროს მთლიანი სურათი და ეს ხორციელდება მხატვრული სახეების ფრაგმენტებისა და ეროვნული საუნჯის ღრმა შრეებიდან ამოზიდული კოდების პოეტური შთაგონების ძალით გაერთიანების მეშვეობით.

ციკლის ინტეგრირების სხვა საშუალებები ნაწარმოების სიღრმეშია მოსაძიებელი. ისინი მოიცავენ ინტონაციას, კილო-ჰარმონიულ მიმოქცევებს, თემატური განვითარების პრინციპებს, ფორმის შემქმნელ ელემენტებს, ხმისა და თანხლების, მუსიკისა და ტექსტის დამოკიდებულების საკითხებს, მეტრულ-რიტმულ სტრუქტურებს და სხვა.

თითოეული მათგანის განხილვის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები, რომლებიც ზოგადად ასახავენ ციკლში გამოვლენილი აზროვნების თავისებურებებს და განაპირობებენ მის მთლიანობას. ეს არის მიმართვა ხალხური წყაროებისა (როგორც გლეხური, ასევე ქალაქური) და აზროვნებისადმი, ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელი კილო-ტონალური განვითარების და ჰარმონიული სტრუქტურის შეხამება ევროპულთან, მუსიკალური აზრისა და ლექსის სტროფულობა, პოეტური სტროფის თავისებურების გამოვლენა მუსიკის მეტრულ-რიტმულ სტრუქტურაში, კვარტა-კვინტური, ტერცია-სექსტური და სეპტიმური ინტონაციების ფორმის შემქმნელი როლი, მეტრულ-რიტმული განვითარების დაკავშირება სიტყვის წარმოთქმის დინამიკასთან და მის ფრაზირებასთან, მუსიკალური და პოეტური პუნქტუაციის თანხვედრა, ტექსტის განზოგადებული აღქმა, ხმისა და ინსტრუმენტული თანხლების კავშირის ინტენსივობა, მათი ფუნქციური ტოლობა და მათ შორის რიტმულ-ინტონაციური წარმონაქმნების თანაბარი განაწილება, საერთო განწყობილების სიმყარე, დაკავშირებული ლირიკული საწყისის წონასწორობასთან, ქალაქური და გლეხური ფოლკლორისათვის დამახასიათებელი აზროვნების შეხამება, ხალხური მუსიცირების ხერხების გამოყენება (გლისანდოები — „ჩიტი და მელა“, „თხა და ვენახი“, რევერბერაცია — „ირემი“, აშკარა ექოს ეფექტი), ზომების და მეტრული ცვალებადობა (სიმღერებში — „კურდღელი და ყანა“ №16-5/8, 3/8; „თხა და ვენახი“ — 4/4, 6/6, 2/4, 3/4, 5/4 და ა.შ.), განპირობებული პოეტური სტროფის თავისებურებით და სხვა მრავალი.

ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც მიმართული იყო იმის გამოსავლენად, თუ ციკლის რომელი ნაწილი, ზემოთ აღნიშნული რა ნიშნებით უკავშირდება მეორეს, გვიჩვენა, რომ ნაწარმოებში ფუნქციონირებს მუსიკალური ელემენტების ურთიერთქმედების რთული სისტემა, რომელიც ხსნის ნაწარმოების სტილურ და აზრობრივ ერთიანობას და სიმღერების ციკლად გაერთიანების მიზანშეწონილობას.

დრამატურგიის მკაფიობას, ნაწილებს შორის ლოგიკურ კავშირს და მათ შინაგან ერთიანობას ემსახურება აგრეთვე, გარკვეული ნაწილების, როგორც კულმინაციურისა და ცენტრალურის გააზრებაც. ასეთია განაპირა ნაწილები (№1 და №25) და თხზულების ემოციური კულმინაცია — „თხა და ვენახი“ (№17), რომელიც თავისი მასშტაბებით, თავისუფალი განვითარების პრინციპებით, ვოკალის და აკომპანემენტის დამოკიდებულებით, აშკარად გამოირჩევა სხვა დანარჩენისაგან და ციკლის კონსტრუქციაში ოქროს კვეთის წერტილს ქმნის. ჟანრობრივად ეს გაშლილი ვოკალური სცენაა. მაგრამ თავისი შინაარსით იგი ბიფუნქციურია. ორგვაროვნება თვით მისი სემანტიკური ბუნებიდან მოდის. ერთი მხრივ, ეს არის სხარტად გამოსათქმელი, ბავშვის აღქმისათვის მისაწვდომი ტექსტი, დაკავშირებული ყოფასთან, მეორე მხრივ, მის მარტივ სამოსელში ძევს ღრმა ფილოსოფიური აზრი ცხოვრებისა და ბუნების მკაცრი კანონზომიერებების შეცნობისა. მარტივი ტექსტის მრავალმნიშვნელოვნება, ყოფითისა და ფილოსო-

ფიურის გადახლართვა, ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, რაც კომპოზიტორში ინდივიდუალურ აღქმას ბადებს და განაპირობებს მის მისწრაფებას პოეტური პირველწყაროს ქვეტექსტის გამოვლენისა და სახეობრივ-ფსიქოლოგიური სიტუაციის გამძაფრებისაკენ, რაც ციკლის არც ერთ სხვა ნომერს არ ახასიათებს.

ციკლის ნაწილების უმრავლესობა სიმღერის ჟანრშია გადაწყვეტილი. სიმღერის ჟანრის სპეციფიკა, კი თავის მხრივ, მკაცრ და ხშირად სიმეტრიულ ფორმას მოითხოვს. ამით აიხსნება ნაწილების უმრავლესობის სიმეტრიული აგებულება, მისწრაფება პოეტური აზრის განზოგადებული გადმოცემისაკენ, ცალკეულ გუნდებში შედარებითი სტატიკურობა სახის განვითარებაში, მდგომარეობის გამოხატვის დომინირება განვითარებასთან.

„თხა და ვენახში" კი სიმღერის სტრუქტურა და გამომსახველობითი საშუალებები იცვლება. ეს ერთადერთი ნომერია ციკლში, სადაც შეყვანილია სოლისტი — ბარიტონი, რომელსაც ესიტყვება გუნდი. სოლისტი ბარიტონის შემოსვლა, ტექსტის უფრო დეტალურ გამოხატვას უწყობს ხელს. მუსიკისა და პოეზიის ასეთი გადაჯაჭვის შედეგად იბადება ვოკალურ-მეტყველებითი გამომსახველობის ახალი ფორმა, რომლის მიზანიც არის სიტყვის დრამატიზება, რაც გამოთქმის მონოლოგურ ტონს ქმნის სიმღერაში. ეს თავის მხრივ, წინა პლანზე წამოსწევს რიტმულ-დეკლამაციურ გამომსახველობას, როგორც სოლისტის, ასევე გუნდის პარტიაში. ამგვარად, სასიმღერო ფრაზების ნაცვლად, უპირატესობა ენიჭება მელორეჩიტაციას და შესაბამისად არაპერიოდულ ნაგებობებს. აქ ადგილი აქვს ხალხური მუსიკის მთელი რიგი ჟანრებისათვის, და საერთოდ, ხალხური მუსიცირებისათვის დამახასიათებელ თავისუფალ ვოკალიზებას, თავისუფალ გადასვლებს სიმღერიდან რეჩიტაციისაკენ ან პირიქით — მელოდეკლამაციიდან სიმღერისაკენ. ხალხური შემსრულებლობის ტრადიციებთან შინაგანი კავშირი თავს იჩენს ისეთი ხერხის გამოყენებაშიც, როგორიც არის დაღმავალი გლისანდო ახლო ინტერვალზე, რაც ასე დამახასიათებელია ქართული ხალხური მუსიკის სხვადასხვა ჟანრებისათვის. გლისანდოს ხერხი „ჩიტსა და მელაშიც" გვხვდება, მაგრამ აკომპანემენტშია გადატანილი. ხოლო აქ, ხალხურის მსგავსად, უშუალოდ ვოკალშია მოცემული. თავისთავად ეს გლისანდოები, რომლებიც ეროვნულ საძირკველზე არიან აღმოცენებული, კარგად ეთვისებიან ზოგად ევროპულ მუსიკალურ მეტყველებას და ამავე დროს მათი წარმომავლობის ეროვნული საფუძველი ბუნებრიობას ანიჭებს როგორც მათ გამოყენებას, ასევე აღქმასა და შესრულებასაც. სიმღერის კონსტრუქციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისამღერი, რომელსაც გუნდი ასრულებს და რომელიც თავისი ფუნქციით რეფრენს უახლოვდება. მუსიკალური აზრის დრამატიზაციის პროცესში აღსანიშნავია სოლო ეპიზოდების თანდათანობითი შემოკლება, მათი მოცულობის შემცირება და შესაბამისად, რეფრენის გატარების სიხშირის მატება და ამ უკანასკნელის მოცულობის ზრდა. სიმღერის დინამიზაციას, დაძაბულობის ზრდას ემსახურება აგრეთვე აჩელერანდოები, რეფრენის ყოველი გატარებისას მეტრული პერიოდიზაციის გახშირების შთაბეჭდილებას რომ სტოვებენ. როგორც ვხედავთ, სიმღერის ფორმა რონდოს უახლოვდება. ამგვარად, სახეზეა არამარტო ნაწილის მოცულობის მატება, არამედ მისი გამოხატვის ფორმის გართულებაც, რაც აშკარად ზრდის აღნიშნული სცენის ხვედრით წონას ციკლში, სადაც უპირატესობა მარტივ კუპლეტურ ფორმას ენიჭება, ხოლო ბევრი მათგანი კი, საერთოდ, პერიოდის ფორმითაა გადმოცემული.

აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ „თხა და ვენახს", როგორც ემოციურ მწვერვალს, ცენტრალური ადგილი უკავია ციკლის დრამატურგიაში.

მაგრამ ნაწარმოების იმ ნაწილებად, რომლებშიც მუსიკალური მეტყველებისა და კონცეპტუალური თვალსაზრისით აკუმულირებულია მთელი ნაწარმოების იდეა, ჩვენი აზრით უნდა მივიჩნიოთ ის ნომრები, რომელთა ინტონაციურ, ჰარმონიულ, რიტმულ, სტრუქტურულ და ჟანრულ საფუძველს ნანა წამროადგენს. ასეთი სიმღერებია №1 — „ია", №12 — „იამა გშობა" და №25 — საკუთრივ „ნანა".

ცალკეულ სიმღერებს შორის თემატური კავშირების შესწავლის საფუძველზე, რაც თავს იჩენს ინტონაციურ, რიტმულ, ფაქტურულ, ჰარმონიულ, კომპოზიციურ, ჟანრულ და სხვა კომპონენტთა შეხების ასპექტებში,

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ციკლის დანარჩენ ნომრებზე ყველაზე აქტიურ ინტონაციურ ზემოქმედებას სწორედ ეს სიმღერები და უპირველეს ყოვლისა, პირველი სიმღერა — „ია“, ახდენენ. შემთხვევითი არ არის მათი სიმეტრიული განლაგებაც — ციკლის განაპირა ნაწილებსა და ცენტრში — თავში (№1), შუაში (№12) და ბოლოში (№25).

ციკლის განსხვავებული ნაწილების თანწყობით, მათი პარატაქსისით ნანების მიმართ, ნაწილებს შორისად მყარდება ისეთი ასოციაციური კავშირები, რომლებიც „დედა ენის“ იდეაზე, მასში გადმოცემულ მარადიულ ღირებულებებზე მიგვანიშნებენ, რაც ნანას, როგორც ჟანრს, თხზულებაში განსაკუთრებულ, იმაგინაციურ ფუნქციას ანიჭებს.

იმაგინაცია შემეცნების უმაღლესი საფეხურია, ცნობიერების ინტუიციური მეთოდია, რომელიც მიიღწევა სულის ზეგრძნობადი მდგომარეობით, რომელშიც ვერ აღწევენ გარეგანი განცდები. ამ დროს, სულში იღვიძებს სიმბოლურ ხატებში ჩაძირვის, ანუ იმაგინაციის უნარი, რომელიც ხორციელდება ეროვნულ მეხსიერებაში, გენეტიკური ინფორმაციის ღრმეს შრეებში შესვლით, სადაც უმაღლეს სულიერ დაძაბულობას ერთვის გაძლიერებული წარმოსახვაც. სწორედ ეს — სულის ისტორიულ მეხსიერებაში მოგზაურობისა და უმაღლესი წარმოსახვითი უნარების ერთობა, წარმოშობს იმაგინატიურ აზროვნებას. იმაგინატიური აღქმა განსხვავდება ფიზიკური, გრძნობადი აღქმისაგან. აქ მთავარია არა იმ წარმოსახვების შინაარსი, რომლებიც ავსებენ იმაგინატიურ განცდებს, არამედ ის სულიერი უნარები, რომლებიც იღვიძებენ ამ პროცესებში და ერწყმიან იმაგინატიურ შეგრძნებებს.

ამ თვალსაზრისით, თუკი ენა სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის საუნჯეა, ჩვენს მეხსიერებაში დალექილი, ნანა — როგორც მუსიკალურ ნიშანთა სისტემა, სამშობლოსა და დედაენის ამბივალენტურია. ამიტომაც ამოიზიდა გენეტიკური მეხსიერების წიაღიდან აკვნის სიმღერის ჟანრი, როგორც თხზულების კონცეფციისა და მხატვრული იდეის მატარებელი. ნანა გახდა კომპოზიტორისათვის იმაგინატიური ცნობიერების საძირკველი, რომელიც პოეტური შთაგონების წყაროდ იქცა და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ნაწილებს შორის ალუზიური პარალელების გავლება, რასაც ნანების სიმეტრიულმა განლაგებამაც შეუწყო ხელი.



პირველი ნანა, ციკლის პირველი სიმღერა (№1 — „ია“) ნაწარმოების თავისებური შესავალია. მასში კონცენტრირებულია განვითარების ინტონაციური, კილო - ჰარმონიული, მეტრულ-რიტმული, ფორმისქმნადობის ის ელემენტები, რომლებიც ციკლის განვითარებისა და მისი გამთლიანების მთავარ მამოძრავებელ ბერკეტად იქცევა. ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება განხილულ

იქნას, როგორც თავისებური ექსპოზიცია, რომელშიაც ფოკუსირებულია ყველა ის ნიშანი, რომლებიც შემდგომში სხვადასხვა სიმღერაში სხვადასხვაგვარად ვითარდება (ზოგში უფრო აქტიურად ვითარდება ერთი ელემენტი, ზოგში — მეორე და ა.შ.).

„ია“-ში ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ გამოვლენილი ნანის ჟანრული ნიშნები, მაგრამ იგი მაინც საცნაურია. ამ მხრივ აღსანიშნავია ზომიერი ტემპი, მშვიდი განწყობილება, აზრის სისადავე და გამოხატვის უბრალოება, დაღმავალი მელოდიური, კერძოდ სეკუნდური სვლები, კადანსში ნახტომი კვინტაზე, ლირიკული განწყობილება, მინორული შეფერილობა, და განსაკუთრებით, ნანებისათვის დამახასიათებელი რიტმული ფორმულების გამოყენება აკომპანემენტში.

ციკლის ცენტრში მოთავსებული მეორე ნანა — „იამა გშობა“ — №12, სამხმიანი გუნდია შუაში ჩართული მცირე ზომის უნისონური ეპიზოდით. მისი ინტონაცია აღმოცენებულია ორი ხალხური სიმღერის — „ჟუჟუნა წვიმასა“ და „ვარდს გაეფურჩქნა კოკორის“ ინტონაციების სინთეზის საფუძველზე. გუნდის თანხლება აშკარად გამოკვეთილი ნანისებური რწევადი ფაქტურითაა წარმოდგენილი, რაც ამკვეთრებს ვოკალურ ინტონაციაში აკვნის სიმღერის ელემენტს.

ხოლო, №25 — საკუთრივ ხალხურ ნანას წარმოადგენს, რომლის ერთხმიანი უნისონური განვითარების პროცესში, კულმინაციურ მომენტში ხდება ხმათა დივიზი სამ ხმაში. ნანის ინტონაციური მიმოქცევის ელემენტები აქ თანაბრად ნაწილდება ვოკალსა და აკომპანემენტში.

სამივე სიმღერის ჟანრულ-ინტონაციური ერთიანობა ხაზგასმულია ზომიერი ტემპითა და მშვიდი ლირიკული განწყობილებით. ბოლო სიმღერა ციკლის თავისებური რეზიუმეა, ნაწარმოების იდეისა და მუსიკალური განვითარების აზრობრივ-ფსიქოლოგიური დასკვნა, რომელიც უკვდავების ჩურჩულივით ისმის და ლოგიკურ ერთიანობად აქცევს მთელ ციკლს.

აკვნის სიმღერის მნიშვნელობის ასეთი ხაზგასმა — ნაწარმოების მოჩარჩოება ნანის ჟანრითა და აგრეთვე მისი განთავსება სიმეტრიულ ცენტრში (№12), მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია და განსხვავებული ელემენტების გამოყენება ციკლის სხვა ნაწილებში, მისთვის დამახასიათებელი ლირიზმი, დედური სითბო, სიდინჯე, ღირსების გრძნობა, მინორული შეფერილობა, სევდანარევი იმედის გრძნობას რომ გამოხატავს, არამარტო ერთიანობას ანიჭებს ციკლს, არამედ კომპოზიტორის შემოქმედების სხვა ნიმუშებსაც გვახსენებს უნებლიედ, სადაც ნანის ჟანრს არანაკლები დატვირთვა აქვს. როგორც ჩანს, ნანის იმაგინატიური მნიშვნელობით გამოყენება არ არის ერთეული მოვლენა კომპოზიტორის შემოქმედებაში, სადაც ისევე, როგორც აღნიშნულ ციკლში, ნანა თავისებური ხატი-სიმბოლოს ფუნქციასაც იძენს. კომპოზიტორის ცნობიერებაში, იგი ქართული სულიერების აკვანია, პიროვნებაში ეროვნულის ფორმირების მუხლმაგარი ფესვია, ის სულიერი საზრდოა, რომელიც ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდის საფუძველია, მამულიშვილისა, „ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც ყოველდღე ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“.

ნანაში ჩადებულია ტრანსცენდენტული სიბრძნე. ერის სულიერი გამოცდილება, მისი წარსული და მომავალი მუსიკალურად სწორედ ნანაშია აკუმულირებული. მასში უხრწნელი სახით არის ჩაკირული ეროვნული „მე“-ს შესატყვისი სიმბოლოები. ის შეუცდომლად ფლობს ეროვნული „ეგო“-ს ინფორმაციას და ამიტომაც არის სამკურნალოც და გამომაფხიზლებელიც. ამის გამო, ის, დედაენის მსგავსად, მარადიულია და არ ექვემდებარება დროის გაგებას. იმაგინატიური მეხსიერება, რომელიც გენეტიკურ სიღრმეებში „მოგზაურობს,“ საშუალებას არ აძლევს არცერთ ცოცხალ არსებას, დაივიწყოს თავისი ფესვები. ნანა კი, ადამიანისათვის არის ნაბიჯი ინიციაციისაკენ, რასაც მოჰყვება თვალის ახელა და გასხივოსნება.

ამით აიხსნება ციკლის დასასრულს გამოწვეული უნებლიე ასოციაციები იაკობ გოგებაშვილის მოთხრობასთან — „იავნანამ რა ჰქმნა“, რომელიც გვიჩვენებს, რომ დედაენაზე აზროვნებასა და სწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია და ადამიანის სულის ფორმირებაზე კიდევ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს აკვნის სიმღერა, რომელიც გუთნით გავლებული ხნულივით ღრმა კვალს სტოვებს ადამიანის სულში, და მის ნაყოფიერ ნიადაგზე შეიძლება იხაროს იმ ნერგმა, რომელზედაც ასე ოცნებობდნენ ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და

მათი თანამოაზრენი და რომელსაც პირდაპირი აღსანიშნით უკავშირდება „დედა ენა“.
ინტროვერსიამ გენეტიკური მეხსიერების წიაღში, სადაც დაუნჯებულია ეროვნული შეგრძნებები, კომპოზიტორს აპოვნინა „დედა ენის“ მაღალეთიკური იდეის გამოხატვის გასაღები. ეს გასაღებია აკვნის სიმღერა. იგი არა მარტო საგუნდო ციკლის სამოდელო სუბსტრატია, არამედ მუსიკალური სემიოტიკის მიხედვით, პირველყოფილ ეროვნულ წიაღთან დაბრუნება, ანუ ხელახალი დაბადების სიმბოლოა, ის მადლია, რომელიც კურთხევის საიდუმლოთი მიიღება. ამით აიხსნება, რომ „იავნანამ“ გაუხსნა გულის კარი და აპოვნინა საკუთარი „მე“ გოგებაშვილის მოთხრობის გმირს.

სამი ნანის განლაგება ნაწარმოების შუაში და განაპირა ნაწილებში გეომეტრიულად შეესაბამება სფეროს — ცენტრით, რადიუსითა და გარშემოწერილობით, რაც გელათის სკოლის მიხედვით და იმაგინაციური აზროვნებით ნიშნავს წმინდა სამებას, ხოლო ამ სფეროს შიგნით განფენილია „დედა ენის“ მხატვრული სამყარო: იებით მოფენილი მოლი, მზის ამოსვლა, საათის წიკწიკი, ბავშვის სწავლით გამოწვეული სიხარული, ჩიტისა და მელას, ქორისა და წიწილას სცენები, ხუმრობით ნათქვამ რიტმებში შემალული ფილოსოფიური სიბრძნე, ბუნებისა და ადამიანის, სულიერ და უსულო არსებათა ურთიერთდამოკიდებულებანი. ეს სიკეთის სამყაროა, რომელშიც ყველაფერი ჰარმონიაშია ერთმანეთთან და ამ სამყაროს ფესვები დედაენისა და აკვნის სიმღერის სიღრმიდან ამოდის.

ჩვენი აზრით, „დედა ენა“ ერთადერთი ნაწარმოები არ არის ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებაში, რომლის შინაარსსაც იმაგინატიური წარმოსახვები მართავენ. იმაგინატიური აზროვნება სხვა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაშიც შეიმჩნევა, რისი დასაბუთებაც სათანადო კვლევებს მოითხოვს.

იმაგინატიური აზროვნების მნიშვნელოვან როლს შემოქმედებით პროცესში ადასტურებს თამაზ გამყრელიძის ერთ-ერთი შრომაც, სადაც გამოთქმულია მოსაზრება გენეტიკურ კოდსა და სემიოტიკურ სისტემებს შორის იზომორფიზმის, ანუ მათი ტოლობა-მსგავსების შესახებ, რაც ხშირად არაცნობიერად, იმაგინატიური აზროვნებით ხორციელდება. მაგალითად, იგი ასახელებს დიდი ლინგვისტისა და ფილოლოგის, ნიკო მარის შრომას — „გლოტოგონიური პროცესის თეორია“, სადაც როგორც ავტორი აღნიშნავს, „გასაოცარი მეცნიერული ინტუიციის წყალობით, გარკვეული მოვლენის ასახსნელად, იგი (იგულისხმება ნიკო მარი) დროდადრო სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი ლოგიკური დასაბუთების გარეშე, სწორ მიმართულებას ირჩევდა“. ნიკო მარის თეორია წარმოადგენს ენის გარკვეულ მოდელს, მიახლოებულს გენეტიკურ კოდთან. თამაზ გამყრელიძის აზრით „ამ თეორიის ავტორში შეიძლება დავინახოთ გამორჩეული პიროვნება, რომელსაც ენის, როგორც ინფორმაციული სისტემის, ორიგინალური მოდელის შექმნისას, არაცნობიერიდან ამოაქვს თავისი ინტუიციური წარმოდგენები გენეტიკური კოდის სტრუქტურის შესახებ“ (გამყრელიძე, 2011).

ჩვენი აზრით, ასეთივე ინტუიციას, ანუ იმაგინატიურ ცნობიერებას ფლობდა დიდი ქართველი მეცნიერი პავლე ინგოროყვაც.

ისეთ სემიოტიკურ სისტემებს, რომლებიც იზომორფულნი არიან გენეტიკური კოდისა, ჩვენი ვარაუდით, მუსიკაში ქმნიან არა ბგერები, არამედ ჟანრები. ჟანრებისთვის ტიპიური, ანუ დამახასიათებელი მელოდიურ-რიტმულ-ჰარმონიული და სხვა ფორმულები, თავისი კომბინაციებით, ჩვენი მოსაზრებით, ასრულებენ ლინგვისტური კოდის საწყისი ელემენტის — ფონემის ფუნქციას. ხოლო იზომორფიზმი სემიოტიკურ სისტემებს და გენეტიკურ კოდს შორის, აძლევს მსმენელს ინფორმაციას ეროვნული იდენტობის შესახებ. ამიტომაც ამბობენ ლინგვისტები — „შეხედეთ სამყაროს სემიოტიკის თვალით და აღმოაჩინეთ საკუთარი თავი“.

## „...რაც მეხსიერებას შემორჩა და... ჩვენს რადიოს“

# ლილე კილაძე

მუსიკალური რედაქციის ავტორთა ჯგუფი

/გადაცემის სტილი დაცულია/

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ლილე კილაძე ქართული სადირიჟორო სკოლის ისტორიაში შევიდა, როგორც მუსიკის ერთგული მსახური და დაუცხრომელი პროპაგანდისტი. ლილე კილაძეზე საუბრისას შეუძლებელია არაფერი თქვა მის სახელოვან ოჯახზე. იგი ხომ გამოჩენილი მუსიკოსის, საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის, კომპოზიტორისა და დირიჟორის გრიგოლ კილაძის ვაჟი იყო. მშობლებმა ლილეს მრავალმხრივ განათლებაში დიდი წვლილი შეიტანეს, ჩაუნერგეს მომავალი პროფესიის უსაზღვრო სიყვარული, რამაც იგი მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიყვანა. აქ ლილე კილაძის ხელმძღვანელი იყო ცნობილი დირიჟორი და პედაგოგი პროფესორი ალექსანდრ გაუკი, რომელიც ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლისას დიდ იმედებს ამყარებდა ახალგაზრდა მუსიკოსზე. ძვირფასი პედაგოგის ფოტოსურათი დღემდე ჰკიდია ლილე კილაძის ოჯახში.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ლილე კილაძის სადირიჟორო მოღვაწეობის პირველი წლები სარატოვის საოპერო თეატრისა და ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთანაა დაკავშირებული. სარატოველი მუსიკოსები და მუსიკისმოყვარულნი ყოველთვის დიდი სითბოთი იხსენებენ მას. 1957 წელს ახალგაზრდა დირიჟორი მოიწვიეს საქართველოში სამუშაოდ. სულ მალე ქართული ხელოვნების დეკადაშიც კი მიიღო მონაწილეობა მოსკოვში, სადაც წარმატებით შეასრულა ოთარ თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია და სხვა ნაწარმოებები.

1959 წლიდან ორი ათეული წლის განმავლობაში სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ლილე კილაძე საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ორკესტრი 1931 წელს ჩამოყალიბდა. თავიდანვე მისი უპირველესი ამოცანა იყო ქართული მუსიკის პროპაგანდა. ეს ორკესტრი პირველი ინტერპრეტატორია ქართველ კომპოზიტორთა ბევრი ნაწარმოებისა. სხვადასხვა დროს ორკესტრთან მუშაობდნენ ცნობილი ქართველი დირიჟორები: ევგენი მიქელაძე, დიმიტრი არაყიშვილი, შალვა თაქთაქიშვილი, გრიგოლ კილაძე, ზაქარია ხუროძე და სხვები. იმ პერიოდისათვის, როცა ორკესტრს სათავეში ლილე კილაძე ჩაუდგა, იგი დამოუკიდებელი კოლექტივი არ იყო, მუსიკოსები შეთავსებით მუშაობდნენ. ლილე კილაძემ თავი მოუყარა თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულ ნიჭიერ ახალგაზრდობას, მოახდინა ორკესტრის რეორგანიზაცია, გააფართოვა მისი მხატვრული ამოცანები, მის სახელთანაა დაკავშირებული ორკესტრის რეპერტუარის მნიშვნელოვანი გაზრდა.

ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურ ორკესტრში მთელი სისავსით გამომჟღავნდა ლილე კილაძის ნიჭი და შესაძლებლობა. მისი წყალობით მრავალი მუსიკო-



მარცხნიდან: სერგო შანიძე, ლილე კილაძე

სი დაოსტატდა, მრავალმა შემსრულებელმა აიმაღლა პროფესიული დონე. ამჟამად ისინი ცნობილი, წამყვანი მუსიკოსები არიან საქართველოს სხვადასხვა მუსიკალურ კოლექტივში. ლილე კილაძემ შესძლო მთელი სისრულით წარმოეჩინა შემოქმედებითი უნარი ორკესტრის თითოეულ მუსიკოსში. მამის ტრადიციებისადმი ერთგული ლილე კილაძე, ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებთა თანმიმდევრული პროპაგანდისტია, სულხან ნასიძის, ბიძინა კვერნაძის, ნოდარ გაბუნიას, გია ყანჩელის, ვაჟა აზარაშვილისა და სხვათა ნაწარმოებების პირველი შესრულების დროს დირიჟორის პულტთან ლილე კილაძე იდგა. და თუმცა მან ერთნაირად მაღალ დონეზე შესძლო წარმოედგინა სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნული სკოლის სტილისტურად თუ განწყობილებით მნიშვნელოვნად განსხვავებული ნაწარმოებები, ორკესტრის ინტენსიური შემოქმედებითი ზრდა მაინც ბევრად იყო განპირობებული სწორედ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულებით.

ლილე კილაძემ ბევრი სიახლე შემოიღო და დაამკვიდრა. დააარსა „ღია კონცერტები", მანამდე ორკესტრი მხოლოდ ჩანაწერებს აკეთებდა, შემოიღო „გასვლითი კონცერტები". კომპოზიტორთა პლენუმებზე, ყრილობებზე, მუსიკალურ ფესტივალებზე მონაწილეობის გარდა, ლილე კილაძემ დიდი წარმატებით უდირიჟორა რამდენიმე საავტორო კონცერტს. მაგალითად, ანდრია ბალანჩივაძის, ალექსი მაჭავარიანის, ბორის ჩაიკოვსკის, არამ ხაჩატურიანის კონცერტებს. მოსკოვის დეკადის გარდა, მონაწილეობა მიიღო თბილისის კულტურის დღეებში: უნგრეთში, ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მრავალი მუსიკალური ნაწარმოები ჩაიწერა და შევიდა „ოქროს ფონდში". დი-



დი წარმატებით ჩატარდა კონცერტები მოსკოვში, კიევში, სვერდლოვსკში, გორკში, საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

საქართველოში პირველად ლილე კილაძის დირიჟორობით აჟღერდა ჰაიდნის ორატორია „წელიწადის დრონი“, ჰინდემიტის სიმფონია „მხატვარი მატისი“ და სხვა.

**საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ოთარ თაქთაქიშვილი /სტილი დაცულია/:**

„დიდი სიყვარულით მახსენდება ეს ძალიან ნათელი პიროვნება, ახლის მაძიებელი, ფრიად გულისხმიერი ადამიანი, საყვარელი, თავდადებული, მშრომელი... მახსოვს მის მიერ მეორე სიმფონიის ძალიან მაღალკვალიფიციური შესრულება. კარგად მოამზადა ორკესტრთან, ძალიან ხარისხიანად. მოსკოვში შესრულების დროს მას დიდი წარმატება ხვდა. ლილემ ეს გააკეთა იმის შემდეგ, რაც უკვე ივანოვმა, გაუკმა, ოდისეი დიმიტრიადიმ იდირიჟორეს ეს სიმფონია, ბევრი რამ ახლებური იპოვა. დაკვირვებული, ბეჯითი, ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. გარკვეული, მე ვიტყოდი, ძალზე დადებითი როლი ითამაშა ლილემ ახალგაზრდა თაობის შემოქმედებით ასპარეზზე გამოყვანაში. მან დიდი ინტერესით მიიღო კვერნაძის, ნასიძის ახალი პარტიტურები, მუშაობდა მათთან. ამაში ისინიც თავისებურ ოსტატობას იძენდნენ, ისმენდნენ თავის ნაწარმოებებს.

ლილე კილაძემ დიდი დრო მოანდომა რადიოს ორკესტრის ჩამოყალიბებას და გზაზე დაყენებას. მე, როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი ხოლმე, ხან ინსტრუმენტების შეძენით, ხან შტატების მოძებნით. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ლილემ ბევრი რამე მოასწრო. ის დაუღალავი პროპაგანდისტი იყო ახალი ქართული მუსიკის. ეს იყო ისეთი მჩქეფარე ფანტაზიის, დიდი სულის ადამიანი, რომელსაც უყვარდა ქართველი ხალხი. მაგრამ უყვარდა არა პასიურად, არამედ მას აინტერესებდა წინსვლა, ახალი გზების მოძებნა და ამისათვის ძალიან ბევრს მუშაობდა.

ჩვენ, ქართველი მუსიკოსები, გულში ვინახავთ მის სახელს და მადლიერებით ვიხსენებთ ლილე კილაძეს.“

**სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი შალვა მშველიძე ასე წერდა ლილე კილაძის შესახებ:**

„იგი იყო დაოსტატებული, ნატიფი ხელოვანი, დაჯილდოებული ნათელი არტისტიზმით და ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობისა და განჭვრეტის ღრმა ანალიზის უნარით. მას ახასიათებდა საკუთარი თავისადმი და გარემოსადმი უდიდესი კონტროლი და პასუხისმგებლობა. საქმისათვის თავგანწირვა და ყოვლის უარყოფა, რაც ხელს შეუშლიდა მუშაობაში. იგი იყო მახვილი გონების ადამიანი, მოაზროვნე, მჭერმეტყველი. კეთილშობილებით აღსავსე და სიმართლისათვის მებრძოლი, ერუდირებული.

ორიოდე სიტყვა მსურს ჩემს მე–4 სიმფონიაზე ვთქვა. იგი უკვე რვა დირიჟორმა შეასრულა: კიტაენკომ, რახლინმა, კახიძემ... მაგრამ, განსაკუთრებული როლი ამ ნაწარმოების პოპულარიზაციაში მიუძღვის ჩემს საყვარელ და დაუვიწყარ ლილე კილაძეს. იგი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრს ხელმძღვანელობდა, იყო ჩემი საუკეთესო მეგობარი, ხშირად მოდიოდა ჩემთან და თავის გეგმებს მიზიარებდა, რჩევასაც ყურად იღებდა... ჩემს ნაწარმოებებსაც იშვიათი გულისყურით ასრულებდა."

**ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ანტონ წულუკიძე /სტილი დაცულია/:**

7 წელი გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარ არის ლილე კილაძე, დაგვრჩა მისდამი განუზომელი სიყვარული, დაგვიტოვა მოუშუშებელი ტკივილი. ყველამ იცის, რომ ლილე კილაძემ თავისი სიცოცხლე დაასრულა უჩვეულოდ, იგი ჩაიკეცა მაყურებლის თვალწინ, როცა დაამთავრა მთელი თავისი საკონცერტო პროგრამა და მაყურებელი ოვაციით ხვდებოდა მას. მან ამითაც სიწმინდის შარავანდედი დაიდგა, მაგრამ ეს მხოლოდ უჩვეულო დასასრულით არ იყო გამოწვეული. იგი მართლაც წმინდა, სპეტაკი, თავდადებული ადამიანი იყო. თავდადებული მუსიკისათვის, მეგობრებისათვის... უპატიოსნესი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლილე კილაძე იყო ფრიად ნიჭიერი, განათლებული პიროვნება. უტყუარი გემოვნება მას არასოდეს ღალატობდა. და ეს განათლება, ეს საერთო გემოვნება თავის კვალს ამჩნევდა მის მუსიკალურ მოღვაწეობას. დიდი ხანი იმოღვაწა ლილე კილაძემ, როგორც საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა. ვეებერთელა მუშაობა გასწია მან და ამ მუშაობამ თავისი წარუშლელი კვალი დასტოვა საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში. მრავალმხრივი იყო მისი, როგორც დირიჟორის მოღვაწეობა. მისი რეპერტუარი შეიცავდა თანამედროვე მუსიკის ნიმუშებსაც, მაგრამ მთავარი და ჯერჯერობით განუმეორებელი, რაც ლილე კილაძეზე ითქმის, ეს არის ის, რომ მისი ორკესტრი გადაიქცა ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთათვის შემოქმედებით ლაბორატორიად. კომპოზიტორების მიმართ ყოველთვის გულისხმიერი იყო ლილე, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ახალგაზრდა კომპოზიტორებს და თუ მთელი რიგი ამ კომპოზიტორებისა დღეს საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებაში წამყვან კომპოზიტორებად ითვლებიან და განსაზღვრავენ ქართული მუსიკის სახეს, მოპოვებული აქვთ საკავშირო და კიდევ მეტი პრესტიჟი, ამაში არის ლილე კილაძის ძალიან დიდი ღვაწლი. ლილე კილაძესთან მოწმდებოდა ყოველი ნაწარმოები, ვგულისხმობ მსხვილი ფორმის სიმფონიურ ნაწარმოებებს. შედეგი ის იყო, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორი გამოდიოდა წელგამართული, იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას, იწვევდა გამოხმაურებას, ზოგჯერ დისკუსიებს, რომელთაც მხოლოდ სარგებლობა მოჰქონდა ამა თუ იმ კომპოზიტორის წინსვლისათვის. ამიტომ არის განსაკუთრებით დასაფასი და ძვირფასი ლილე კილაძის მოღვაწეობა.

მე მოგახსენებდით ახალგაზრდა კომპოზიტორების შესახებ, მაგრამ მარტოოდენ ახალგაზრდა კომპოზიტორები როდი იყვნენ მასთან დაკავშირებული. იგი დიდი გატაცებით, დიდი მგზნებარებით დირიჟორობდა, პროპაგანდას უწევდა ქართული სიმფონიური მუსიკის დიდ ამაგდართა ქმნილებებს. აქ ვგულისხმობ ქართველ საბჭოთა კომპოზიტორთა იმ თაობას, რომელსაც მიეკუთვნებოდა თვით ლილეს მამა, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი გრიგოლ კილაძე. და როგორც საკუთარი მამისადმი, ისეთივე სითბოს, მზრუნველობას იჩენდა სწორედ მამის თანატოლ კომპოზიტორთა შემოქმედების მიმართ. საკმარისია აღვნიშნოთ, თუ როგორ შეასრულა პირველად მან შალვა მშველიძის მე–4 სიმფონია, შემდეგ მე–5, როგორ პატრონობდა, როგორ გაჰქონდა ისინი თბილისს გარეთ, საქართველოს გარეთ... ამაგდარი კომპოზიტორები დიდად მადლიერნი იყვნენ ლილესი. მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული საბჭოთა მუსიკალურ წრეებში. ლილე კილაძის სახელი ძვირფასი ასოებით ჩაიწერა ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის მატიანეში.



მარცხნიდან: სერგო შანიძე, ლილე კილაძე, პავლე ხუჭუა, ალექსი მაჭავარიანი.

**ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკური პრემიების ლაურეატი, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი /სტილი დაცულია/:**

„ლილე კილაძე გავიცანი 50–იანი წლების ბოლოს. მაშინ მე გახლდით კონსერვატორიის სტუდენტი. მან აქტიური მოღვაწეობა დაიწყო ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორებთან. ამ ჯგუფს მიეკუთვნებოდა სულხან ნასიძე, ბიძინა კვერნაძე, გია ყანჩელი, რამაზ ქარუხნიშვილი, შალვა დავიდოვი, ნოდარ გიგაური და სხვები. უნდა ითქვას, რომ ლილე კილაძე იყო არა მხოლოდ პირველი შემსრულებელი, არამედ პირველი პედაგოგი და მრჩეველი, განსაკუთრებით ჩემი პლეადის კომპოზიტორებისათვის. მან მრავალი საუკეთესო წინადადება მოგვცა, როცა ჩვენ ვმუშაობდით ამა თუ იმ პარტიტურაზე, იმიტომ, რომ მან იცოდა შესანიშნავად ორკესტრობა, იყო ძალზედ განათლებული ხელოვანი, მან შესანიშნავად იცოდა ლიტერატურა, მხატვრობა... მას შეეძლო გაერჩია, მაგალითად, მონეს, ანდა პიკასოს შემოქმედება. ამასთან ერთად იგი იყო დაუზარელი. იცით, ყველაფერს გულით აკეთებდა, არავის არ დააყვედრიდა. არ არსებობდა, რომ რაღაც დაბრკოლება ყოფილიყო და მას უარი ეთქვა ჩვენთვის.

მინდა აღვნიშნო, რომ იგი არის ჩემი სიმფონიური ნაწარმოებების პირველი შემსრულებელი, თითქმის ყველას, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. და აგრეთვე, პირველი მრჩეველი და პედაგოგიც. მაგალითად, მან პირველმა შეასრულა ჩემი ნაწარმოებები: კონცერტები ჩელოსათვის, ორი სავიოლინო კონცერტი, საყვირის კონცერტი, კონცერტინო მცირე შემადგენლობის ორკესტრისათვის. ჩვენ გვაკავშირებდა ძალიან ახლო მეგობრობა და ძალიან საწყენია, რომ ის ასე ნაადრევად წავიდა ჩვენგან“.

**საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი სპარტაკ კორკოტაშვილი /სტილი დაცულია/:**

„ლილე კილაძე, არა მარტო ნიჭიერი დირიჟორი, არამედ პედაგოგიც იყო. იგი პედაგოგიურ მოღვაწეო–

ბას არ ეწეოდა, მაგრამ მისგან ბევრს ვსწავლობდით. იგი იყო არა მარტო კარგი მთქმელი, არამედ კარგი მსმენელიც. ლილე ჩემთვის დიდი ავტორიტეტი იყო. ძალიან მიყვარდა ლილესთან ერთად ოთხ ხელში სიმფონიების დაკვრა. იგი შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე.

მახსოვს, ერთხელ, სამხატვრო საბჭოს სხდომაზე, ერთმა ცნობილმა კომპოზიტორმა მოიტანა ახალი ნაწარმოები, თვითონ შეასრულა. ნაწარმოებმა არ დატოვა კარგი შთაბეჭდილება და სამხატვრო საბჭოს წევრები მზად იყვნენ ნაწარმოების უარყოფითად შესაფასებლად. ლილემ მოითხოვა, კიდევ ერთხელ მოესმინათ და ამჯერად როიალს თვითონ მიუჯდა. თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად სხვა სიტუაცია შეიქმნა. ნაწარმოები გადაარჩინა კარგმა შესრულებამ. საბჭოს ყველა წევრმა დადებითი შეფასება მისცა მას.

ლილე აგრეთვე შესანიშნავი მუსიკისმცოდნე იყო. იგი ძალიან ლამაზი და გამართული ენით წერდა სტატიებს, როგორც ქართულად, ასევე რუსულად. არ დამავიწყდება მისი გამოსვლა შალვა მშველიძის იუბილეზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში. რადგანაც ბატონი შალვა ვახსენე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ლილესა და ბატონი შალვას დიდი შემოქმედებითი მეგობრობა. მართლაც რომ, ზედმიწევნით კარგად ასრულებდა შალვა მშველიძის ნაწარმოებებს.

განა კი მარტო, მშველიძისას? გავიხსენოთ მისი ინტერპრეტაციები ბეთჰოვენის, ბრამსის, შოსტაკოვიჩისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულებისას".

**საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი სულხან ნასიძე /სტილი დაცულია/:**

„ძალიან ძნელია ილაპარაკო ლილე კილაძეზე, როგორც წარსულში მცხოვრებ ადამიანზე. იგი ხომ სრულიად ახალგაზრდა წავიდა ჩვენი ცხოვრებიდან, როდესაც კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ჩვენი ქართული მუსიკალური კულტურის საკეთილდღეოდ. მე ლილე კილაძეს შევხვდი პირდაპირ შემოქმედებითი მიზნით. ლილე კილაძე თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ და დებიუტი ჰქონდა კონსერვატორიის დიდ დარბაზში. მახსოვს, მან დიდი წარმატებით შეასრულა ბეთჰოვენის მე–7 სიმფონია. მე სწორედ ახალი დამთავრებული მქონდა თბილისის კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტი და ვიყავი ავტორი პირველი სიმფონიისა, ჯერ კიდევ არასრულყოფილი ნაწარმოებისა. და როდესაც დადგა საკითხი, თუ რომელი დირიჟორისათვის მიმემართა, რათა ეს სიმფონია შეესრულებინა, ბუნებრივია, უკვე არჩეული მყავდა დირიჟორი. ეს გახლდათ ლილე კილაძე. მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი ასეთი შემოქმედებითი ურთიერთობის. ლილე კილაძემ გამოამჟღავნა საოცარი გულისხმიერება ჩემ მიმართ. დიდი შრომისმოყვარეობა, მაღალი პროფესიონალიზმი, ლილე კილაძის ძირითადი თვისებები იყო და იგი ამ თვისებებით ცხოვრობდა მთელი, აი, ამ წლების მანძილზე.

ლილე კილაძე უსაზღვროდ შეყვარებული იყო თავის პროფესიაში. მე მახსოვს მისი გამოსვლები კომპოზიტორთა კავშირის პლენუმებზე, სხვადასხვა სხდომებზე, იგი თავგამოდებით გვიცავდა ჩვენ, მის თანატოლებს, ხშირად გადამეტებითაც კი გვაქებდა, მაგრამ ეს მოსდიოდა დიდი სიყვარულით, დიდი რწმენით... ძალიან სამწუხაროა, რომ მან თავისი მუსიკალური ერუდიცია, პედაგოგიური ტაქტი, რომელიც მას გააჩნდა, ვერ გამოიყენა ცხოვრებაში. არ მუშაობდა ის პედაგოგად არც კონსერვატორიაში, არც მუსიკალურ სასწავლებელში, რათა თავისი მდიდარი გამოცდილება, ცოდნა, გადაეცა ახალგაზრდობისათვის. ამ მხრივ მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი მუსიკალური კულტურისათვის და მისი ბოლო სიტყვებიც სიცოცხლეში ხომ მიმართული იყო ახალგაზრდობის მიმართ, როდესაც კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენიდან მან მიმართა ახალგაზრდობას, მოუწოდა მუსიკისადმი სიყვარულისაკენ. ლილე კილაძე რაღაც საოცრად, ლამაზად გარდაიცვალა... გარდაიცვალა, როგორც რაინდი, პულტზე, ორკესტრის წინაშე მდგარი.

ლილე კილაძემ მის ახლობლებში, მის მეგობრებში, კოლეგებში თავისი ცხოვრებით, თავისი ადამიანური თვისებებით წარუშლელი კვალი დატოვა".

იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ დირიჟორი კლაუდიო აბადო წარმოადგინა ქვეყნის ერთ-ერთ სენატორად. მანამდე იგივე წოდება მიენიჭათ იტალიელ არქიტექტორს, პარიზის პომპიდუს ცენტრის ავტორს რენცო პიანოს, ფიზიკოსს კარლო რუბიას, უჯრედების მკვლევარს ელენა კატანეოს. თითოეულ მათგანს ხმის უფლება ენიჭება იტალიის პარლამენტში. ქვეყნის პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „მე დარწმუნებული ვარ, ეს ოთხი სენატორი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პოლიტიკურ პარტიებთან ერთად სენატისა და მთელი პარლამენტის გადაწყვეტილებების მიღებაში“.

ბერლინის ოპერამ უკვე გამოაცხადა სააღდგომო ფეტივალის ”festages” პროგრამა.

ფესტივალი ”festages” დააარსა დანიელ ბარენბოიმმა 1996 წელს. ამჯერად იგი გიმართება 2014 წლის 11-20 აპრილს შილერის თეატრსა და ბერლინის ფილარმონიაში. ყველა საოპერო სპექტაკლსა და სიმფონიურ კონცერტს იდირიჟორებს თავად დანიელ ბარენბოიმი, იგი აგრეთვე გამოვა პიანისტის ამპლუაშიც მარტა არგერიხთან ერთად.

ფესტივალს გახსნის ვენის ფილარმონიული ორკესტრი, პროგრამაში იქნება მოცარტის ბოლო სამი სიმფონია. ფესტივალის ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენად მოიაზრება ვაგნერის „ტანჰოიზერის“ პრემიერა, აგრეთვე ნაჩვენები იქნება „სიმონ ბოკანეგრას“ განახლებული დადგმა (მონაწილეები: მთავარ როლში პლასიდო დომინგო, აგრეთვე ანნა ხარტოროსი და ფაბიო სარტორი). ბერლინის სახელმწიფო კაპელა და სახელმწიფო გუნდი შეასრულებენ ნაწარმოებს, რომელიც იშვიათად სრულდება. ეს არის მაქს რეგერის „რეკვიემი“, მიძღვნილი პირველ მსოფლიო ომში დაღუპულებისადმი. რიხარდ შტრაუსის საიუბილეოდ აჟღერდება მისი სიმფონიური პოემა „გმირის ცხოვრება“. დიდი კომპოზიტორი ხომ თავის დროზე ხელმძღვანელობდა ბერლინის ოპერას.

69 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ინგლისელი კომპოზიტორი — ჯონ თავენერი. იგი აღესრულა თავის სახლში, დორსეთის საგრაფოში, რომელიც მდებარეობს დიდი ბრიტანეთის სამხრეთ ნაწილში. როგორც მუსიკალური გამომცემლობის დირექტორი აღნიშნავს: „ჯონ თავენერი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ელვარე, უნიკალურ მუსიკოსად ბოლო 50 წლის მანძილზე. ის გახლდათ მომხიბლავი, ძლიერი სულის ადამიანი, ერთგული თავისი ოჯახისა და რაც მთავარია, იდეალების. დახვეწილი იუმორის გრძნობით“.

პირველად თავენერმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია 1968 წელს, როდესაც გაიმართა მისი ორატორიის „ზვიგენი“ პრემიერა. ეს ნაწარმოები შეიქმნა იონას შესახებ ბიბლიური ლეგენდის თემაზე. შემდგომშიც კომპოზიტორის შემოქმედება თითქმის მთლიანად ეძღვნებოდა რელიგიურ პრობლემატიკას, ამავე დროს დაკავშირებული იყო რუსული სასულიერო მუსიკის ტრადიციასთან. 1977წელს თავენერმა მიიღო მართლმადიდებლური აღმსარებლობა. ეს ნაბიჯი მან იმით ახსნა, რომ აღმოსავლურმა ტრადიციამ შეინარჩუნა ქრისტიანობის პირველადი არსი. ის, რაც დასავლეთმა დაკარგა. თავის შემოქმედებით პროცესს თავენერი ხატმწერის მუშაობას ამსგავსებდა.

ამ ცოტა ხნის წინ იაპონიის ქალაქ მაცუშიმაში ემზადებოდნენ პირველი გასაბერი საკონცერტო დარბაზის წარსადგენად. ეს არის 35 მეტრი სიმაღლის და გიგანტური სიგანის დარბაზი. იგი იქნება იაპონიაში ცუნამისაგან განადგურებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებლების საკუთრება. ამგვარი საკონცერტო დარბაზის შექმნის იდეის ავტორი არის შვეიცარიის ლუცერნის ფესტივალის სამხატვრო და აღმასრულებელი დირექ-

ტორი – მაიკლ სეფლინგერი. დარბაზის ავტორები არიან ბრიტანელი მოქანდაკე ანიშ კაპური და იაპონელი არქიტექტორი – არატ ისოძაკი. აქ პირველ უიქ-ენდზე გამოვლენ სენდაის ფილარმონიული ორკესტრი და ტრადიციული იაპონური თეატრი კაბუკი.

წელს ინგლისში პატივი მიაგეს ლუჩანო პავაროტის ხსოვნას. მის სახელზე გაიცა ჯილდო – Brit. ამის აღსანიშნავი ცერემონია გაიმართა სამეფო ალბერტ-ჰოლში. ჯილდო გადაეცა დიდი მომღერლის ქვრივს, ნიკოლეტა მანტონანი პავაროტის, რომელმაც აღნიშნა: „შესანიშნავია, რომ მუსიკალურმა ინდეუსტრიამ ჯილდო გაიღო ლუჩანოს სახელზე მაშინ, როდესაც 50 წელი გავიდა მისი სიმღერის პირველი ჩანაწერის განხორციელებიდან. დღესდღეობით ამით გრძელდება მისი სიცოცხლე“.

აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს ვიოლინო, რომელიც, ვარაუდობენ, რომ აჟღერდა ტიტანიკის ჩაძირვისას. როგორც ამბობენ, მასზე დაუკრა გემზე მყოფი ჯგუფის ლიდერმა უორთლეს ჰართლიმ. მგზავრებს შორის სიმშვიდის შესანარჩუნებლად შეუსრულებიათ ჰიმნი „გიახლოვდებით უფალო“.

თავდაპირველად ვიოლინოს საორიენტაციო ფასი გახლდათ 300000$. აუქციონზე ვაჭრობა მიდიოდა 50$ ფარგლებში, თანდათან ფასმა აიწია და საბოლოოდ იგი გაიყიდა 900000$. იგი შეისყიდა ვინმე ბრიტანელმა.

მანამდე შვიდი წლის მანძილზე მიდიოდა დავა, ნამდვილად ეს ის ვიოლინო იყო თუ არა. იგი თავიდან უოლესის საცოლის, მარიას კუთვნილება იყო, რასაც ადასტურებდა საკრავზე ამოტვიფრული წარწერა: „უოლესს მარიასაგან ჩვენი ნიშნობის აღსანიშნავად“. საკრავი 1939 წლიდან ხსნის ჯარის კუთვნილება იყო, 1940 წლიდან კი ბოლო მფლობელის (ვინაობა უცნობია) ხელში გადავიდა. როგორც ჩანს გადაცემაში აღინიშნა: „ეს ვიოლინო არის სიმბოლო წარმავალი ეპოქის – თავის ზნეობითა და ღირებულებებით. ეს არის ისტორიის სიმბოლო“.

ავსტრალიაში, კვინსლენდის შტატში ფესტივალ შემდგარმა მუსიკოსთა გაერთიანებამ დაამყარა რეკორდი და შევიდა გინესის წიგნში, როგორც ყველაზე დიდი ორკესტრი. მანამდე ეს სტატუსი მოპოვებული ჰქონდა კანადაში, ვანკუვერში წარმოდგენილ ორკესტრს, რომელიც შედგებოდა 6452 მუსიკოსისაგან. კვინსლენდის ორკესტრში 7224 მუსიკოსი გაწევრიანდა, მას გაუძღვა ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ჯეიმს მორისონი. მათ შეასრულეს ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ნაწილი და დედოფლისადმი მიძღვნილი სიმღერა "We Will rock You".

New York City Opera-მ გაკოტრება განიცადა. ეს საოპერო კომპანია იმედოვნებდა, რომ მოიპოვებდა 1 მლ. დოლარს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მან 1108 გულშემატკივრის დახმარებით მხოლოდ 301 194$ მოიპოვა. ქალაქის ძირითადი საოპერო დასი არსებობის 70 წელს ითვლის (მეტროპოლიტენ ოპერა 130 წლის წინ დააარსეს). ლონდონის კოვენტ გარდენის ოპერის თეატრის დირექტორი ვასტერ ჰოლტენი ამ ფაქტს შემდეგნაირად გამოეხმაურა: „გასაოცარია, რომ ისეთ დიდ ქალაქს, როგორიც ნიუ-იორკია, არ შესწევს ძალა შეინახოს ორი საოპერო კომპანია. ნიუ-იორკში უსათუოდ უნდა არსებობდეს ორი საოპერო თეატრი“.

ათეული წლების წინ სწორედ New York City Opera-ს მეოხებით გაეხსნათ გზა საერთაშორისო ასპარეზზე არაერთ სახელგანთქმულ მომღერალს, მაგალითად, რენე ფლემინგსა და პლასიდო დომინგოს. ამიტომაც დომინგომ დანანებით აღნიშნა: „ჩემი საერთაშორისო კარიერა დაიწყო New York City Opera-ში გამოსვლით, რითიც ძალიან ვამაყობ. დღეს კი ტრაგედიად მიმაჩნია, რომ მის არსებობას წერტილი ესმევა".

**Competition**

Manana Kordzaia

The Fifth Piano Competition



The article represents the Fifth International Competition founded in 1997 by the pianist Manana Doijashvili. The Competition usually turns into the most significant event once in four years. 29 young pianists from different countries of the world (USA, China, Spain, Italy, Japan, South Korea, Germany, Russia, Ukraine, Cyprus, Latvia) took part in it.The article reviews all stages of the four tours of the competition. As the author says the significance of this competition is in the fact that 21 participants which is the majority of the competition are in the second tour. According to the tradition of Tbilisi Competition all the participants of the third tour or semifinal, will be given audio record of their program. The author regrets that two distinguished participants – Alexander Beridze and Spanish De SolaunJosu were not able to be in finale. The author characterizes all the participants of the finale: Biddau Giulio ( Italy, premium), Anna Gogava ( Georgia, premium), IlyaZuiko ( Ukraine, premium), Reed Tetzloff (USA, premium), Tsotne Tsotskhalashvili ( Georgia, premium), Ilya Kondratiev (Russia, Grand Prix).The jury did not give the first premium to anybody. The author especially underlines the performing and artistic qualities of Ilya Kondratiev, the owner of the Grand Prix.

After the competition, the organizing committee from different countries received comments from the jury members in which they express their admiration about the high level of the Competition and quite different warm and hospitable atmosphere in Tbilisi.

Nestan Meskhi

Non-facadic Side of the Competition



According to the tradition of the Tbilisi Piano Competition, the jury members, authoritative musicians from different countries at the same time conduct the master classes sharing their experience with the Georgian students.

The author remarks the guest-performers' manner of rendering. The author reviews the part of the master-classes arranged in Tbilisi. In the article we learn about the master-classes of Norma Fisher(Great Britain), Alberto Nose(Italy), Oxana Yablonskaya(USA), Ramzi Yassa( Egypt/France), with the Georgian students- David Djindjikhadze( professor Revaz Tavadze's class), Lexo Pirmisashvili( professor Edisher Rusishvili's class), Tamta Maghradze( professor Edisher Rusishvili's class).

**Festival page**

Tamar Tavshavadze

Berlioz Evening



Jansugh Kakhidze Musical Centre of Tbilisi holds the International festival "Autumn Tbilisi" every year. The majority of the evenings of the 21ctFestival of this year were dedicated to the significant jubilee dates of Wagner, Verdi, Berlioz and Nodar Gabunia.

The article tells us about the evening which was dedicated to the 210th anniversary of Hector Berlioz`s birth. The works by Berlioz "Harold in Italy" - for alt and symphony orchestra and "Fantastic Symphony" were performed at the concert.

The interest of the listeners towards this concert

was great. The audience consisted both of Georgian and foreign listeners. Most of them were Japanese because the soloist Zaza Gagua, who plays the alt works in Osaka, Japan. The evening did not leave even skeptically inclined listener-spectators in different. The conductor Vakhtang Kakhidze, the soloist Zaza Gagua and Tbilisi Symphony Orchestra received ovations of the public standing up.

**Portrait**

Nuca Kasradze

The unique person

Nodar Gabunia



The article is dedicated to the prominent Georgian musician-composer, pianist and teacher, public figure, (He was the Rector of the Tbilisi State Conservatoire for many years), Nodar Gabunia`s 80-th anniversary of his birth. The author Nodar Gabunia`s student, Nutsa Kasradze widely observes the pedagogic work of her maestro, which is dedicated to Nodar Gabunia`s work as a composer. As she writes NodarGabunia`s manner as the teacher was quite different and broad in its scale. The author pays attention to the jubilee evening which was held on the 29-th of September 2013, in Jansugh Kakhidze Tbilisi Musical Center in the limits of the festival "Autumn Tbilisi". The conductor Vakhtang Kakhidze, Nodar Gabunia`s student-pianists Mamikon Nakhapetov, Nino Gvetadze, Nutsa Kasradze, Nodar Gabunias daughter, Nato Gabunia, who works in Amsterdam as a violinist together with her European colleague younger singer, mezzo-soprano Natalia Kutateladze took part in the concert. By the words of the author above mentioned evening ensures us that Nodar Gabunia`s musical heritage will live.

**Concert Life**

Gulbat Toradze

Revaz Tavadze- the Record-holder of the Georgia Pianism



The author tells us about the solo concert of the Georgian famous pianist and teacher-Revaz Tavadze. After graduating Tbilisi State Conservatoire (60-s) RevazTavadze immediately attracted the attention of society. For many years he gave concerts not only in Tbilisi, but also in former Soviet Union and German concert halls both as a pianist-performer and the leader of master-classes. His concert programs consisted of the works of composers from different countries and epochs. At the same time he is the first and the best performer of many musical works by the Georgian composers: Nodar Gabunia, Nodar Mamisashvili, Mikheil Shughliashvili, Eduard Sanadze. He has been teaching for forty years and his students are successful at the international field. Revaz Tavadze is the author of the lecture courses- "The History of the World's Pianist Art".

The author of the article calls recently held concert as "record" where the 76 year old pianist performed a various and solid program. The concert was dedicated to his friend, famous composer, pianist and teacher –Nodar Gabunia.

**Music and Religion**

Maia Iaseshvili

"Wake me up Chango and Knaro"

The article deals with Saint Nino Theological School which is situated in one of the regions of Georgia where the program of some arrangements devoted to art is included. The lecture-concert with the participation of honored artist of Republic, the Emeritus of V.Sarajishvili Tbilisi State Conservatoire Rusu-



dan Khojava was held within these limits. The lecture-concert was dedicated to Johann Sebastian Bach. The author met Mrs. Rusudan Khojava who spoke about the elevated atmosphere at the Theological School and about special feeling caused by the listeners of the school. Mrs. Rusudan Khojava referred to the questions which the lecture-concert embraced. She spoke about soul-healing and purifying power of Bach`s music. The author also spoke to the Pro-Rector of the school – the Priest Alexander (Kusrashvili.)

**Folklore**

Mamuka Natsvaladze

The Sixth Khobi Mengrelian Song Festival



The author is talking to the famous folklorist and composer, the artistic director of the Khobi Mengrelian Song Festival- Gomar Sikharulidze.

The Festival was founded 10 years ago. Traditionally it is dedicated to the famous masters of Georgian song and creative groups. Every festival has its own star.

This year The Sixth Festival was dedicated to the Georgian children's ensemble, "Mziuri", which is the legend of today. The star of this Festival was the ex-participant of "Mziuri", the famous singer of today Tamar Gverdtsiteli. Besides holding the concerts the Festival implies the publication of scientific researches, note material. Almost all Mengrelian folk songs are set for music and are printed. The works depicting the life and creative worksof somefamous choragus were published. The charity-monger Goderdzi Bukia who plays a great part not only in the holding of the Festival but in realization of many national affairs is mentioned with gratitude in the publication.

**Problem**

Alexander Mtsariashvili

Composition – Hobby



A young Georgian composer Alexander Mtsariashvili expresses his regret about the state of the composer`s profession in the country. According to his words this profession is about to disappear in Georgia. One cannot earn his minimal living by this profession. Composition has become a hobby for professionals because it needs material expenses in its turn. Here are given the expressions by the Georgian composers Ramaz Kemularia, Tamar Vashakidze, Irakli Tsintsadze and the Russian composer Genadi Tolstenko, who characterize Alexander Mtsariashvili as a talented, distinguished by professionalism and an interesting composer.

**Concert life**

Tsiuri Komakhidze

Remembrance of the Great Musician



The author tells about the evening of the piano music which the Georgian pianist Margarita Chkheidze dedicated to the great Georgian violinist – Marine Iashvili.

That evening her friend musicians spoke about the great violinist. Margarita Chkheidze was also Marine Iashvili`s friend since her childhood.

Both of them were the first Georgian musician- performers who won recognition on the international field. The pianist played the works which Marine Iashvili liked with her performance. The works by Chopin, Rakhmaninov, Debussywere played. Margarita Chkheidze herself has her devoted listeners who enjoy her playing in Georgia, France, USA and Russia.
The author addresses the representatives of television and radio to play the works performed by Marine Iashvili which besides aesthetic pleasure will be directed to one useful aim – to the development of youngsters taste.

**New publications**
For Strengthening of the National Ground
The article informs us about the publication of the first volume of Georgian Piano Music (in five volumes). The works for the 1-3 classes are included in this volume. Five volumes are intended as an anthology where the majority of the minor forms of Georgian piano works both by passed composers, classics and contemporary Georgian composers will be collected. Some composers are creating their works especially for this volume.
The compiler of the volume the pianist and teacher Mtvarida Kipiani possessed the only handwritten specimens of many works which evidently will be in the anthology. The representatives of musical schools and composers express their gratitude for publishing this volume.

**Student Page**
Mariam Meparishvili
Actual Music Festival



The article deals with "Actual Music Festival" which may be called Swiss and Georgian music festival. Festival concerts were held in the capital of Georgia- Tbilisi and also in regions and towns Sighnaghi, Telavi, Gori, Borjomi. The final concert was held in Switzerland- Zurich.
The inspirer of this year festival is the Georgian pianist- Tamar Kordzaia. The organizers of the festival were also Rezo Kiknadze, the Rector of Tbilisi State Conservatoire and Michelle Ziegler.
Swiss and Georgian Music Festival was founded in 2005. The inspirers of it were Ann Kreier, Manana Akhmeteli, Tamar Kordzaia, Felix Profos and Rezo Kiknadze. As the organizers say there should be the interesting program of the modern experimental music side by side with old, classic music. This year together with the works by Purcell, Bach, Mozart the musical works by Swiss composers of the 20-th century Jeffim Golyscheff, JürgFrei, Lukas Langlotz, modern Swiss composers Vera Kappeler and Peter Conradin Zumthor were performed. One of the interesting proposals of the festival was the synthesis of instruments created by the Swiss composers which was formed as the artistic method of actual music. The first night of the work "Great Chromatic Fantasy" by Mikheil Shughliashvili, Georgian composer was announced as a special event.

**Remembrance**
The Worker of Music and Medicine



The Georgian composer Tariel Bakradze would be 90 this year. For many years he served to quite different branches- music and medicine with equal energy. The result of this is the fundamental scientific works left by him in the field of medicine and the productive compositional creative work. The publication represents the memoirs

of the musicologist Gulbat Toradze, also of passed friends: the violinist- Marine Iashvili, the composer-Bidzina Kvernadze, the representative of the field of medicine-Temur Chirgad

**World Classics**

Tamar Tsulukidze

The Kindred Souls



The article tells us about the lecture-concert dedicated to the 200th anniversary of Richard Wagner. The author who led the concert and one of the main performers is the Georgian pianist Elisso Assatiani, who works in Germany. It is for many times she arrives in a native city with the aim to hold evenings which are connected with the most important dates of the world musical culture. (In most cases with the support of Abkhazian Spiritual and Cultural Center.)

The lecture- concert dedicated to Wagner was not ordinary. At the same time it was dedicated to the memory of Richard Wagner and Robert Schumann. (It was held on Shumann`s birthday). The person who led the evening told about the common points of touch of these two giant composers. (In the existing boundless literature about Wagner this theme is less known.)

The young singers performed fragments from Wagner`s operas. ElissoAssatiani also played the piano compositions of Schumann, Nitsche, Liszt. She also told about Wagner`s and abovementioned authors interrelations.



**Perspective**

Eka Saatashvili

For the Benefit of Young Performers



The author tells us about the organization – "The Union of Georgian Folklore and Development-Harmony" which was founded in 2011. Many festivals and concerts were held by this organization (the founder Mrs. TsitsiBichikashvili). The international competition was first held in Turkey in which young musicians – the piano and orchestra department students of Georgia and Turkey took part in. This competition became traditional as a result of its success.

It is the second year since this organization together with Erevan L.Saraian Art School holds International Festival. This time it is already the third time that the organization together with Borjomi City Hall and the support of Ministry of Culture of Georgia held the National Festival of Musician- Performers in Borjomi in which gifted children from all parts of Georgia took part in. It should be noted that especially two talented participants Nani Giorgadze (violin, Kutaisi) and Barbare Tataraidze (piano, Tbilisi) were financed by this organization for the participation in competition in Turkey. The organization has great and important plans for the benefit of the talented young performers.

**Jazz Break**

Manana Khvedelidze

The "White Favorite" – "Bix Bei"

The article is dedicated to the culture of the black – American jazzman (cornet, piano), composer the band leader – "Bix" Beiderbecke. The author cites expressions of famous jazzman which reveal the characteristic features making "Bix" Beiderbecke distinguished in the jazz world. He was characterized as the intellectual musician who never played without beforehand thought conception. It is noted that

sharing the music of Debussy and Ravel he mastered some methods of harmony, the rich palette of light and shade and thanks to his own fantasy the variety of colors organically combined with strange jazz combinations.



n the article we learn about short (28 years) and very productive creative way of the great jazzman.

**Folklore**

Gomar Sikharulidze

The Honored

The article is dedicated to the Georgian singer, one of the incomparable performers of Folk songs – Garsevan Sikharulidze. The author describes GarsevanSikharulidze`s life and the way of his creative work, also he gives us information about his musical family. According to his words, the peak of his creative work is Gurulicroon`s studio records which is the brilliant example of song mastering and free improvisatio



**Seience**

Lali Kakulia

"Mother Tongue" ("DedaEna") by Alexi Matchavariani in the Section of Imaginative Thought

The publication is connected with the 100th jubilee of the great Georgian composer and public figure Alexi Matchavariani. The rights of is creative work defended by the famous Sikorski publication, is already acknowledged on the international scale. The proof of it is the cycle of jubilee evenings in Turkey, Portugal, London, St. Petersburg. Scientific conference and the presentation of the book by Alexi Matchavariani held in Georgia in connection with the jubilee date.



The author researches the choral cycle " Mother Tongue" by Alexi Matchavariani. This musical work was written in 1981 and it was the composer's reaction to the events of 1978, 14th of April which revealed the fact that the Soviet regime could not suppress the will of Georgian youth. Thanks to the students' patriotic protest, Georgian language preserved the status of the State language which was a successful step in the struggle for National Independence. Before referring to the choral work, the author of the article firstly reviews the definition of the " Mother Tongue". The title " Mother Tongue" is the native tongue. By means of the book by Jacob Gogebashvili written in the 19th century, the Georgian for the first time learns reading and writing and rendering of the thought-out. At the same time this is the book about eternal value. After the research the author comes to the conclusion that by means of the choral cycle " Mother Tongue" thanks to imaginative thought the composer found the key of the uniting high-ethical idea which is the highest level of cognition, the unity of the travel into the historical memory of the soul and the highest imaginary ability. The genre of the cradle song " Nana" carries out this function.

***A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:***

1. **Sergey Prokofiev.** "Temptation", performed by Ilia Kondratiev ( feature "The Fifth Piano Competition", p. 2);
2. **Alexi Matchavariani.** "Khorumi", performed by Tsotne Tsotskhalashvili (feature "The Fifth Piano Competition", p. 2);
3. **Nodar Gabunia.** Theme from the film "Ivane Kotorashvili's Story", performed by Nato Gabunia, conducted by Vakhtang Kakhidze (feature "The Unique Person", p. 13);
4. **Nodar Gabunia."**Dream"_"From the Pupil's Diary" (feature "The Unique Person", p. 13);
5. **Wolfgang Amadeus Mozart.** Fantasy d-moll, performed by Revaz Tavadze (feature Revaz Tavadze _ "The Record-holder of the Georgia Pianism", p. 18);
6. **Johann Sebastian Bach.** "Choral prelude", performed by Rusudan Khojava (feature "Wake Me Up Chango and Knaro", p. 22);
7. **Archil Kereselidze**. The song the "Necklace", performed by Neka Sebiskveradze, Davit Archvadze, Lasha Glonti (feature "Archil Kereselidze _ 100", p. 25);
8. **Frederic Chopin**. "Waltz", performed by Margarita Chkheidze (feature "To the Remembrance of the Great Musician", p. 34);
9. **Mikheil Shugliashvili.** "Great Chromatic Fantasy", performed by Tamar Chitadze, Nutsa Kasradze, Tamar Kordzaia (feature "Actual Music Festival", p. 40);
10. **Tariel Bakradze.** "Adajo" from the Ballet "The Amazones"- Piano Suite, performed by Medea Altunashvili (feature "The Worker of Music and Medicine", p.44);
11. **Richard Wagner**. "Torture", performed by Eliso Asatiani (feature "The Kindred Souls", p. 49)
12. **Bix Beiderbecke**. Davenport Blues (feature "White Favorite" _ "Bix-Bei", p.56);
13. **The Gergian Folk Song**. "Chven Mshvidoba", performed by Garsevan Sikharulidze (feature "The Honored", p. 60);
14. **Alexi Matchavariani.** "Nana" from the cycle "Mother Tongue", performed by the children's Capella "Ia", the director Marina Otskheli (feature "Mother Tongue" ("Deda Ena") by Alexi Matchavariani in the Section of Imaginative Thought", p. 65).

The editional board: Mikahel Odzeli, Editor-in-Chief; editors: mmes: Mzia Jafaridze and Tamar Tsulukidze, Mariam Gogishvili.
design: Vakhtang Rurua, Vano Kiknadze, Gogi Chepkhodze.
Translated by Ketevan Tukhareli.
Address; 123 D. Agmashenebeli str. Tbilisi
Tel;(+99532)295 41 64: (+995 32)296 75 05
Fax; (+995 32) 96 86 78


1. S. Prokofiev "Temptation"
I. Kondratiev ( feature p. 2); 2. A.Matchavariani
"Khorumi" T. Tsotskhalashvili (… p. 2); 3. N. Gabunia
Theme from the film "Ivane Kotorashvili's Story" N. Gabunia
(… p. 13); 4. N. Gabunia "Dream"-"From the Pupil's Diary" (… p. 13);
5. W.A.Mozart Fantasy d-moll R. Tavadze (…p. 18); 6. J.S. Bach
"Choral prelude" R. Khojava (… p. 22); 7. A.Kereselidze The song
"Necklace" N. Sebiskveradze, D.Archvadze, L. Glonti (… p. 25);
საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი
MUSIKA
Journal of Creative Union of Composers of Georgia
მუსიკა 4 (18)
2013
8. F. Chopin "Waltz" M. Chkheidze (… p. 34); 9. M.Shugliashvili
"Great Chromatic Fantasy" T.Chitadze, N. Kasradze, T. Kordzaia (…p. 40);
10. T. Bakradze "Adajo" from the Ballet "The Amazones"
M. Altunashvili (…p.44); 11. R.Wagner "Torture"
E. Asatiani (… p. 49) 12. B. Beiderbecke Davenport
Blues (… p.56); 13. Gergian Folk Song "Chven Mshvidoba"
G. Sikharulidze (… p. 60); 14. A. Matchavariani
"Nana" from the cycle "Mother Tongue"
Children's Capella "Ia", the director
M. Otskheli (… p. 65).
All rights of the producer and the owner of the recorded work reserved. Public performance, broadcasting, hiring or rental of this recording prohibited

ISSN 1987-7773